აგებულთა. დიდებაი სამებაისა წმიდა პირებით და ერთარსებით და ერთღობით თაყუანისცემულსა აწ და უკუნი უკუნი, ამინ.

აწ უკუნი აღეწერე სუნაქსარი ესე, წმიდათა ღუაწონი და ქრისტეს მიერნი სასწაულნი მათნი, მე ამით წმიდათ მგალობლთა ამჟღურებმან დამანთა (!) მიერ სულითა წყუდად ჰველსაძიებელითა გარეშეცულმან, დაღათუ მართლისა ხარწმუნოებისა აღცისკრულმან, არამედ უნდოთა უუნდოესმან სპარსთა, ყოველთა უღირსმან და საქმით წარმართთა მიმსგაეხებულმან, ხოლო სახით მდღელმან, სახელისაცა უღირსმან, ყოველთა უწაულოებით აღუამღულმან, კუდად სააჯმნოთ დასჯილმან გარსეენისა შვილმან, ძველითგანვე ქართველთ მეფეთ კარისა და ოქონის ხატების დეკანოზმან იესემ. აღეწერე და რაი ვერ ჰვლევავ, ვითარმედ არცა კი იყო ა...რბი (!) წიგნი ესე სუნაქსარი, ზადიკი და სჯულის კანონი ა... კერძცა ვაებისა და ურვისაცა შემოთილი, ვითარმედ ვთქუ თავსა ჩემსა, საქმენი ჰვლნა ჩემთან განადვიძებს და განაფრთხოზს გონებასა ჩემსა, რომლისათვისცა ვიყოფოდი, ვგერა ქვემორე მოგითხროს წერილმან მოკლითა ქაბშითა.

რაუამს მიდრკა ყაენი ბაკ (აქ თავისუფალი ადგილია დატოვებული, ალბათ არ იცის კარგად სახელი. თ. ბ.) თვისისა საბრძანებლისა და ტახტისაგან ყანდაარის ბევის მირვეის მიერ, მას ვამსა აღძრეს ბრჭ-ლი ქართველთ მეფემან ვახტანგს (!) და კახთა ბატონმან კოხტანტინე ხარჭისა ნაშობმან მეფისა ერეკლესა მიერ. და ესჯოდეს ურთიერთარს [229v] ყოფადობითა და მევარ-მევარობითა მრჩობლთა საბატონოთა, ვითარცა განთავისუფლებულნი და არვისაგან შიშქემ ყოფადნი. და მოაველიძენი ძენი შეამთხვენეს ურთიერთარს. შ, უხილავთა მტერთა მიერ დვარძლნი და თესლნი ორნატა გულისათა მრჩობლთა სამეფოთა შორის მოხლვად და მცხვედად და ზრქელად აღორძინებული. ვითარ ვკადრო მე, მტილმან უგუნურებაი მათი, ვითარმედ ძალ-დედა თანა სამთა ძლიერთა გმირთა შუათა და ვეშაპთა შორის თავისუფლად ყოფადობაი. ეპა, კადნიერებასა მათსა, ხოლო ამათსა რკინობასა შინა ზედა მოადგათ ძალი ხვანთქრისა ხარასკარი, იბრაჰიმი ფაშა და ურიცხვი ჯარი მათი. და ვითარ ძალ-დედათ არა წინა მიგებებად ორთავე მეფეთა მათის ერთურთ, თვნიერ შეთქმით, ხოლო ოსმალთა თვისს ბუნებისებრივი გულარძილი დიდებაი, ...პატივი, სიტყვანი მათნი ორთათავე ზედა ღბილ, ვითარცა ზეთი, იგინი იყვნეს, ვითარცა იხრის პირნი, მიაგოს უფალმან კაცად-კაცადსა, ესრეთა მათთაებრ, რა-დღა საკმარარს სიტყვთა განგრძობაი. ქართველთ მეფე და შვილნი მისნი მათის ცოლ-შვილითურთ განაკცივეს, ვიდრე რუსეთის მოსკოვამდე, ხოლო კახთა მეფეს თავი მოჰკვეთეს ეპისკოპოსებითურთ და თავადებით და მათით ერთურთ, რაოდენნი ჰველ იდევსა, მოსრეს და ქუსყანანი დარჩა მათ, ვითარცა თუთ ენებათ თვნიერ ავაზაკთ ღეიქისა, აწ უკუნი აღიძრა ღეგეონნი ღეიქისანი ავაზაკებრ და მარვალებრ, რამეთუ, კოი, ვითარმან ენამან იძლოს მტრეველებად და უშორმელად, ანუ გონებამან მიწდომად, გინა თუღლმან ცრემლოვანად, რომელნიცა რაი რისხვისა დმრთისაებრივი მოაწივნეს ქართველთ სამეფოსა ზედა [230r] მათათა თუ ბართა სოფლებთა ზედა, სიმაგრეთა თუ ციხეთა შინა დაწვეს, დადაგეს, ააოკრეს, მოსრეს, მოსწვეგეს, წარტყვენეს. იავარ ქვეის და მოსრეს უწყადლო ბერნი და ჭაბუკნი, ჩნულნი ძუძუს მწოვარნი და მოსახაკენი, მოხუცებულ დედანი და ქალწულნი, მდღელნი თუ ბერნი, ანუ ერნი. უკეთუ ანებაეს, მათგანნი რომელნიმე წარახსან, ხოლო უკეთუ არდა, მოსრნიან მახვლითა, დაკლნიან, ვითარცა ცხოვარნი, ვითარცა კრავნი. ზოგნი რომელნიმე სახლთა შეიპყრან და ცეცხლითა დაწვიან. ეპა, შ მე, ჭეშმარიტად მოიწია ესევითარნი საქმენი

ცოდვათა ჩუწნათავს ხამართლად. და რამეთუ ეკლესიანი და მონასტერნი რომელნიმე დაარღვეიან და უკეთუ რომელნიცამე ვერ შეუძლებს დარღვევად, ქმნეს ქვაბ ავაზაკათ, ხადგურად თესილად. აწ უკუშ ეხოვდენნი რისხვანი ღმრთისანი არათუ მეყსა შინა იყენიან, ანუ ერთი წელ, გინა ორ და ხამ, არამედ მრავალ წელ, ზამთარ და ზაფხულ, ვიდრე ჟამითი-ჟამად, დღითი-დღე, არაღარა დაშთა სოფელნი აღუოკრებულად, გინა შენად თვნიერ, დაღაცათუ ადგილად-ადგილად, შთათა და ბართა შინა ძლით გაშავრებულნი, შემოზღუდვილნი, შემოხანდაკებულნი, თუთ ჰგონებულ, ვითარცად შეუვალ არიან და რომელნიმე მადგანინცა აღლიდიან, ვითარცა ვთქუ. ეგრეთ ყვიან. არა დაუშთა უვევალად თვნიერ ქალაქისა და გორისა. და გორი ეგრეთვე ხანდაკითა და ეზოთა ქეტორთათა ძელითა და მოქლონებითა და ყორგებითათა აშავრებდეს. იყენიან ვითარცა უშიწნი, უშეტხად მოშიწნი ეგრეთ იჭუროდეს და ხსუანი შეწნი ყოველნივე უშენ [230v] იქმნეს, ვითარცა ბრძანებს წინაისწარმეტყველი ესაია: „იყუნეს სოფელნი თქუწნი უშენ და გზანი თქუწნი უვალ და კუალად მოსულმან მავალმან მოგწყუნეს თქუწნი.“ და ეგრეთცა იქმნა ქართველთ მეფეთ სამეფოში. არამედ ურუმთა იყო სამეფო ესე და არა რად შერაცხეს, არცაღად თავ სდევს ეხოვდენნი ძვრნი მათ მიერ ქმნილნი ამა სამეფოსა ზედა. აწ უკუშ თავსდებინცა უშეტხად და უაღრესად ავადეს პირნი თვისნი შთანთქმად ამათხად, ვითარცა ხაშინელნი ვეშაპანი, ვითარცა კრავნი მომყმართა მეფლთა მიერ, გინა თუნდა ღოშნი არევთა შორის მყოფთა ცხოვართათეს, ეგრეთ მხვალებად მათსა აღრჭენდენ კბილთა მათთა. შთანთქნეს, განლინეს და დაადვენეს, ვითარცა ცოდვილი წინაშე პირსა ცეცხლისასა უწყალოდ, და უხამართლოდ სადაცაღა შეკრებულნი ნეშტნი, ხოლო იყენიან სიმაგრეთა შინა, წარვიდიან მიზეზითა რომლითამე, ვითარცა თვისნი, რეცათუ ყმანი ანუ პატრონნი და შერა-ვიდიან, ეგრეთ უყვიან, ვითარცა ვთქუ და განაშიშვლნიან ვითარცა ძვალნი და ნათა მიერ კუალად ამათხა ვარეშე კუალად დაამძიმეს ხარაჯა, სპენჯი, შარბი, მირი და პირად-პირადნი მძიმენი სათხოვარნი, რომელსა ხადიანად უწოდდენ ეგეთნი. რამეთუ შეუძლებელნი ვიეთმე კაცთაგანთა მრავალთა განაყიდვიან შეილთა თვისთა მათზედავე. და უშეტხენი, თავნი თვისნი ცოდ-შვილითურთ და მათდავე მისციან სათხოველსა შინა ძალითუ (!) ვარდიჰადიან. შ, ანგარეზაი უწყალო. ემა, პატრონობაი უპატრონო უკეთუ ქალაქისა და გორისა მახლობელად წარმოსტყვენიან შეკრებულნი ხიმაგრენი, ანუ იშეითი ნეშტნი. [231r] სოფელნი უღთოთ ღკეთა დაწ-რიდან, ხოლო უკეთუ ინებან ოსმალთა, ანუ საშოვრისათეს, ანუ ხანცხულთათეს, გინა შიშისათეს უფროვდ დევნა უყვიან და ვანწყვიან ურთიერთარს, რამეთუ მტერ არივდ ურთიერსვე უშეტხად ხანდვილვე. აწ რაი განეწყენიან, უკეთუ სძლიან ტყვენი და ნატყვევნი დაიპყრიან, უკუნ აღარა იქცევიან, არცა ტყვენი და არცარა მწუღილის ფახი, არამედ თვისად წარიდიან. აწ უკუშ რად ხაჰმარ არს ესევითარი უფადი.

აწ კუალად ხსუთა უხჯულოვებაი ვიწყო: ოდეს მოჩივარი მივიდის, ისიცა და მოამიც (!) დაიჭირიან. ორნივე საპყრობილად ჩაპყრრან და თანამედები თვისად წაპყრვიან და ხაშუბაიშირო ზროსხედ გინა ვიზრხედ, ანუ მათის საფახის ოდენხედ კ მარჩილი, გინა შ უშეტხენი მრავალი წართვიან. ემა, უგუნურებაი მოჩივართა. კუალად ხსუთა: რაჟამს მათნი მოგზაურნი დაბათა შინა ისადგურნიან, აქვან (!) მათ, ჩუწნნი ჰუნენი და კაცნი უხუცენნი არახა სჰამენო, უკეთუ არახ მართმევეთ. და ეგრეცა ყვიან, ვიდრემდის გული აღესრულიან. კუალად ხსუთა: მრავალთა ყმის პატრონთა წართვეს ყმანი, და მამულნი თუთ იპყრეს, გინა სოფელნი და კუალად ხარ-

ჯნი და სათხოვარნი მისევე განპარცვილის კაცისაგან აღიღიან. ესენი და სხუანი მრავალნიცა ურიცხვნი მათ მიერნი უსამართლონი, რომელმან ენამან გამოთქენეს, ანუ რომელნიმე კვლამან უძლეს წერად, გინა აღრიცხვად, ანუ ყურმან სმენად და თუალმან ხედვად, გონებამან მოგონებად და ენამან მეტყველებად. ვერარამან ვერა ჭეშმარიტად მათ მიერნი ქმნილი უღლოებანი. მ, უწყ[231v]ადლობასა მათსა. ვაჰ, უღლოებასა და გულქვაობასა მათსა, არამედ თათა ჩუწნთა ვაბრალოთ ჩუწნის ცოდვისა მ-რა. ესევეითარმედ ვის უხილავს, ანუ ვის სმენია ესევეითარნი უსჯულოებანი.

აწ უკუს ჩემ ცოდვილისათვისცა ვიწყო. ოდეს ჩუწნის მეფენი მეორე ქმნეს ოსმაღთა რუსეთს, ვიდრე მოსკოადმდე, თანაწარიტანნეს ძმა ჩემი გიორგი, ძე მისი გრიგოლ და ძენი ჩემნი გარსევეან და ონისიმე. ხოლო ძმა ჩემი მეფის ვახტანგის შვილთა მეფის ბაქარისა, ბატონისშვილის ვახუშტისა და ბატონისშვილის გიორგის დამხედელი იყო და ჩუწნის შვილი მათ მიერ დახდილნი, რომელნიცა თანა წარიტანნეს. ხოლო მე, უბადრუკი დაეშთი აქა ცოლით და კუალად სხვა შვილებითურთ ესრეთ. ვითარმცა არა დაეაგდე ქუშყასა და მამული ჩუწნი. არამედ უმჯობეს იყო ჩემთვის დაეგებაი, ვიდრე აქა ყოფასა და ცხორებასა. ხოლო ამის მიერისა მიზეზითა, საუნჯენი ჩემნი ია-ვარყვეს და სახლ-კარით, ყმით, მამულით ყოვლით და ყოვლის ნივთითურთ განმაყენეს ესრეთ. უცხო მყვეს ჩუწნის იმდენის მადლისაგან, რამეთუ წისქვილთა შინა სამიზდეთა არ უტევიან საუქვაივი ჩემი, სახლ-კარები სახედვით, საცნავეები საღაღეთ საცნავეად, ეგრეთვე ვენაქთა შორის, და ყმანი საცმოვანედ, ესრეთ ყოვლითურთ განმაშეშელს, ვითარცა საცეხველის თავი. ხოლო ვიწყე სლვად და შეუერდი ჩემს მოწყალეს ოქონის ხატსა და შევედ ეზოსა ამისსა შინა, დაედეგ სენაკსა ერთსა სახლეულითურთ ჩუწნით, ვითარმედ არა იყო ნუგეშინისმცემელ ჩემდა თვნიერ ღმერთი, ვის ძალ ედვა შეწვენად ჩუწნად კაცთაგანსა! რამეთუ მაქუნდა სასოებად ჩემდა ბრძანებაი საუფლო, ითხოვდით და მოგეცეს, [232r] ვიდრე თხოვადმდე, უწყ რაი ივი გინებს, მიიხედეთ მფრინველთა და შემდგომი ამისი. და კუალად სამოსლისა თვისისათვის ნუ ვინ ზრუნავს. და სხუანი მსგავსნი ამისნი იყვნენ ჩემდა სასოებად. არამედ სიტყვაებერ მოციქულისა ვიტყვ: მრავალნი ჭირნი და განსაცდელნი გამოვიარენ, ცემა, გინებად, ყვედრებად, საპრობილემი ყოფა. მრავალნი ძურნი მოიწინეს ჩემ ზედა ეგვევითარნი. რამეთუ ადგილითი-ადგილად მრონიე, წყალობისა თხოვად მისრული. არამედ წყალობაი ყავ, უფალო, წყალობაი ყავ ქსნის ერისთვის შანშეზედ და ამილახორს გივზედ და იმის ძმის იესესზედ. რამეთუ მათგან ვიზრახებოდი და არცაღა მიტევეს სხვათა გარეთხოვად. არამედ მიაგე, უფალო, თქმულთაებერ შენთა აქავე ასი წელი და მუნ ცხორებაი საუკუნო.

ხოლო პირველსავე სიტყუასა ზედა აღვიდე. რამეთუ ვიყავ ესოდენისა უპოვრებასა და ძურსა შინა და კუალად ესოდენისა ქრისტიანეთა ამოწვევრისა მრჩობლთა უცხო თესლთა მიერ მსმენელი და მხედველი ვარ თათა ჩემთაგან უმეტესად შეწ... და მცრემლაივი ვიდრე ათ წელ ოდენ. და კუალად ვუსალმუნებდი ამას: ვაამე, რამეთუ განმიგძედე მე მწირობაი ჩემი, დავემკდრო საყოფლთა თანა კუდარისთა. მრავალჯამ დაიმკდრა სულმან ჩემმან მოძალეთა თანა მშედობისათა. ჩემ ზედა განაგრძევეს უსჯულოებაი მათი. უფაღმან მართალმან შემუსრეს ქედნი და მკლავნი მათნი უსჯულოდ მოქადულნი. და კუალად უცხოთაგან იცევე, უფალო, მონა შენი, არა თუ მეუფდნ(ენ). მ, მე უბადრუკსა, ვიყავ რაი ესოდენსა ურვასა და მწუნარებასა შინა, აჰა, მოიწია ჩემ ზედა ცოდეთა ჩემთა მიერ აღძრულო რისხეა ღმრთისაი და მყის

მიმტაცა მეუღლე ჩემი სიკუდილმან უხვიაშნომან და მიმფარა თუ-
 აღთაგან ჩემთა ჯერეთ მოულოდებელად. ეჰა, ცოდვანი ჩემნი საან-
 ჯმნო, განმრავლდეს, უფალო, განმრავლდეს უშჯულოებანი ჩემნი
 და არა ღირს ახილვად და ხილვად სიმაღლესა ცათასა. დადონე-
 ბად ვიქმენ, ვითარცა მიძიმთა საჭურველითა რკინისათა ვერ აღე-
 ბად თავისა. რემეთუ განრდხე (!) გული შენი, უმეტესად დამძინა
 ცოდვამან ჩემმან ძვრნი ურვანი და მწუნარებანი და-სა (!) ზედა.
 იყავე სახელი უფლისაი კურთხეულ ამიერთვან და უკუნისამდე.
 ხოლო ვიყავ რამეთუ ცუდად შეშთობილი გულის სიტყვათა ამაო-
 თა, ვარქუ თავსა ჩემსა, ვინათვან ცუდად ყოფადობაი დედა არს
 ცოდვათა. ვიწყო საქმედ, ვითარ არცა კი იყენენ წიგნი ესე ტაძ-
 არსა ამას ჩუხსნა. აღვიდე კალამი და აღვწერე სუნაქსარი ესე და
 ზადიკი და მეტაფრასი („მეტაფრასი“ მხედრულითა დაწერილი.
 თ.ბ.) და დავედევ სამარხსა ამას ჩუხსნა ტაძარსა, ყოვლად წმიდის-
 სა წინაშე ოქონის ხატისა.

უცებად წერისათვის ნუ მწყევთ, რამეთუ მოგიტხარ ჩემი ყოვე-
 ლივე ყოფილი ქრისტეანის ქართლისა და ქუწყანისა. რამეთუ
 დეაწლსა ამას შინა მყოფაბაი წელნი ვითარ ია და შემდგომად
 ამისსა ყოფადობაი. ვინაი და რა ვინ უწყის თუნერ ღმერთისაი.
 აწ უკუშ წიგნი ესე სუნაქსარი და ზადიკი და ზედ მობმით
 მეტაფრასი და კუალად ვიყიდე მარხვანი და ბარაკლი-
 ტონი და დავიდე სამარხსა ამას ჩუხსნა ტაძარსა ამას ყოვლად
 წმიდასსა, წინაშე ხატისა. საშინელისა და მრავალთაგან ქართველთ
 მეფეთაგან სამართლად გადაიდებულმან და ძრწოლით თავუანის-
 ცემულისა მათის ერთურთ. ვინცა იკმარებდეთ, შენდობასა გვბრ-
 ძანებდეთ მე, ცოდვილს დეკანოზს იესეს და მეუღლესა ჩემსა
 ანახანუმს თქუხნის ქრისტესთვის, რათა მალხინებულ თქუხნცა
 გექმნეს კაცთმოყუარე ქრისტე ღმერთი ცოდვათა თქუხნთაგანი.
 ვინცა და რაი ადამის ნათესავთაგანმა იგულვოს და ქედ ყოს
 გამოკვებად წიგნთა ამათ ცოდვათა ჩუხნთათვის, იგიმცა დაისაჯე-
 ბის წინაშე მსაჯულისა საშინელისა ქ-ს ო-ე ჩუხნისა და უშრე-
 ტისა ცეცხლისა ნივთცა იქმნების საუკუნოდ, ამინ. დასაბამითვან
 წელთა ვიდრე აქამომდე **ვსმა** ქრისტეს აქეთ **ჩდღვ**, ჩვენსა ქ-ს
ოკა, მარტისა **კ** თვესა“ (229v-233r).

ბ „მოთხრობაი სულ მცირე ვასილოღრაფისაგან რიცხსათვის
 დასაბამითვან გარდასრულთა წელთასა. - ადამისთაგან წყლით
 ღრენამდე გარდაკვდეს წელნი ორ ათას ორას ორმოცდა ორნი ...“
 (467v).

გ. „წმიდისა ფოტი პატრიარქისა აღწერილი <სარწ-
 მუნოებაი ჭეშმარიტი>. - ესრეთ მრწამს და აღვიარებ კა-
 თოლიკე და სამოციქულო ეკლესიასა შინა დაფუძნებული და ქად-
 აგებული სარწმუნოებაი...“ (234r-246r).

ბოლოს, კიდევ მიწერილია: „ესე სარწმუნოებაი წმიდისა
 ეთუმის თარგმნილია ბექულისაგან“.

თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის მიერ. იხ. კ.
 კეკელიძე „ეტიუდები“, V, გვ. 114.

დ. „აღსარებაი წმიდისა და უბიწოხა ჩუხნთა სარწმუნოებისა,
 თქმული ათანასე აღექსანდრიელისა ... - უკეთუ ვისმე
 ნებაეს ცხოვრებაი...“ (246r-247r). თარგმნილია გიორგი მთაწ-
 მიდელის მიერ იხ. კ. კეკელიძე, „ეტიუდები“, V, გვ. 8.

ე. „მართვა ხუაშნობითა ღ-ისმშობელისათა და ესე ... გრიგოლ
 საკვირველთმოქმედმან ... ღმერთმან ასწავა და მან დაწ-
 ერა დე მას ზედა დაამტკიცა ... - ერთ არს ღმერთი. მამა სიტყვა
 ცხოველისა სიბრძნისა არსებობისა...“ 247v. თარგმნილია გიორ-
 გი მთაწმიდელის მიერ იხ. კ. კეკელიძე, „ეტიუდები“, V,
 გვ. 25.

2. ხელნაწერის აკინძვის დროს ჩამოუჭრიათ კიდევები. ამის გამო არ იკითხება გადაწერის მინაწერები (235v, 236r, 237r, 238r).

3. როგორც ანდერძებიდან ჩანს, ხელნაწერის დედა დაზიანებული და ძველად ამოსაკითხი ყოფილა.

შენიშვნები და ანდერძები: 1. უფალო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი გარსევეანი შვილი იესე“ (1r).

2. „ისე ეწერა“ (3v).

3. (სინგურით) „დედნისა ფურცელი გადაბრუნებული იყო, ნუ მწყევთ“ (17v).

4. „ვაი, ვაიმე მკვდეველსა ყოვლით კერძოვე შევიწრებულსა ქართველთასა აგარიანთა მიერ ყოველნი ქრისტიანენი. რამ არს ჩემდა ესევეთარის მუშაკობაჲ, არამედ ვითარცა განქარვებად ჯავრისა და შექცევად ამისა. მ, ვაი, ძმანო ჩემო“ (54v).

5. (სათაურთან) „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ოქონის ხატის დეკანოზი გარსევეანის ძე იესე“ (55r).

6. „ქ-კს უით, მაისის ღა, მე ცოდვილი იესე ვიჯდე საყდრისა ჩვენისა ჩვენგანვე აშენებულს სამრეკლოში და ესწერდი სენი აქსარსა ამას მოწყენილ, ისმაილთა მიერ გაცარცვილი საქონლით. მახვლით, ყმით და მამულითურთ, თვნიერ მხოლოსა საყდრისა ამის. მ, უწყალოებაჲ მათი, ვერარაჲს მპოვნელი ს[ი]უ[რ]ჩისა თვნიერ ჩუწნთა ბატონთა სამსახურისა და გარდაყოლისა მოსკოსა ძმით, ძმისწულით და შვილებითურთ. დღესა ამას შეუქდენ ერისთვის ქსნისასა ოსმალნი პ[ა]ტ[ა]რას დ[ი]აქ[ო]ნ[ო]ს უხედ და კახბატონი და ოსმალნი ქართველ ჯარითურთ ქსანზე დადესტნის ჯარით ღეკითურთ“ (55r).

7. „ვაი დედანო, რამ მტყუენი ხარ, ზოგს დედამთილი, ზოგს რძალი“ (74r).

8. „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი გარსევეანის ძე, ოქონის ხატის დეკანოზი იესე“ (75r).

9. „დედანს ესე ეწერა, უფალო ჩემო“ (77v).

10. „ვაი, დედანო, რამ ვქნა“ (78v).

11. „ვაი, რამ ამისი შენაღველ ქრისტიანობაჲ იწვის მრჩობლთა უცხო თესლთაგან, ვაი, ღმერთო“ (84v).

12. „კატაპალტი ჭახრაქს უნდა ერქვას, არ ვიცო“ (92r).

13. „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი დეკანოზი იესე“ (93v, 102r).

14. „ვაი, მე უბადრუკსა, ვითარმედ საქმემ შესძლოს ესოდენი ოკრებანი მრჩობლთა უცხო თესლთაგან, რავდენთა ალაგთა იოკრების ქართლი ღეკთა მიერ, ეგრეთვე ოსმალთაგან. ემა, უპატრონოსა ქართლსა, ხოლო შენ, ერისთაო ქსნისაო შანშე და ძმაო მისო იესე, მოგანიჭოს ქრისტიმან ძღვევა უძღვეველი პატრონობად ქრისტიანობისა, რამეთუ ესოდენი არად პირადისა ერისა მრავლისა ზოგადი უსჯულო გარე მოგადგა“ (96r).

15. „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი, ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იესე“ (114v).

16. „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი, იესე დეკანოზი“ (130v).

17. „მ, ძვირო ქაღალდო და ყოველსაო მისო სადაღმო“ (135v).

18. „დედანს ამის მეტი არა ეწერა“ (158r). (ეს შენიშვნა შემდეგ, მოგვიანებით არის ჩაწერილი).

19. „ქრისტე, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ოქონის ხატების დეკანოზი იესე“ (161r).

20. „უყურე ქაღალდისა სიძვირესა, ფულისა კიდე უფროსად“ (168r).

21. „ესე დედანს არ ეწერა კ. კა ეწერა, რამეთუ ორნივე ერთ იყუნეს და არავისცა ხაცნაურ იყო, რამეთუ სხუა ყოველნი და სხუა, ქაღალდნი და სიტყუენი ერთნი, უფალნო ჩემო“ (175r).

22. „ღმერთო, შეიწყალე დეკანოზი იესე“ (205r).
 23. (სინგურით) „დედანი არ ჩნდა“ (206v).
 24. (სინგურით) „ვაი დედანო მტყუენან. უფალო. ღ-იმცა ნუ დამწყვეთ“ (217v).
 25. „ვაი დედანო მტყუენანო; რაი ქნას მწერალმა. ღვთის მადლსა, ნუ მწყვეთ“ (225r).
 26. დიდებამ ღვთისაი, დიდებამ ჩემს ოქონის ხატსა, რაი ამისი გუნებაი მქონდ, არამედ ცუდად ვიყავ. და ესევე ვარჩივე, უფალო ჩემო. აღიწერა წმიდაი სუნაქსარი ესე ფრიად ცოდვილისა გარსევანი შევილის, ოქონის ხატების დეკანოზის იესეს ჴელითა. ვინც შენდობამ ბრძანოთ ჩემი, თქუმც ღირს გყოსთ სასუფეველსა. უცებად წერისათუს ნუ მწყვეთ, რამეთუ მეტათ შეშთობილ დრო იყო მრჩობლ კაცის უცხო თესლთაგან, ქ-ქს ოკა“ (228v).

27. „ღიად, ძველ დედანი იყო და ვერ ამოვიცან“ (245r).

28. „უფალო, შეიწყალე ცოდვილი ოქონის ხატის დეკანოზი იესე, რომელმან აღეწერე კითხვა-მიგებაი და კრებაი“ (247v).

მინაწერები: 1. „შეგირდი კარგად ისწავლისა ამაში რისათვის? ამისთვის, რომ ქოროლა იქნება. ქოროლა რა არის? ის არის, რომ ქალგოგია მდივნის შვილი არის, რომ ნიდაღ ქალობს, რათა დარდიმანდია. რისათვის? არ იცის არს“ (ზ.ყ.ვ).

2. „წიგნათაგან აღექსან დრე გარსევანოვისა, ჩემე წელსა“ (1r).

3. „პატარა ქალი მელანა დაიბადა იანვარს ით, ქ-ქს, უიგ. მთოვარება ორსა დღესა, პარასკევა მესამესა ჟამსა“ (49r).

4. „იაკობ გარსევანის ძე წიგნსა ეწერ სარგებლიანსა“ (98v);

„სახელს მოგიტხრობ, ვინა ვარ და გეარსა ესტიძრიანსა“ (100v);

„კეისრის სახლით მოვსულვართ ქვეყანასა გიორგიანსა“ (103v);

„და მზითვათ გვიხმობენ ქართველნი, მეფეთურთ ერთგულიანსა“ (106v).

5. „პატარა ბიჭი იოანე დაიბადა ოკტომბერს კვ ქ-ქს უინ“ (146v).

6. „ღ-ისმშობელი, დედა ყოვლად პატიოსანი,
 მას ახარებდა ანგელოსი ფრთოსანი,
 შენგან იმუების მეუფე გვირგვინოსანი
 და მას მონებენ მეფენი მრავალყმოსანი“ (232v-233r).

7. „ღ-ისმშობელო, აცხოვნე ამის მწერალი,
 ფრიად მოხუცი ჴირით გამომწერალი,
 ლექთა და ოსმალთა მიერ დატყვევებული,
 ყმით და მამუღლითგან ჴელადებული,
 მყის მეუღლითგან განშორებული.
 შრომით და ღუაწლითა მიერ წარტაცებული
 და ჩემ ცოდვილისათვის მეოს მყოფელი“ (233r).

8. „ოქონის ხატო, პატივცემულო,
 ძველთაგან მეფედ განდიდებულო,
 შენ, მეოხად თაყვანისმცემელო
 და ჩემ ცოდვილისათვის აღმატებულო,
 შენ, შეუძლოს ქებად შენდა, ღ-ივ მიმადლებულო“ (234r).

შენიშვნა: მე-6, 7, 8 ნომრების ქვეშ მოთავსებული ტექსტი

ერთი და იმავე ხელით, მხედრულითაა დაწერილი და უნდა ეკუთვნოდეს გადამწერ იესე გარსევანიშვილს.

9. (სინგურით, გადამწერის) „სუნაქსარი ოქონის ხატისა არის, ვინც მოიპაროს, გაუწერეს იმიხი მადლი“ (239r).

10. (გადამწერის) „საუკუნომცა არს სახსენებელი დიდისა კოსტანტინეს და დედისა მისისა ელენესი. საუკუნომცა არს სახსენებელი თეოდორას და მიხეილისი, ძისა მისისა და ყოველთა მართლმადიდებელთა მეფეთა, არიოზისი და მაკედონიანისი სახსენებელი წყეული იყოს. ნესტორ, დეოსიდორე, ვესტუქი, სებუროს და თევდორე და დიოდორე შეჩვენებულ იყუნეს და ყოველნი მწვალებელნი და ერთს ბუნებისმეტყველნი და ორთა გეამთა მათ აღმსარებელნი ქრისტეს, ძისა მდთისა, შეჩვენებულ იყავნ“ (246r-v).

11. „ვინც მოიპაროს, გაუწერეს ამისი მადლი. ამისი დამწერი აცხოვოს ღმერთმა“ (ქ.ყ.ვ).

12. (ფანქრით) „საუკუნომცა არს სახსენებელი“ (ქ.ყ.ვ).

იხ. მინაწერები: ზ.ყ.ვ 9v, 65r-v, 113v, 114r, 147r, 157r, 162v, 163v, 164r, 233v.

14

(გსიემ 117)

ზატკიო. 1733

103 ფ.; 22X16; ქაღალდი, დალაქავებული. დაზიანებულია ფ. 1r, ზემო მარჯვენა მხარე მოხეული აქვს ფ.9; უყდო, დაშლილი, თანაკლული. აკლია: 55v-56r-ს და 99v-100r-ს შორის; ნუსხური; სათაურები და დასაწყისები სინგურით; 1733 წ. (103v), აქვს ჭვირნიშანი; გადამწერი: ოქონის ხატის დეკანოზი იესე გარსევანიშვილი; გადამწერის ადგილი: ოქონის ხატის ეკლესია.

<ზატკიო>. <წმიდისა კურიაკესა შუალამედ>— „...ნათლით შემოსილსა აღვსებასა პრეკონ შუალამესა და თქუას მღვდელმან კურთხეულარსი. წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუშნო. კს-ნი იბ, მოვედით თყ., რომელი დამკვდრებულარსთაგან, სრულად თქუან ჟამნი სერობისნი, კს-ნი მ. და მ-წყლ. წმიდასა დიდსა შაბათსა ვაღობანი ღამისთევისა. უგაღობ[დით]საჲ. რომელმან დაფარა. — ქრისტე, მკსნელო ჩუშნო მოკვდავთა ქუშყანასა და საფლავსა შინა...“ 1r-103v.

შენიშვნები: 1. 6r-7r-ზე მოთავსებულია „ვაღობანი აღდგომისანი, რომელ არიან პასექნი, თარგმნილი ეფრემ მცირისანი. ჳ-ი ა, უგაღობ-საჲ. — აღდგომისა დღე არს, განბრწყინდებოდეთ აწ, ერნო...“

2. წირვის წესები ზოგჯერ მოთავსებულია ხელნაწერის კიდებზე. მაგ.: 1r-v, 2r, 4v, 6r, და ა.შ.).

3. ხელნაწერის კიდებზე აღნიშნულია საგაღობლების ავტორები: იოანე (51v), ანდრია (57r), თეოფანე (67r).

4. ტექსტის ნაკლები ადგილები შევსებულია მოგვიანებით იმავე გადამწერის მიერ.

5. აქვს რეეულბრივი სათვალავიც.

შენიშვნები და ანდერძები: 1. „უფალო, შეიწყალე ცოდვილი დეკანოზი ოქონის ხატისა იესე“ (3v).

2. „შეგიყვარო შენ, უფალო, ძალო ჩუშნო, ...ჩემი მწე ჩემ ზედა არს და მე ვესავ მას“ (13v).

3. „პასეჟო, ყოვლად ბრწვინვალეო, ქრისტე ღმერთო, შემიწყ-
 ალე მე, ფრიად ცოდვილი დეკანოზი, გარსევეანი შევილი იესე,
 რომელმან აღვწერე ესე ფრიადსა ვითარებაში, რამეთუ არა გეკონ-
 და საყდარსა ჩუშნსა. ოქონის ხატს დავევე სულისა ჩემისა საოხად
 და მუღლისა ჩემისა ანახანუმიხსა მოხახსენებლად. ვინც
 იკითხვდეთ, შენდობას გვიბძანებდეთ თქუშნის ერისთვის, უფალნო
 ჩემნო“ (17r).

4. „ქაღალდი, დიად, ძვირი იყო და ნუ დამძრახავთ, უფალნო
 ჩემნო“ (25r).

(შენიშვნა გამოწვეულია იმით, რომ გადამწერს აქ ხაწერ მასაღ-
 ად გახეული ფურცელი გამოუყენებია).

5. „დედანი არა ჩნდა, უფალნო ჩემო“ (27v).

(იმის გამო, რომ „დედანი არა ჩნდა“, გადამწერს დაუწერელი
 ადგილი დაუტოვებია, რომელიც მოგვიანებით თვითონვე შეუწ-
 სია).

6. „ვაი, მეღანო, რა დაგემართა?!“ (59r).

7. „ეს გალობისა მუკლნი დედანს ამათ მეტი არ ეწერა, უფალ-
 ნო ჩემნო“ (96v).

8. „ღმერთო, შეიწყაღე ფრიად ცოდვილი იესე, ოქონის
 ხატის დეკანოზი, რომელმან აღვწერე ზადიცი ესე, რომელი
 აროდეს ყოფილიყო და არცა იყო და ფრიად ვწუხნი უქონელი-
 ბასა საყდრისა ჩუშნისათვის და დედანი ამის მეტი ვერ ვიშვნე-
 ვითარმცა აღმეწერა სრულიად, უფალნო ჩემნო, მკმარებელნო
 წიგნისა ამისნო, ლოცვაჲ ყავთ ჩემ ცოდვილის იესესთვის“.

მოგვიანებით მიწერილია: „ხოლო ოდეს არ იყოს“.

დიდ მწუხარებაში აღვწერე, რამეთუ მრჩობლნი უცხო თესლნი
 აოკრებდენ უწყალოდ ქართველთა, ვითარცა კრუმნი და ლეკნი
 კუადად. მ და ვაი უპატრონოსა, რამეთუ ქართლის პატრონნი
 რუსეთს მიეფარნენ. თანა ახლდათ ძმა, ძმისწული, შვილნი ჩემნი.
 ქ-ცა ოკა“ (103v).

მინაწერები: 1. „მღდეღს პატიოსანს, უფალს, მოღვაწეს,
 სახიერსა მონას, უფალს ჩემს, სულისამებრ და ხორცისამებრ
 ბიძას, ბატონს, მათის სიწმინდისა მოსაგი, მდაბალის შვილი, უხმარ
 მონა... .. ნარჩევთა მღდეღთა შორის, კეაღადცა ნა... მარჯვენას
 გეამბორები. ჩვენს ამბავს ლოცვით უჯ თქვენის მღდე-
 ლის უღირსმან, მღდეღების წესი. დაეითი (!) (18v).

2. (ნუსხურით) „ქ. ეს წიგნი გარსევეანი შევილის პეტრე-
 სი არის...“ (70v) (ბოლო ჩამოჭრილი აქვს).

3. „ეს გარსევეანი შევილის არის“ (96v).

4. „ქ. ეს ზადიცი გარსევეანი შევილისა პეტრესია“ (97v).
 იხ. მინაწერები: 8v, 21v, 27v, 28r, 63v, 71v, 79v, 83v, 84v, 85v, 88v,
 95r, 97v, 100r, 100v, 101v, 102v, 103r.

15

(გსიემ 118)

ქამისწირვა ანუ კონდაკი. XVIII

113 ფ.: 19,5X15,2 და 19,5X13,5 (ფ. 1-30 უფრო ვიწროა, ვიდაცას
 ჩამოუჭრია მარცხენა მხარე); ქაღალდი, გაყვითლებული, მეღანს
 იშრობს. ფ. 103-ს ქვედა კიდე ჩამოჭრილი აქვს; უყდო, დაშლილი,
 ნაკლული, ნუსხური, სათაურები და დასაწყისები სინგურით; [XVIII
 ს.], აქვს ჭვირნიშანი; დაუწერელია: 26v, 32v, 61v-92v.

1. [განგებად საღვთოთა წირვათა, ვითარ იქმნების მღვდელთა და დიაკონთა მიერ]. „...ლოცვანი სათქუმელნი მწუხრთა ზედა. თავი ბ, ლოცვაჲ ა. — უფალო სახიერო, სულგრძელო...“ 1r-32r.

შენიშვნა: 13r-ზე მოთავსებულია „შეისწავე, რამეთუ კურთხეული პური ესე მკურნალი არს ყოვლისა საქმისა საენებელისა, უკუშთუ ვინმე მიიღოს ხარწმუნოებითა“.

2. „საღვთო წირვა წმიდისა მამისა ჩუშნისა იოანე ოქროპირისა. ლოცვა დაგებისა. — ღმერთო, ღმერთო ჩუშნო, რომელმან ზეცისა პური საზრდელი ყოვლისა სოფლისა, უფალი ჩუშნი და ღმერთი იესუ ქრისტე მოავლინე მაცხოვრად და მკვსნელად და მაკურთხეველად...“ 33r-60v.

შენიშვნა: ბოლოს მიწერილია: „განსრულებაჲ წმიდისა ოქროპირის წირვისა“.

3. „საღვთო წირვა წმიდისა მამისა ჩუშნისა დიდისა ბასილისი. ლოცვა დაგებისა. — ღმერთო, ღმერთო ჩუშნო, რომელმან ზეცისა პური, საზრდელი ყოვლისა სოფლისა, უფალი ჩუშნი და ღმერთი იესუ ქრისტე მოავლინე მაცხოვრად და მკვსნელად და ქუშლის მოქმედად და მაკურთხეველად...“ 62r-88v.

შენიშვნები: 1. უძღვის: „შეისწავეთ, რამეთუ ჟამისწირვა ესე წმიდისა დიდისა ბასილისი ხამარადისოდ არ იწირვის, არამედ განწესებულთა დღეთა. ვითარმედ დიდისა მარხვისა კურიაკთა თვნიერ ბზობის კურისა, ეგრეთვე წმიდასა დიდსა ხუთშაბათსა და დიდსა შაბათსა და წინა დღესა შობისა ქრისტეს დისა ჩუშნისასა და წინა დღესა განცხადებისასა და თვით დღესასწაულსა ბასილისასა. ხოლო წესი და სწავლანი კვეთისა და რიგი წირვისა ამის ერთი არს, ვითარცა ოქროპირისა“ (1r).

ბოლოში მიწერილია: „სრულ იქმნა საღვთო წირვა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუშნისა დიდისა ბასილისა“ (88v).

4. „სწავლა საღვთოსა სიწმიდის განახლებისა. — წმიდისა და დიდსა მარხვასა შინა, რაჟამს ეკულებოდეს მღვდელსა სიწმიდის განახლებით წირვა, კვირიაკესა ჰკვეთოს წესისამებრ“ 89r-92r.

შენიშვნა: აღნიშნულ ფურცლების ზემო კიდებზე ქუდეზად აწერია: „საღვთო წირვა გრიგოლისა“.

5. „საღვთო წირვა სიწმინდის განახლებისა წმიდისა მამისა ჩუშნისა დიდისა გრიგოლისა. დ-იკნ.: გ-ვეკ მ-ფშო. მღვდელმან აღება. კურთხეულ-არს მეუფშბაჲ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა. და იწყოს წინამძღუარმან აკურთხევსი. ამისა შემდგომად დი-იკნ. თქუას: მშვდობით უფალო, მრ-თ, ვილოცოთ ზე გარდამო მშვიდობისა...“ 93r-104r.

შენიშვნა: ბოლოში მიწერილია: „სრულ იქმნა სიწმინდის განახლების წესი და წირვა“.

6. „ჩამოლოცვა შვიდეულთა, დღენი წესისამებრ აღმოსავლეთისა ეკლესიისა. შაბათსა მწუხრად. — ქრისტემან, ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუშნმან, მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა დედისა მისისათა...“ 104r-106r.

7. „ჩამოღო ცვა სამეფოთა დღესასწაულთა. მწუხრსა ზედა, ცისკრად და წირვასა ზედა წესისაებრ. ქრისტესშობასა – რომელი ბეთლემს ქვაბსა შინა იშვე და ბავასა მიიწინე...“ 106r-108r.

8. <ლოცვა ზიარებისა>. „აგრეთვე ამასცა იტყოდი. მიიახლო რადთა საღ-მთა საიდუმლოთა. – ესერა მივიახლები საღეთოსა ზიარებასა, შემოქმედო...“ 108r-113r.

შენიშვნა: აქვე შედის ღოცვები: ბასილისი (111r); სიმეონ მეტაფრასისა (111v); კურილე აღექსანდრიელისა (112r).

იხ. მინაწერები: 23r, 103v, 113v.

16

(გსიემ 4611)

ლექსთა კრებული. XX

37 ფ.; 21,5 X 17; ქაღალდი. ჭუჭყიანი, შავი ხაზით შემოხაზული ჩარჩოთი; უყდო, თავბოლონაკლული; ძაფით შეკერილი; მხედრული: [XX ს], გადამწერი: გარსევანი შევილი (I).

1. [აღ. ჭავჭავაძე, მაისის ვარდმან]. –

„... ..“

9. ვარდმან მიუგო ღიმილით,
მებრალი გულის მტკიენილით,
მაგრამ არშიეი ჰხამს იყოს
ხან მღერით და ხან ტირილით.

10. შეიშრე ცრემლთა მრავლობა
და ღაღადებით გალობა,
ნიაჟმა გბეროს, გაქაროს,
თუმცა ჰხამს ხელის მთვრალობა.” 1r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერის ცუდი აკინძვის გამო ამ ლექსის დასაწყისი იხ. აქვე 34 r-v-ზე. აღწერილობით № 47-ე.

2. აღ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, თბ.,

2. „ბესარიონ გაბაევის თქმული“ [შავნი შაშენი]. –

„1. შავნი შაშენი შავს გალიას შემსხდარნი,
ტურფად მსმობნი, ხმა ყარიბად მშვტირალნი...“ 1v-2v.

შენიშვნა: იხ. ბესიკი, თხზულებანი, აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით. თბ., 1962, გვ. 55.

3. [ლექსი]. –

„... ..“

5. გიხმოზ სუნელ წალკოტ ბაღად,
ყვავილოვანთ გაქეს გულ-დაღად,
მოვალ, მსხემო, ჰსწუხართ რაღად,
ნუ სტირი, საყვარელო“. 3r.

შენიშვნა: წინ აკლია 4 სტროფი.

4. [ნიკოლოზ ბარათაშვილი, ბუღბუღი ვარდზედ]. –
 „1. ბუღბუღი ვარდზედ მჯდარი, ეტყოდა მას მსტვინავი:
 ვარდო, ვარდო, მტანჯო ჩემო, გვედრებ გულით მტკინავი...“
 3v-4r.

შენიშვნა: იხ. ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945, გვ. 3.

5. [ალ. ჭავჭავაძე, უგვანთა ტრფობა]. –
 „1. უგვანთ ტრფობა, უგრძობთ გრძნობა, თუ ვის გსმენიათ.
 მეც მმართვეს მოთქმა, სრული მითქმა რაიც მთმენია...“ 4v.

შენიშვნა: იხ. 1940 წლის გამოცემა, გვ. 103.

6. [ოთარ ქობულაშვილი, ჰბრწყინავს მნათი]. –
 „1. ბრწყინავს მნათი, მზებრ ნათობ,
 კეკლუცობით მოკამათობ,
 მხილველს აერთობ, ყელ-ბროლ სათობ,
 შეუპყრივარ შენსა აღებს...“ 5r-v.

შენიშვნა: სულ 7 სტროფია. იხ. ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია, ტომი II, 1928, გვ. 296.

7. [ბესიკი, რა გული დავაგე შენად სარებლად]. –
 „1. რა გული დავაგე შენდა სარებლად,
 მუნიდგან ვარდს მიფენ მითომ არებით...“ 6r.

შენიშვნა: იხ. ბესიკის 1962 წ. გამოცემა, გვ. 52.

8. [ბებუთოვი ღვთისწყალობა, მუხამბაზი]. –
 „1. ეჰა, ღამაზო, რა მოგიგონე,
 მყის განმელა ძალი და ღონე...“ 6v-7r.

შენიშვნები: 1. ბოლოში მიწერილია „გათავდა“.

2. იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), VII, 1973, გვ. 597.

9. [ბარამ ბარათაშვილი, გერმანოზიშვილი, ნუ მწვავე, მიჯნურო]. –
 „1. ნუ მწვავე, მიჯნურო, არ გეპრალები?
 ნუ მამიკიდე ცეცხლის ალები...“

შენიშვნა: იხ. ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია, II, 1928, გვ. 291.

10. [ბესიკი, ხმა სირინოზს]. –
 „1. ხმა სირინოზს, დაწვე უღამბარ წინამოს
 დამქროლო ნიავო, არვად ვარე...“ 8r-v.

შენიშვნა: იხ. ბესიკი, თხზულებანი, 1962, გვ. 54.

11. [უნდო სოფელმან]. –
 1. „უნდო სოფელმან განმიმწარა დღე ცხოვრებისა,

დამთრგუნა მუნით, არ შეპარა ცეცხლი მგზნებისა...“ 8v-9r.

12. [აღ. ჭავჭავაძე, ში გაბადრულო მთვარე]. –
 „ში გაბადრულო მთვარე,
 ბნელსა ვზი, მომეხმარე...“ 9v-10r.

შენიშვნა: იხ. აღ. ჭავჭავაძის 1940 წლის გამოცემა, გვ. 101. ლექსის ავტორობა სადავოა.

13. [პეტრე ღარაძე, ჳმა კიპარი]. –
 „I. ჳმა კიპარი კამკამ კენარ მინათად
 სხივი გულსა სხივნი ნასად მთარე...“ 10r-v.

შენიშვნა: იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), VII, 1973, გვ. 103ა.

14. [ბესიკი, პირ ზამბახი]. –
 „I. პირ ზამბახი, ღაწუნი ვარდნი სად არის?
 სახე საესე, მთვარეს მზგავსი სად არის?...“ 11r.

შენიშვნები: I. იხ. ბესიკის 1962 წ. გამოცემა, გვ. 168. ლექსის ავტორობა სადავოა.

2. ამ ლექსის შემდეგ ახალი თავია გამოყოფილი, რომელსაც აწერია: „აქა მუხამბაზი იწყობის“.

15. [ბესიკი, მე შენი მგონე]. –
 „I. მე შენი მგონე, ჳირ შემკონე, დამწვი მალ აღო.
 ზილფო ნაშალო, შემაშალო, მკვლელო დაღალო...“ 11r-12r.

შენიშვნა: იხ. ბესიკის 1962 წ. გამოცემა, გვ. 44-45.

16. [ბესიკი, ტანო, ტატანო]. –
 „I. ტანო ტან ტანო, სულ წამტანო, უცხო მარებო,
 ზილფო კავებო, მომკლავებო, ვერ საკარებო...“ 12r-13r.

შენიშვნა: იხ. ბესიკის 1962 წ. გამოცემა, გვ. 35-36.

17. [ბესიკი, ბუღბუღის შურსა]. –
 „ბუღბუღის შურს შევდგომილვარ მუდმივ მზრახველი
 მწუხარის თვალთ შემოგყურებ შენი მსახველი...“ 13r-v.

შენიშვნა: იხ. ბესიკის 1962 წ. გამოცემა, გვ. 42-43.

18. [ბესიკი, მოდით მიჯნურნო]. –
 „I. მოდით, მიჯნურნო სოფლიერნო, ვინ ხართ დაგულნი,
 ისმინეთ ჩემნი ჳირნი მკვლელნი რა გვარად რთულნი...“ 14r-v.

შენიშვნა: იხ. ბესიკის 1932 წ. გამოცემა, გვ. 90. ავტორობა სადავოა.

19. [ბესიკი, ცრემლთა ისარნი]. –
 „I. ცრემლთა ისარნი და მოსისხარნი ჩემდა არენით,

იმელნი გულნი, ჭირნახულნი შეგვიწყენარენით...“ 14v-15v.

შენიშვნა: იხ. ბესიკის 1962 წ. გამოცემა, გვ. 46-47.

20. [ბესიკი, მე შენმა ფიქრმა მიმარინდა]. –

„1. მე შენმა ფიქრმა მიმარინდა, მიმცა ჭირებსა,
ანდამატისებრ მიმზიდა, ვგავ ნამჭირებსა...“ 15v-16r.

შენიშვნა: იხ. ბესიკის 1962 წ. გამოცემა, გვ. 37-38.

21. [ზაალ ბარათაშვილი (გოშტაშაბისშვილი), ბულ-
ბული მწუხარებს]. –

„ბულბული მწუხარეობს, ვარდი შემომწყრაღია,
ნარგიზ გზავნის წამლისთვის, ნეტარ რა მკურნაღია...“ 16r-17r.

შენიშვნა: იხ. ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთო-
ლოგია, II, 1928, გვ. 290.

22. [მუხამბაზი]. –

„1. დაჰკოდს ისარნი დაღახვრისანი, ეშხით ჰყურობს გულსა,
ორ პირად მჭრელი, სისხლითა მღვრელი, დაიჩენს წყლულ-
სა...“ 17r-v.

23. [ბუდალ ოღლან, მუსტაზადი]. –

„ეშხით დამწველი, ღერწამ წველ აღზრდილი ხარო,
ნარნარად რხევდა, მეცა სევდა, ძნელ შესადარო...“ 18r-v.

შენიშვნა: იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოდექს-
ცია), II, 1961, გვ. 274¹⁶⁰.

24. [ლექსი]. –

„1. კეკლუც ნაზისა, ხილვა მზისა განვიკრძალებით,
სხივნი ისარობს, უზენარობს შენის ძალებით...“ 18v-19r.

25. [დიმიტრი თუმანიშვილი, მუხამბაზი]. –

„1. რათ მომშორდი, ქცევით ამაყიანო,
უებრო, სატურფო, კეთილ დღიანო...“ 19v-20r.

შენიშვნა: იხ. დიმიტრი თუმანიშვილის ლექსები, 1938, გვ. 44-45.

26. [დიმიტრი თუმანიშვილი, მუსტაზადი ვალუფის
ხმაზედ]. –

„1. მნათობთა მზესა, მსხივნარესა, უქებ არესა,
კრონოზ, მარესა, მსხივნარესა, შესამზარესა...“ 20r-21r.

შენიშვნა: იხ. დიმიტრი თუმანიშვილის ლექსები, 1938, გვ. 66-
67.

27. [ლექსი]. –

„ავერ ცაში მზე ბრწყინვალეებს
და განფანტა დამე ბნელი...“ 21r-v.

შენიშვნები: 1. ლექსი ფანქრით არის ნასწორები.

2. გამოყენებული აქვს გიორგი ერისთავს თავის პიესებ-

ში. იხ. მისი თხზულებანი, 1966, გვ 107, 152.

28. [ლექსი]. -

„მკლავს სიყვარული, ათასფერი ერთად ის არის,
ათასნაირი, გარდაშლილი ვარდიც ის არის...“ 21v-22r.

შენიშვნა: აქედან იწყება ახალი ჯგუფი ლექსებისა, რომელსაც თავზე აწერია „თახნისი“.

29. [მეფის ძის ღვეანისაგან თქმული]. -

„1. როს განვიცადე ბედკრულმან, გული საკვდავად დარია,
ცნობა მიმხადა მთებმან, სურვილმან მისმან დარია...“ 22r-23r.

შენიშვნები: 1. იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), II, 1961, გვ. 342, 351_გ.

2. დაბეჭდილია ბესიკის 1932 წ. გამოცემის სადავო ლექსებში, გვ. 92.

30. [ანახანუმ დედოფლის დის, ბარბარეს, მიწერილი ჭაბუასთან]. -

„1. სიცრუითა დიდებულობ, მზაკვარობითა მოვწონს თავი,
მცბიერობ და მანკიერობ, ვერაგობით ხშირად ყვაევი...“ 23r-v.

შენიშვნა: იხ. ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია, II, გვ. 248.

31. [ბესიკი, შავ გლახ გულო]. -

„შავ გლახ გულო, ვისთვის იწვი მუდამით,
მეტნური ეშხი ესოდენს ხანს რიდებით...“ 24r.

შენიშვნა: იხ. ბესიკის 1962 წ. გამოცემა, გვ. 53.

32. [ლექსი]. -

„1. ამ ჟამად შენ გშვენის ქებად, შენ აღმოჩნდი ვეველად,
მიატენვით თავშიშველნი, მხილველნი რბიან ველად...“ 24v.

შენიშვნა: აქ თავდება თახნისი.

33. [ლექსი]. -

„1. „რა რომ პირველად გიხილე, გული ჩემი მან დაბნიდა,
ხედამ, როგორ გადვირიე, ვიარები სად, რა მინდა...“ 25r-v.

34. [ლექსი]. -

„1. ეტრფის გული მზისა ხალთა,
ღამაზ თვალთა, შავთ მაყვალთა...“ 26r-v.

35. [ქობულაშვილი ოთარ, ეპა, სიცოცხლე მკლგებია]. -

„1. ეპა, სიცოცხლე მკლგებია,
ჭმუნვის მახვილი მხლგებია...“ 27r-v.

შენიშვნები: 1. ბოლოს მიწერილია „დასრულდა“.

2. იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), II, 1951.

გვ. 102₂₈.

36. [ნიკოლოზ ბარათაშვილი, სულო ბოროტო]. –
 „სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
 ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად...“ 27v-28r.

შენიშვნა: იხ. ნ. ბარათაშვილის 1945 წ. გამოცემა, გვ. 40.

37. [ალ. ჭავჭავაძე, ჭმუნვის მახვილი]. –
 „1. ჭმუნვის მახვილი გულსა მსობია.
 მიკვირს, თუ სული რათ არ მნდობია...“ 28r-v.

შენიშვნა: იხ. ალ. ჭავჭავაძის 1940წ. გამოცემა, გვ. 63.

38. [ალ. ჭავჭავაძე, არვის მართებს]. –
 „1. არვის მართებს მის ვარდისა მიხვედრა,
 ვის გლახ დაემონა, დაესვა ...“

შენიშვნა: იხ. ალ. ჭავჭავაძის 1940 წ. გამოცემა, გვ. 9.

39. [თუმანიშვილი პაულე, ბროლის მკერდი]. –
 „1. ბროლის მკერდი, შუქი ავსე, ისარე,
 რხევით ნაზო, ტან ალვის ხე ისარე ...“ 29v.

შენიშვნა: იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), VII, 1973, გვ. 102₂₈.

40. [ალ. ჭავჭავაძე, როს არშიყი]. –
 „1. როს არშიყი საყვარლისა ხილვას ეშურებოდეს,
 რა გნახოს, მეყსეულად გრძნობით ეუბნებოდეს ...“ 30r.

შენიშვნა: იხ. ალ. ჭავჭავაძის 1940 წ. გამოცემა, გვ. 108.

41. [გარსევან ყორღანოვი, ლექსი]. –
 „1. ახ მარალო, მარალო, რაც შენ ჩემგნით წახველი,
 ვიცი, უცილოდ მამკლამს დარდი შენი ნამდვილი ...“ 30v-31v.

შენიშვნა: იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (Sკოლექცია), IV, 1965, გვ. 29.

42. [გიორგი თუმანიშვილი, ყაზალის ხმაზედ]. –
 „1. მუხთალმან ამან სოფელმან, ასრედ შემქმნა მომტირალი,
 ამად ვსტირი ბედსა ჩემსა, რომელ ვარდმან დამდო ბრალი...“
 31v.

შენიშვნა: იხ. გ. მიქაძე, გიორგი თუმანიშვილი (ძვ. ქართული მწერლობის საკითხები, კრ. I, 1962, გვ. 54).

43. [ბარათაშვილი ბარამ, ცეცხლი მოედოს]. –
 „1. ცეცხლი მოედოს, ვინც რომ ენდოს ლამაზსა ქალსა,
 თვისა ტრფიალსა არ დაუღევს სახმილის აღსა...“ 32r.

შენიშვნა: იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (Qკოლექცია).

(ცია), I, გვ. 24₂₀

44. [აღ. ჭავჭავაძე, მშვენიერთა ხელმწიფავ]. –
 „I. მშვენიერთა ხელმწიფავ, მკლავ სიშორით შენითა.
 კენესის გული საკუდავად, მსწრაფლივ არის ენითა ...“ 32v.
 შენიშვნა: იხ. აღ. ჭავჭავაძის 1940 წლის გამოცემა, გვ.102.
45. [სტეფანე ფერშანგოვი, საყვარელსა განმაშორა]. –
 „I. სიყვარულსა განმაშორა სოფელმან,
 მსწრაფლ დამაგდო მომტირალი სოფელმან ...“ 32v-33r.
 შენიშვნა: იხ. ი. ბალახიშვილი, გორელი პოეტი სტეფანე
 ფერშანგიშვილი, 1942, გვ.34.
46. [ლექსი]. –
 „I. ჰოი, უწყალოდ რამ გაგვყარა შენ და მე,
 რამ შეგვიპყრა, რამ გაგვწირა შენ და მე ...“ 33v.
47. [აღ. ჭავჭავაძე, მაისის ვარდმან]. –
 „მაისის ვარდმან ფურჩქნილმან,
 ბეზიკმან მწვანეთ მკობილმან ...“ 34r-v.
 შენიშვნები: 1. იხ. აღ. ჭავჭავაძის 1940 წლის გამოცემა, გვ.13.
 2. ეს ფურცელი უადგილო ადგილზეა ჩაკერილი. იგი ხელნაწ-
 ერში სულ წინ უნდა იყოს. იხ. აქვე №1.
48. [ლექსი]. –
 „I. აწ შეხამკობი არს ენითა,
 მზე ვიხილეთ შეუქთა ფენითა...“ 35r-v.
49. [ბარამ ბარათაშვილი, კარნი დახშულან]. –
 „კარნი დახშულან ვარდისანი, ვითლა ნახოს ბულბულმა იგი
 ზანბახ-შროშანი, სვერა ვარდთა, ვით სახოს ბულბულმა იგი...“ 35r.
 შენიშვნა: იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექ-
 ცია), II, 1961, გვ.277₁₉₅.
50. [ბესიკი, ბულბული მოდის მწუხარებით]. –
 „ბულბული მოდის მწუხარებით, ცრემლის დენითა
 თურმე მებაღეს დაეტუქსა ცეცხლმოდებითა...“ 36r.
 შენიშვნა: იხ. ბესიკის 1962 წლის გამოცემა, გვ. 34.
51. [ბესიკი, რა გული დავაგე შენად სარებლად]. –
 „I. რა გული დავაგე შენდა სარებლად,
 მუნიღგან ვარდს გიფენ მითომ არებით ...“ 36v.
 შენიშვნა: იხ. ბესიკის 1962 წლის გამოცემა, გვ. 52. იხ. აგრეთვე
 აქვე №7.
52. [დავით სარდალი, ორბელიანი, ედემო ვარდო]. –
 „I. ედემო ვარდო, არ დამაგდო, ვარ მონა შენი,

პირზედ გაქვს ხალი, შავი შავ თვალი, ნახვა მსურს შენი...“ 37r.

შენიშვნა: იხ. ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია, II, 1928წ. გვ. 267.

53. [ლექსი]. -

„I. მსურს გიანბო ჭირნი ჩემნი
ტრფიალმან, მ, საყვარელო...“ 37v.

შენიშვნა: საქაღალდე, რომელშიაც ეს ხელნაწერი დევს, აწერია „გარსევანი შვილის გადაწერილი“.

მინაწერები: 1. (ფანქრით) „შუშანიკა ზახაროვი“ 22r.
2. (წითელი ფანქრით) „ახ თვალების ხმაზედ“ 35r.

17

(გსიემ 119)

კრებული. XIX

113 ფ.: 16,5X10,5; ღურჯი ფერის ქაღალდი, რომელიც მელანს იყვინთავს; მწვანე ფერის ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა, ყდისთვის გამოყენებული ქაღალდი დაფარულია მხედრულით დაწერილი ტექსტით, რომელიც წარმოადგენს რუსულ-ქართულ შეხატვისებს, მაგ.: სვატი - წმინდა, სკოტე - პირუტყვი და ა.შ; მხედრული, სათაურები და დახაწვისები მთავრულით, თავსაშკაული (1r. 69v, 82r. 95v), ბოლოსაშკაული (69r); [XIX ს]; აქვს ჭირნიშანი.

1. „ს ძლი სპირნი და ღვთისმშობლისანი. გალობა, კმა ა.-სასწაულითა იხსნა ერი უფალმან და ზღვა მღვლვარე სიტყვით განახლო...“ 1r-69r.

შენიშვნა: შეიცავს გალობათა ძლისპირებს და ღვთისმშობლისას რვა ხმაზე.

2. „ს ძლი სპირნი და ღვთისმშობლისანი. უფალო დაღადეყვსა კმაჲ. ა.-შენ, სიტყუაო დაუსაბამო, ზეცისა მეუფე, თანაჲსწორო მამისა, სიმდაბლით გარდამოხედ და ქალწულისაგან ვითარცა ყრმა იშვე...“ 69v-81v.

შენიშვნა: შეიცავს სტიქარონთა ძლისპირებს და ღვთისმშობლისას რვა ხმაზე.

3. <სამფსალმუნი>. „დიდისა ორშაბათისა. - ხილუად უჩუშველისა და მღვლვარისა ზღვისა სამლოთო ბრძანებითა თვისითა განმანხობელსა...“ 82r-85v.

4. „შობასა ყოვლად წმიდისასა. - შობამან შენმან, ღვთისმშობელო ქალწულო, სიხარული მაუწყა ყოველსა სოფელსა...“ 86r-89r.

5. „მიცუადებასა. - შობასა ქალწულება დაიმარხე და მიცუალებასა სოფელი არა დაუტყვე, ღვთისმშობელო, მოხუშდ ცხოვრებად დედა ეგე ცხოვრებისა და აწ მეოხებითა შენითა იხსნი სიკუდილისაგან სულთა ჩუშნთა...“ 89r-93v.

6. „მოშიხსენენი, კმა ა. - საჭმლისა მიერ გამოხადა მტერმან

ადამი სამოთხით...“ 93v-95v.

შენიშვნა: შეიცავს რვა ხმას.

7. [სახარების განმარტება]. „პირველი, სახარება პირველი, დასაბამი სახარებისა იესუ ქრისტესი, ძისა ღმრთისა, ვითარ წერილ-არს წინასწარმეტყუშლთა შინა. – აჰა, მე წარუაღედნ ანგელოსსა ჩემსა...“ 95v-96v.

შენიშვნა: წარმოადგენს სახარების მცირე ნაწილის განმარტებას.

8. „თვესა სეკდენბერსა იგ, წმიდისა და დიდებულისა მოწამისა ქეთევანისა, ესე რომელი აღმოვიდა მიერთაგან სამეფოსა, ესე იგი სადავითოსაგან და საწინასწარმეტყუშლოსა დასაბამისა. – ესე ღუთივ დიდებული და მრავალბრწყინვალე მოწამე ქრისტესი ქეთევან ასული იყო კეთილმსახურისა აშოთან ბაგრატიონისა, რომლისა მამამ მეორე ნათესავი იყო კეთილმსახურისა კოსტანტინეთგან, მეფისა ქართუშლთასა...“ 96v-100v.

შენიშვნა: წარმოადგენს სვინაქსარულ ცხოვრებას. გამოცემულია, იხ. ანტონ პირველი, მარტირიკა (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი VI, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ენრიკო გაბიძაშვილმა და მიხეილ ქავთარიამ, 1980, გვ. 446-450).

9. <წამება წმიდისა ქეთევანისა>, ნიკოლოზ ტვიდელი-ისა. – [ეთეროვნისა, სპარსთაგან სმენილით]
 „მზის ქუმშე მნათი, მეორე მზე ქართუშლთა...“ 101r.

შენიშვნა: დაბეჭდილია. იხ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 583.

10. <წამება წმიდისა ქეთევანისა>, ანტონისი. –
 „ცეცხლით მოიწავს ხორცთა, ძარღვთურთ განღევს...“ 101r-v.

11. „მისივე [მასხვევე]. –
 აღი სამლოსა სურვილისა სახმილთა ნეტარმან სძალმან ქრისტესმან ივარდიე-იღრუბლა“ 101v-102r.

შენიშვნა: მე-10 და მე-11 დასახელების სტროფები აღებულია „წყოზილსიტყვაობიდან“. მე-11 დასახელება აკროსტიქულია, იძლევა ანტონ. იხ. წყოზილსიტყვაობა, რ. ბარამიძის რედაქციით, 1972 წ. გვ. 97, № 407-408 სტროფები.

12. „ანტონისი. – მხნეო ხმობამან პრჩეულთა მხედართამან ...“ 102r-v.

შენიშვნა: სტროფი ამოღებულია „წყოზილსიტყვაობიდან“ (№ 47) და მიძღვნილია 1659 წ. კახეთის აჯანყების გმირებისადმი.

13. „მარხუნისა. – მოსწრაფლ განუხუშნ სინანულისა ბტენი...“ 102v-109r.

მინაწერები: 1. „წიგნთაგან აღექსანდრე გარსევანო-

ვისათა. ჩემე წელსა, იმ აპრილსა“ (ზ.ყ.ვ).

2. „წელსა ჩეთ, წელსა დეკემბრის კმ დღესა. ქ. ორი წყვილი წისქვილის ქვები ვიყიდე ჩემის ჯამაგირის ფულითა საკუთრად ტფილისში. შვიდი თუმანი და ექვსი მინალთუნი მარტო ქვებში მივეცი.“

ქ. ამ ოთხი ქვის მოსატანი ორ-თუმან-ნახევარი გამომართვეს, რადგან ზამთარი იყო და ნაკლებ არაეინ მოიტანა.

ქ. წისქვილის სახლი, პირველად, რადგან ტატო საშენებული იყო, ამის ნახევრის შენობა დაეფასებინეთ და ექვსი თუმანი ნახევარ ხარჯი დამედვა და ესეც ორ კვირაზედ მივეცი ტეტიან-ვიღებსა.

ქ. ერთ წყვილს ბორბალში ექვსი მანეთი გამომართვეს.

ქ. ერთ წყვილს ხეშირებში ექვსი მანეთი და ორი აბაზი მივეცი.

ქ. წისქვილების გათლაში და მოწყობაში ორი თუმანი თეთრი მივეცი გიორგი მაისურაძესა, სხვა ხარჯს გარდა, რომ უნდა ააბრუნოს და მომბაროს.

ქ. ორის თუმნის და სამი აბაზის რკინეული იარაღი მოუნდა, რომელიც ჩემის საკუთარის თეთრით გაეაკეთებინე.

ქ. თუმან-ნახევარი ღარებში მივეცი და მოტანაში დამეხარჯა სამი მანეთი. რადგან იანვარი იყო და ყინული.

ქ. ორი მინალთუნი წერაქვებში მივეცი.

ქ. შვიდი აბაზი სამს ღითონში მივეცი.

ქ. ხუთი აბაზისა ნიჩბები ვიყიდე.

ქ. კიდევ ადრე, მანამდის ავაბრუნებდი, ნინია ნახუცარს მივეცი თუმან ნახევარზე შენობისა, რადგან მერმე მამატყუა და რაც დამედვა სამართლით, არ გამიბარა და ბართიც არა მქონდა მოცემული.

ქ. რვა მინალთუნი შვიდს ფიჭვის ხეში მივეცი.

ქ. სათავისთეინ ორი ნაძვის ხე ვიყიდე რვა აბაზათ.

ქ. ხუთი მინალთუნი ექვსს სხვილს მუხაში მივეცი, რომელზედაც წისქვილები სხედან.

ქ. ოთხი ურეში კოჭი, დასაგებად, ვიყიდე ხუთ მინალთუნ ორ აბაზად.

ქ. რუს გაგანიერებაზე თექვსმეტი მინალთუნის საკლავი მოუნდა.

ქ. თერთმეტი კოკა ღვინო მოუნდა და ხუთი თუნგი. ამ დროში კოკა ღვინო ცხრა აბაზათ იხყიდებოდა და მეც ასე ვიყიდე.

ქ. ათი კოდი პური ფქვილი მოუნდა მუშასა. კოდი ექვს აბაზად იყო და მეც ასე ვიყიდე.

ქ. ხიზილად ლიტრა ნახევარი ერთი მანეთი მივეცი.

ქ. მუშა მოუნდა: ოცდაერთი კარაღეთი დამ.

ქ. თექვსმეტი ახალდაბი დამ.

ქ. თხუთმეტი არაშენდი დამ.

ქ. თერთმეტი ვარიანი დამ.

ქ. ოცდაათი მუშა კიდევ იქაური.

ქ. ოცდარვა მუშა რაჭველები.

ქ. თორმეტი მუშა რაჭველი, რომელთაც მუშას ვიჭერდი დღეში სამ შაურად.

ქ. ხუთი მინალთუნი ხალათად მივეცი.

ქ. თორმეტი მინალთუნი დღიური სამუშაო მივეცი ოსტატსა, სახმელ-საჭმელ გარდა, რომელიც დღეში ხუთ ჩარექს ღვინოსა სუმად, სამი პური, სამი ჩარექი ხორცი და სტილი ყუა უნდებოდა, რომელმაც თორამეტი დღე იმუშავა დღიურად.

ქ. ხუთი აბაზის ღურსმანი მოუნდა.

ქ. თერთმეტი დარაბა ვიყიდე ორ-ორ შაურად გარდარამიები-

სათვის.

ქ. სათავის რუს გამოგდებაზე ექვსი თუნგი ღვინო დამეხარჯა და ორი თუნგნახევარი არაყი, რადგან ზამთარი იყო და არავინ შევიდა წყალში, რომელიც ჯერ პატარასათვის (წისქვილისათვის) მივუგდე წყალი და ეს დაიხარჯა.

ქ. ორი კოდი ფეტვი დამეხარჯა წისქვილების პირიელ მობრუნებაზე ხრილათა (!).

ქ. ორი აბაზის ღატანი მოუნდა ხეშირების დასადგმელად.

ქ. ხუთი აბაზი ფიტვის ხეების გამოსაშლელად.

ქ. მტკურიდამ თედოწმინდამდინ შვიდი ხე ავატაინე, შვიდი აბაზი გამომართვეს.

ქ. ამის ჯამი იქნა ერთობით ოცდაჩვიდმეტი თუმანი თეთრი ფული, ჩემი ალალი ნაოფლარი, სიყვარულისათვის მამულისა დახარჯული. იესე მღუდელ გარსევანოვი, ძე გარსე-ვანიისი, ძე იესესი, ძე იოანესი, ძე იაკობისი. იან-ვარსა 22 დღესა. წელსა წყვა-სა“ (111v-113r).

3. „ქ. კიდევ ხუთი თუმანი თეთრი სათავესა და გამართვას მოუნდა.

ქ. წყებ წელსა თედოსისაგან ერთი თვალი წისქვილი ვიყიდე კიდევ და მივეცი ორმოცდაცხრა თუმანი თეთრი ფული. და ორჯელ სათავე წაუხდინა წყალმა და ორჯელავე ექვსი მინალ-თუნი მოუნდა და კიდევ.

ქ. გაღმა წედისს, წიგნები წაერთვი ჩემს ყმას გონგაძეს და იმის მამულები გამოვიტანე და ამაშიც დამეხარჯა ცამეტი მინალ-თუნი.

ქ. გორის ქალაქში სახახლე ქვითკირისა აღვაშენე და იმაში არავინ შემწევია, არც მტერი და არც მოყვარე და არც ჩემი სახ-ლისა დამიხარჯაეს რამე და ერთის ჯამის კანგარიშით დამეხარ-ჯა, როგორც გაღავენზე, ისე სახლზედ, ჩემი ალალი თეთრი ორ-მოცდათოთხმეტ თუმან-ნახევარი. გაღესე (გაღესვის (!)) გარდა და რაც დღეის იქით ხარჯი ექნება, ის სხვა არის. წყებ წელსა, ივნისი“ (113v).

4. „ქ. ექვსი თუმანი და ორი კოდი პური გაღესვაზედ.

ქ. მარნის შენებაზედ კედლისა და ჭერის დასახურავათ რვა თუმანი და ორი მანეთი სრულებით მიმიცია.

ქ. გაღაენის და იმისის კარის და აქეთ-იქით კედლისა და სათობის შენებისათვის ექვსი თუმანი და ცხრა მანეთი მიმიცია და სადაეოს ნადარბაზევის დახსნის ფული ოხანჯანა შვილებს უნდა მიეცეს“ (ქ. ყ.ვ).

იხ. მინაწერები: 109v-111v.

18

(გსიემ 120)

წესი კურთხევისათვის ეკლესიისა მღუდელმთავრისა მიერ. XVIII

63 ფ.: 17X11; ქალაღი, შიგადაშიგ ქალაღდში გაყდენთილია მელანი; ტვიფრული ყავისფერი ტყავადაკრული ხის ყდა, და ზიანებული; 63 ფ-ის ნაწილია შემორჩენილი; მხედრული, სათაურები მთაერულით; [XVIII ს.], აქვს ჭვირნიშანი; დაუწერელია: (1v,42v).

„წესი კურთხევისათვის ეკლესიისა მ, მღუდელმთავრისა მიერ ქმნილისა. — ეკლესია რა აღშენებულ იქმნების, მოვალს წარმოგ-

ზავნილი მღუდელმთავრისაგან, რომელსაცა უბრძანებს პირველ ერთისა დღისა ანუ უფროსისა, და მოამზადებს ყოველთავე სახმართა კურთხევი-
 ხათუს ...“ 2r-63r.

წყდება: „... და მასვე საღეთო მაქსიმე სხოლიონდა ...“ (აკლია მხოლოდ ერთი წინადადება).

შენიშვნა: შეიცავს: „დასაწყისი კურთხევისა“ (5v-40v); „უწყე-
 ბა მასალიხა წმიდასა ტრაპეზსა ზედა დასახსმედისა“ (41r-42r);
 „განგებაი ეკლესიისა, თუ ოდეს იკურთხები, ანუ ოდეს არა იკურთხე-
 ები, ჯერ-არს ცნობა ამისი“ (43r-44r); „ტიპიკონი მის დიდისა
 დღესასწაულობითი, რომელსა დღესა იქმნების კურთხევა ანუ
 განახლება ეკლესიისა“ (44r-47v); „განახლება, თუ ვითარ კშუმნის
 არხიმანდრიტისაგან ანუ უპირატესისა მღუდლისაგან. კურთხევა
 ეკლესიისა, ოდეს მღუდელმთავარი წარატანს კურთხეულსა ოდიკსა
 დადებად ეკლესიისა შინა და უბრძანებს კურთხევად“ (48r-63r).

მინაწერები: „წიგნითაგან აღექსანდრე გარსევეანოვი-
 ხა“ (1r).

19

(გსემ 121)

ანტონ I, კატილორია-სიმეტნე. 1796

194 ფ.; 16,7X10; ღურჯი ფერის ქაღალდი, დაზიანებულია ფ.
 154, 193; შავი ფერის ტვიფრული ტყავადაკრული მუყაოს ყდა
 (მუყაოდ გამოყენებულია ერთმანეთზე დაკრული ხელნაწერი ფურ-
 ცლები); მხედრული, სათაურები და დასაწყისები წითელი მეღნით;
 თავსამკაული: (9r); 1796 წ. აგვისტოს 27 (193v), აქვს ჭეირნიშანი,
 დაუწერელია: 1v-3v, 5r-v, 8r-v, 154v, 194r-v.

„ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავეითიანისა,
 კატილორიათა არისტოტელიძითად შეყუანილება. §1. საჭირო ვიდრემე
 არს სიბრძნის მოყუარებისად მოწაფე ქმნილთა ცნობად; რაოდენ გუარ-
 ობს ზედმიწევნილებად კაცობრივი მით, რომელ უკეთუ არ მეცნავე-
 იქმნებინცა ამისდა მოწაფენი სიბრძნის მოყუარებისანი...“ 9r-154r.

შენიშვნები: 1. უძღვის ა. თავფურცელზე: „სადიდებულად ცხ-
 ოველს-მყოფელისა, თანა-არსისა და განუყოფელისა სამებისა ან-
 ტონისაგან, არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოისა
 საქართუმლოისა, დავითიან-ბაგრატიონისა ქმნილი ანუ თქმუ-
 ლი წიგნი კატილორია-სიმეტნე, დასჯილი მისგან კმასა
 ზედა არისტოტელიძისა, შემდგომითვე მისითა, მაგრა სხუ-
 ათაცა სხოლასტიკოსთა და ახალთა ფილოსოფოსთა განსახდუ-
 რებათაგან და გარდამოცემათა მოღებული, ხოლო წინადადებული
 თვისისა სხოლისა მოწაფეთად დროსა ყოველად-ბრწყინუალისა
 უკეთილ-მსახურებისა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა, მე-
 ფისა ყოვლისა ზემოისა საქართუმლოისასა, ხოლო მამათ-
 მთავრობასა თვისისასა.

წელსა დასაბამითგან სოფლისა 7275.

კორციელად შობითგან სიტყუსა ღვთისა 1767.

თთუმსა მერუმსა რიცხუსა 9.

დაიწერა ახალსა გნოსისსა შინა სამეფოსა მისისა მეფობისა
 უმაღლესობისასა“ (4r-v).

ბ. „წინა-სიტყუობა წინამდებარისა წიგნისა ხუთ-ნაწილოანთა

ანუ დასდებულთა ზედა ცხრა რიცხუთა ან ტონის მიერ არხიეპისკოპოსისა, დავითიანისა. — არ საღალითმან, კადრმან გუათანადა ჩუწნ...“ (6r-7v).

2. ერთვის: „პისაქს-სიტყუაობა ჩუწნ მიერ თანაშეყუანილებათა კატილორიათა სიმეტნეთა და რომელთადმე კსჯილთა ჩუწნ მიერ ქართულსა აღტა-ვიტასა ზედო...“ 155r-193v.

3. იხ. ს. გორგაძე, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში. შ. „ნენი მეცნიერება“, 1923, №2-3, გვ. 146-147.

ანდერძი: „იკავნ ხადიდებულად ემმანუილისა და უბიწოდ მშობელისა მისისა, ამინ და უკ-ე, აგეისტოს კზ, ქ-კს უპდ“ (193v).

შინაწერები: 1. „წიგნთგან იესესთა“ (1r).

2. „წიგნთგან აღექსანდრე გარსეკვანოვისათა ნემეწელსა, იმ აპრილსა“ (ქყ.v).

20

(გსიემ 122)

კრებული. 1788

216 ფ.; 21X16; ქაღალდი, დალაქაუებული, ჭუჭყიანი; შავი ფერის ტვიფრული ტყავადაკრული მუკაოს ყდა (მუკაოდ გამოყენებულია ერთმანეთზე დაკრული ფურცლები) ორი ტყავის საკეტი, დაზიანებული; მხედრული, ხათაურები ზოგჯერ წითელი მელნი; 1788 წ. (215r); აქვს ჭვირნიშანი; გადამწერი პავლე გიორგისძე (215r, 216v); გადაწერის ადგილი: ქ. ყიზლარი (216v).

1. „ქ. სწავლანი, გამოკრებულნი სიბრძნისაგან და იგავთა სოლომონისათა, ისო ზირაქისა, სამოციქულოსა და კათოლიკისაგან, რომელიცა ახარებს გულსა და განუსვენებს სულსა კაცისასა. იგავნი სოლომონისანი, სწავლა საყოველთაო გამოკრებული მეფისა ვახტანგისაგან. იგავი. თავი პირველი. იგავნი სოლომონისანი, ძისა დავითისა, რომელი შეფობდა იერუსალიმსა ზედა, ცნობად სიბრძნისა და სწავლებისა, ცნობად სიტყვათა ვონებისათა შეწყნარებად ქცევისა, სიტყუთა დახსნად იგავთა, ხოლო ცნობად ავმართლისა და ჭეშმარიტებისა და მშჯავრის წარმართებად, რათა მისცენ უმანკოთა ხელოვანება ენმათა ჩჩვილთა ცნობად გულისხმის საყოფად, რომელთა იგი ესმნეს ბუნისა, ხოლო მეცნიერმან მოღვაწება მოიპოვოს...“ 1r-146r.

შენიშვნები: 1. ერთვის: „ზანდუკი წიგნის ამის...“ (147r-148v).

2. იმ პირს, რომელსაც ხელნაწერისათვის გვერდობლივი აღრიცხვა გაუკეთებია, ზანდუკში ხათაურებთან მიუწერია სათანადო გვერდები.

2. „წამება წმინდათა წინასწარმეტყველთანი. იესო ქრისტე, ძე ღვთისა, ღმერთი ჭეშმარიტი, ვითარ განხორციელდა, იშვა და ჯვარს ეცვა, აღდგა, კუალად მომავალ არს განსჯად ცხოველთა და მკედართა, გამოღებული საღვთო წერილისაგან სულხან-საბა ორბელიანის მიერ. თავი 1. ესაია 23:13: — შეყუარებული უფლისა იაკობისნი ძენი და რჩეულნი ღვთისა ერი და ნათესავი მათი ვითარი განუდგეს ღმერთსა...“ 149r-170v.

შენიშვნა: ერთვის გადამწერის ანდერძი: „საბა აცხონოს ღმერთმან. იმისის წიგნიდამ გადმიწერია, ღვთის გულისათვის, ვინც

წაიკითხოთ, საბასა და პავლე სენდობა უთხარით“ (170v).

3. „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ.

საქრისტიანო მოძღვრება პირველად სასწავლო ყრმათათვის, აღწერილი პავლე ძე გიორგისაგან და მის მიერ თქმული, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი, სარწმუნოებისათვის მართლისა და უბიწოთა შჯულისა, რომელი მოგვეცა წმინდათა მამათა მიერ. — მოძღვარმან ჰკითხა ყრმასა ეისმე, ვითარმედ: შენ ვინ ხარ? ყრმამან მიუგო და პრქვა, ქრისტიანე...“ 170v-215r.

შენიშვნები: 1. ერთეის ანდერძი: „ესე არის მართალი და უბიწო საქრისტიანო მოძღვრება მოკლითა სიტყვითა, მე, შენდობილი გიორგის შვილმა პავლემ გადმოვიღე შენდობილ სულხანსაბა ორბელიანის წერილიდამ, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი. დაეხწერე ღ-თი, წელს ჩამს ქრისტიანობის დ.

ვიყავ ვერად.

მცნობდენ ვერად.

ვიქმენ ბერად.

ვემგზავსე ვერად“.

2. ხელნაწერში აღექსანდრე გარსევანის შვილს ჩაუწერია თავისი შენიშვნები (იხ. 171r-v, 172v, 174r, 179v, 180r, 199v, 206v, 208v, 214v, 215r).

3. გამოცემულია: იხ. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, III, 1963, გვ. 227-234. გამოცემაში ეს ტექსტი წარმოდგენილია B რედაქციით.

ანდერძი (გადამწერის) „ქ ეს წიგნი მე, პავლეს, დამიწერია ყიზლარის ქალაქში ჩემის სულის საოხებლათ. აღმომკითხველმან შენდობა ბრძანეთ. აღიწერა წიგნი ესე წმინდასა ამას ქალაქს ყიზლარისას“ (216v) (ეს ანდერძი ხელნაწერში უფრო მოგვიანებით არის ჩაწერილი).

მინაწერები: 1. „ქ. ღმერთმანი, თქვენის სიბრძნე-მეცნიერობით აღსრულებულის თავი მცირის სანაცვლო ამყოფოს თქვენის დის ორსავე სოფელის სიხარულო, ძმაო, ბატონო სეიმონ“ (ზ.გ.ვ)

2. „უძვირფასესო და უსაყვარლესო დისწულსო საქართვე, მოწყალეო ხელმწიფე...“ (1r).

3. „წიგნთაგან აღექსანდრე გარსევანოვისათა ჩემე წელსა იმ-სა აპრილსა“ (1r).

იხ. მინაწერები: 1v, 2r, 15v, 56r, 130v, 146r-v, 149r, 171v, 194r, 215v, 216v, ქ.გ.ვ.

21

(გსიემ 124)

რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი. 1839

169 ფ.; 33X21; მომწვანო ფერის ქაღალდი, დალაქავებული; დაზიანებულია ფ. 1, 83; ხელნაწერს ქონია შავი ფერის ტვიფრული ტყავადაკრული ხის ყდა, ახლა მხოლოდ ქვემო ყდაა დარჩენილი, ზემოთ კი გაუკეთებიათ ქაღალდის ყდა-საცავი; ამოვარდნილია ფ. 98, თავნაკლული; მხედრული, სათაურები და დასაწყისები წითელი მელნით, თავსამკაული უზის ყოველ თავს; 1839წ. (169v), აქვს ჭვირნიშანი და დამლა: გადამწერი ფეხრონია ზედგენიძე (169r-169v), დაუწერელია: 8v, 108v-109r.

[რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი]. —

„არს პირველი მიჯნურობა, არ დანდეს (!) ჭირთა, მალვა,
 თავის წინა ივონებდეს, ნიადავაც ქონდეს ჳალვა,

შორით ბნედა, შორით კრძალვა, შორით დაგვა, შორით აღვა
 და სთმობდეს წყრომას მოყვრისაგან მისი ქონდეს შიში, კრძალვა.“**1r-168v**

შენიშვნები: 1. ერთვის ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის ანდერძი: —

„აწ დაბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი ჳელისა...“ (168v-169r).

2. ხელნაწერი გადაწერილია 1712 წელს ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნიდან. დასაწყისში აკლია 11 სტროფი. იძლევა ვარიანტულ სხვაობებს.

3. ხელნაწერს უხის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ბეჭედი (1r, 17r, 37r, 71r, 90r, 120r, 140r, 169r).

ანდერძები:

1. „ამა სოფლის სიმხნე, სიმდიდრე, იმ სოფლის არ ხაქებელი, ინდოთ და არაბთ მეფეთა ანბავთა შეხაგებელი,

ზედგინიძის ქალმან დაეწერე, სულიხა არს სარგებელი, და მკითხველო, ღ-თხა მითხოვე კეთილი მოსაგებელი.

თამარ მეფისა ბრძანებით შეთხუზული რუსთველი ენითა,

ვახტანგ მეფისა დროს ბეჭდული მესტანბე მიქაელითა,

მანანამ ეპოვე ნიშანი, მეც დაეშვერ ჩემი ჳელითა.

და ვინც რომ იკითხოთ, შეექცეთ, სიტყვითა მოსმენითა. [I] ვეფხვის ტყაოსნად ხმოზილი ამბავი ხამთა გმირთანი,

შესჯმა ღოშთა და მნათობთა და გარდახდა ჭირთანი, [I] რუსთველისაგან ნათქვამი ქება ბროლ-ღალთა მჭვირთანი, და მკითხველო, ღმერთსა მიმადღე კეთილი-მოსაგებანი“ (169r).

2. „განსრულდა ეს ვეფხისტყაოსანი, აღიწერა ესე ვეფხისტყაოსანი ზედგინიძის ასულის ფეხრონიასაგანა მიერ, ჩელთ წელსა, აპრილის პირველსა დღესა“ (169v).

შინაწერები: 1. „ერთი ქალი იჯდა, თავის შვილს არწევდა და ნანას ეუბნებოდა: მამა შენი — მამა ჩემი. პაპა შენი — ქმარი ჩემი (!). შენ ძე ჩემი, მე და შენი, ეს იგავი ღლოთისა არის, რომ სოდომის დაწვას უკან ეს ხაქმე მოხდა“ (59v).

2. „ვნატრი რუსთველსა, თუ მართალია, მოგვითხრობს გმირების ანბავსა, მაგრამ ეს კი ტყუილია, რომ ნესტან-დარეჯანი ისე თეთრი იყო, ერთის შეხედვით კლდეს გაანათებდაო“ (169r).

3. „ეს ვეფხისტყაოსანი ეკუთნის ზედგენიანთა, ღმერთმა მოახმაროსთ ჩენესა წელსა, ფებერელის დღესა“ (169v).

4. „დავასრულე ორსა დღესა კითხვა ვეფხისტყაოსნისა, ღმერთმან პატრონს მოახმაროს, როგორც სურდის გულსა მისა“ (169v).

იხ. შინაწერები: 169v, ქვ.ვ.

22

(გსიემ 126)

რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი. XIX

44 ფ.: 36X22; უხარისხო ქაღალდი, გაყვითლებული, ღურჯი ფერის მოჭრელო ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა, ყუაზე და ყდის მარჯვენა კუთხეებში შავი ფერის კოლენკორი, ყდაზე შუაგულში

დაკრულია თეთრი ფერის ქაღალდი წარწერით: „ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი № 1“, მხედრული, [XIX ს], დაუწერელია: lv, 44r-v.

[რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი]. — „ამ ამბის დასაწყისი პირველი, ამო და სასმენელად შევნიერი სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელს და ნესტან-დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ: — რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ 2r-43v.

თავდება: ფკდ.

„გვიბრძანეს, თუ ღმერთმან ასრე დაგვაბერნა, დაცაველია, უამი ვახლავს სიბერისა, სიყმაწვილე გარდგვივლია, ყმა არ მოგვცა, ქალი გვიზის, ვისგან შუქი არ გვაკლია, და ყმასა არ სმა, არად გვაგვა, ამაღ ზედან წავგითვლია“.

შენიშვნები: 1. 1r-ზე (თაფურცელი) წერია: „ვეფხისტყაოსანი, რუსულად Барсовая кожа, პოემა დაწერილი შოთა რუსთაველისა მიერ, ახლად დაბეჭდილი შეერთებულითა დეაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავეანდის შვილისა და დავით ჩუბინოვისათა. სანკტ-პეტერბურგის სტანბაში სახელმწიფო აკადემიისა მეცნიერებათა, 1841 год, წყმა წელსა“ (1r).

2. ვეფხისტყაოსნის ეს ტექსტი გადაწერილია ზემოთ დასახელებულ გამოცემიდან. ტექსტი მოიცავდა რამდენიმე დავთარს. წინამდებარე ხელნაწერი წარმოადგენს პირველ დავთარს.

მინაწერი: „Екдомон Кабулашв“ (ქ.ვ).

23

(გსიემ 4557)

ვახტანგ VI, ლექსები. XVIII

29 ფ.: 29X18.5. ქაღალდი, ჭუჭყიანი, დაზიანებული, ძველი რესტავრებული ღურჯი ფერის ქაღალდით, ნაკლული ადგილებიც შევსებულია ღურჯი ფერის ქაღალდზე ნაწერით: უყდო, დაშლილი, თავბოლონაკლული, მხედრული, სათაურები და დასაწყისები წითელი მელნით: [XVIII ს.] აქვს ჭვირნიშანი; გადაწერის ადგილი: პეტერბურგი (5v).

1. [აპოთევემატა] — „...აქ მოხველ? მიუგო: სანამდისინ სიბრძნე მინდოდა, სოკრატთან ვიყავ და რახანაც თეთრი მომინდა, შენთან მოველ...“ 1r-7v.

წყდება: „...და უთხრა კიდევ, თუ მოხვედრებას არ მიპირებ, მოხვედრებამდი...“

შენიშვნები: 1. ბოლო სტრიქონთან, გვიანი ხელით, მიწერილია: „უნდა გეთქუა ჩამოდგომა, ვითარმედ ეგრეთუშ მოხდა. პირველად რეტი შეაჯახეს და შემდგომად ჩამოდგომა უთხრეს. დიოდენ კვერთხი აიღო და თავში დიდი დაჰკრა და უთხრა: ჩამოდგე, ერთმან ვინმე მიდმან დიოდენს.“

2. რუსულიდან ქართულად თარგმნა ერასტი თურქესტანი შვილმა. იხ.: ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVIII ს.ს., გვ. 282-287; ლ. ძოწვინიძე, რუსული „აპოთევემატას“ ქართული რედაქციები, 1959 წ.

2. „ესე ანბანთქება უცხო და ახლად შემოდებული და არ ადვილად სათარგმანებელი მეფის ვახტანგისა მიერ. უფალმან სასუფეველი მიანიჭოს, ამინ.“

ასრე არის აგებული, ამგებელსა აქა ქებდეს,
ამკობდესცა, ადიდებდეს, ამისთვისვე აქ აქებდეს,
ამზრუნელსა, აღმშფოთველსა, ანაცრებდეს, აქაქებდეს
და არმურისკენ ამწვეველსა აღმასს, აფთსა აქ აქებდეს...“ 8r-12r.

შენიშვნა: ანბანთქება გამოქვეყნებულია იხ. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები. აღ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი. 1947, გვ. 56-60.

3. „ეს ლექსი ჩახრიხაულია. –

ჯუფთ არს არა ვის, ეთქუა არავის, თუ ვინ აწ ბრძანებს, ვეჭვ, არს შემდგომი...“ 12r.

შენიშვნა: დაბეჭდილია. იხ. ვახტანგ VI-ის ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ. 60.

4. „მეფე იგივე სამეფოსაგან კიდევანად ქმნული, საღბუნად გულის წყლულებათათვის მკურნალ თავისა თვისისათვის იქმნების, დასწერს ესრედ. –

მწამს, მისის სარჯლით აშკმული ჯოჯოხეთს პირი იცოდა,
მას ვევედრები, რომელმან არარა ცოდვა იცოდა...“ 12v-24r.

შენიშვნა: დაბეჭდილია. იხ. ვახტანგ VI-ის ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ. 10-23.

5. „ეს ლექსი ლათინურის ენიდამ ერთმა ფრანგმა მითხრა ყველის ქებად და ასე ვთქვი. –

თოვლებრ სპეტაკი დაარღოს, ღთისაებრ თვალებრ ბევრია,
მათუსალასებრ დღეგძელი მაგდანღებ (!) მტირლად (!) მზერია...“ 24r-v.

შენიშვნა: დაბეჭდილია. იხ. ვახტანგ VI-ის დასახელებული გამოცემა, გვ. 63.

6. [ლექსი]. –

„ცუდად ვიყავ, (?) იმატა ასვათ ასეთი, ითესა თავსა ატამი. –
აბანა ერსა მოშიშთა: ათშიშომ ასრე ანაბა...“ 24v.

შენიშვნა: დაბეჭდილია. იხ. ვახტანგ VI-ის ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ. 65.

7. [შეგონება]. –

„კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოიგვაროს,
ამ სოფელსა კელი მყაროს, იქაც ბარვი დაიბარგოს...“ 24v.

შენიშვნა: დაბეჭდილია. იხ. ვახტანგ VI-ის ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ. 1.

8. „ოდესცა ქართლით იხმეს მეფე ვახტანგ ისპაანად და მიიწივა წინაშე სპარსთა მეფისა, აწვევდენ მამულისა რჯულის დატევებად

და ღუთისმოყვარე მეფე ესე არა ერნდა მძღავერისა მის ბრძანებასა. ამისათვის პატიმრად წარავლინეს ქირმანს და მუნ მყოფობასა შინა იწყო წერად ესრედ, რათამცა არა შეეპყრა ურვითა სევდიანობასა და ესრეთითა წესითა იქარებდა პირველისა მის დიდებულებისა არა ქონას ნაღვლიანობას. მრავალ ჟამიერ ყოს უფალმან. —

კულავ მიხმეს ისევ ისპანს, დამრწა ეს შეუსრულები ...“ 25r-v.

შენიშვნა: დაბეჭდილია. იხ. ვახტანგ VI-ის ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ. 55.

9. „მოცალეობასა შინა მყოფსა, ჭმუნვა-ნაღვლისა მაქარვებელად იწერების საქართველოს მეფის მიერ უფლისა, უფლისა ვახტანგისაგან დიდს ქალაქსა მოსკოვსა შინა. —

დამიძონა კაეშანმა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,

ნაღველს ვხმარობ მუდამ მეღნად, გულსა ვაწვევ მისად კალმად...“ 25v.

შენიშვნა: დაბეჭდილია მცირეოდენი ვარიანტული სხვაობით. იხ. ვახტანგ VI-ის ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ. 8-9.

10. „აქა იწყებინ ტრფიალთაგან სატრფოსათვის შაირობა და მკითხველთა უხმსთ გულისჭმიერება, თუ ვისდამი ტრფიალებს მეფე. საკმარ არს ყურნი სმენად და გული გამოკვლევად. —

ღექსი უნდა ტკბილ გვართთა, სწავლის სიტყვით გამახარი...“ 26v-29v.

წყდება: „...ამით უთხარ წამწამითა შესამსგავსი შესხმანია, ამით ფერით წამწამითა ეშვის კულში შესხმანია, ამით შექნა წამწამითა თვალ-მარგალიტთ შესხმანია, ამით მოვრჩეთ წამწამითა მადლი წყლურებ შესხმანია...“

შენიშვნები: 1. დაბეჭდილია. იხ. ვახტანგ VI-ის ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ. 24-27. წყდება დასახელებული გამოცემის მიხედვით, ოცდამერვე სტროფზე.

2. ხელნაწერი იწყება მეშვიდე (ზ) რვეულიდან.

3. ხელნაწერს უზის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ბეჭედი (3v, 21r).

მინაწერები: 1. „ესე წიგნი აპოთეგმატა ეკუთვნის მღუდელს სოლომონ ხარიტოვს...“ (3v).

2. „დაწერილ არს წიგნი ესე ხამეფოსა ქალაქსა პეტრებურსს“ (5v).

იხ. მინაწერი-კრიპტოგრამა (!) (12v).

24

(გსიემ 125)

კრებული. XVIII, 1840

189 ფ.: 20X16; ქაღალდი სხვადასხვა, დალაქავებული, დაზიანებულია ძალიან ფ. 31-86, 103-140, 151-155; მწვანე ფერის ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა, ყუაზე მწვანე ფერის ტყავი. ხელნაწერის ჩამონატყრზე აწერია: „ი. გ.“ [იესე გარსევანიშვილი]; აკლია 31v-სა და 32r-ს შორის; მხედრული, სხვადასხვა ხელი. XVIII ს. ხელით დაწერილში ხათაურები და დასაწყისები სინგურით.

თავსამკაული (41v, 58r). პოლოსამკაული (44r, 48r, 59v); 31r-86v, 103r-140v, 151r-155v დაწერილია XVIII ს. ხელით, დანარჩენი 1840 წ. იგებ ვარსკვლავიშვილის მიერ (ქ. ყ. v).

1. „თოუშხა მარტსა იზ-სა დღესა, ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩვენისა აღექსი კაცისა დთისა. — აჰა, ესე რა მოიწია ჟამი კრძალვისა, საყუარელნო, სარბიელი განღებულ არს, ღუაწლის დამღებულ და მეუფე ქრისტე ზეგარდმო კსდგა...“ 1r-8r.

2. „თოუშხა მარტსა კბ-სა დღესა, წმიდისა მოწამისა დროსი-დარი, ასულისა ტრიაანე მეფისა. — მეფე ტრიაანე სამარადისოდ ქრისტეს აღმსარებელთა ცხოვრებასა მოაკლებდა და სხეულთა მათთა შეურაცხად არა წმიდათა ადგილთა ვარდაჰყრიდა...“ 8r-9r.

3. „მარტსა ათსა, ხსენება ღირსისა დედისა ჩვენისა ანასტასიასი. — დღეთა იუსტინიანე დიდისა მეფისათა იყო დედაკაცი ვინმე ბიზანტიასა შინა, სახელით ანასტასია...“ 10r-11r.

4. „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და დიდებულისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებლისა იოანე ღმერთისმეტყულისა. — ესე იყო ძე ზებედეხი და დედისა სალომესი, რომელი იყო ასული იოსებ დამწინდებელისა...“ 11v-16r.

5. „ოკდომბერსა ა-სა, დაფარვა ყოვლად წმიდისა ღმერთისმშობელისა. — საშინელ და საკვირველ არს ხილვა პატივოსანთა და წმიდათა მამათა ანდრეასი და ეპიფანესი...“ 16r-v.

6. „ამასვე დღესა სიტყუა ღმერთისისაგან, თუ რასათვის არა შევიდა წმიდა ღმერთისმშობელი კურიაკოს მღუდლისასა. — კურიაკოს მღუდელი კალამონისა, რომელ-არს წმიდასა იორდანეს...“ 16v-17r.

7. „თოუშხა ოკდომბერსა, იმ-სა დღესა წმიდისა მოციქულისა და მახარებლისა ლუკასი. — ლუკა დიდი მახარებელი იყო ანტიოქიით დიდისა სირიისა, მკურნალი ხელოვნებით...“ 17r-v.

8. „ამასვე დღესა წამება წმიდისა მოწამისა მარინოს ბერისა; ამასვე დღესა ხსენება ღირსისა მამისა ჩუშნისა ივლიანე ევფრატის პირველისა. — ამან ღირსმან მამამან ივლიანე დაუტყუა სოფელი და წარვიდა კიდესა ევფრატი მდინარისასა...“ 17v-18r.

9. „ამასვე დღესა სიტყუა დედაკაცისათვის, რომელი მივიდა ღირსისა ნეოფიტეს მიმართ სააღსარებოდ. — პატივოსანი ნეოფიტი, სათნოებთიერი მამაკაცი და მონაზონი და მღუდელი დთისა...“ 18v-19v.

10. „ამასვე დღესა სიტყუა რომლისამე იღუმენისათვის, რომელიცა ვამოსცადა ქრისტემან სახითა ვლახაკისათა. — საზოგადოდსა ცხოვრებისა მკარით იყო ერთი ვინმე უხუცესი იღუმენი, რომელსაცა ესხნეს ქვეშე თვისსა ორასნი ძმანი...“ 19v-20r.

11. „ამასვე დღესა სიტყუა წმიდისა ანტიოხოზისა მეჩურჩნეობისათვის და ცილის წამებისა. — კუალადცა მეჩურჩნე და ცილის მწამებელი ზიარ არიან საკდემელისა მის მიერ ძვირის მოქმედებისა...“ 20r-v.

12. „წამება წმიდისა მოწამედსა ანასტასია რომაელისა. — ესე იყო დღეთა დეკიოზ მეფისათა და ვალერიანესთა და პრომე მთავრისათა, ნათესავით რომაელი...“ 21r.

13. „ამასვე დღესა კსენება ღირსისა მამისა ჩუშნისა აბრამისი და მარიამისა. — ღირსი აბრამი იყო ნათესავით ქრისტიანე...“ 21r.

14. „ამასვე დღესა ხსენება ღირსისა დედისა ჩუშნისა ანნასი, სახელდებულისა ევფემიანად. — ღირსი ესე ანნა იშუა ბიზანტიად კეთილმ-

სახურისა დიაკონისაგან...“ 21r-23r.

15. „ამასვე დღესა წამება წმიდათა მოწამეთა კლავდიოსი, ავსტერეოსი, ნეონისა და ნეონილასი და მათთანათა. — ესენი იყუნეს დეოკლიტიანეს ზე მეფისა ღავსიოს კილიკიელ მთავრისა...“ 23r-v.

16. „ამასვე დღესა ქსწავლა წმიდისა იოანე ოქროპირისა ღოცვისათჳს. — ყოველთა უკუშ იციან, რამეთუ დასაბამ ყოვლისა კეთილისა ღოცვა არს...“ 23v-24r.

17. „ამასვე დღესა სიტყუა აღმოსლვისათვის სულისა და ზეცად აღსლვის, შემდგომად სიკუდილისა. — ხანატრელი იოანე მოწყალე კჳსნებისათვის სიკუდილისა და სულისა აღმოსლვისათჳს წიადავ მეტყუფლებს...“ 24r-v.

18. „ამასვე დღესა ღირსისა მამისა ჩუშნისა აბრამიოს არხიმანდრიტისა როსტოველისა, ახლისა საკვირველთმოქმედისა. — ღირსი მამა ჩუშნი აბრამიოს იყო მშობელთაგან კეთილ-მსახურთა ძე...“ 24v-25v.

19. „ამასვე დღესა ხსენება წმიდათა სამთა დედათა, რომელნი იპოვნეს მთასა შინა, რომელთათვისცა სთქუა პავლე ეპისკოპოსმან ბონოვასსიელმან. — პავლეს ძემან ღეონისმან მოგვითხრა ამათ წმიდათათჳს...“ 25v-26v.

20. „ამასვე დღესა სიტყუა, რამეთუ სარგებელ-არს მკუდარსა ზედა მოხსენებისა ყოფად. — იყო ვინმე დატყვევებულ კვიპრიტგან და მი-რა-ვიდა იგი პერსიდად...“ 27r.

21. „ამასვე დღესა სიტყუა საქმეთაგან მოციქულთასა გარდაცვალებულთათვის. რათა ჰყოფდენ შემდგომად გარდაცვალებულთასა სამსა, ცხრასა, ვგრეთვე ორმოცსაცა გალობითა და ღოცვითა და მოწყალებითა გლახაკთა მიმართ...“ 27r-v.

22. „ამასვე დღესა სიტყუა სულისა სარგებლათ პატერიკისაგან. — ერთი ვინმე თებაიდელთაგანი ბერი იტყოდა: — მე ვიყავი კერპთა ქურუმისა ძე...“ 27v-28r.

23. „მოსათხრობელი სულელისა თეოდორესი, არამედ სათნოებსა ქრისტესისა. — ოდესმე მხილველი ესე ერისა კრებისა შესამესა შვიდეულსა წმიდათა ორმოცთასა განკვირდებოდა...“ 28r-30v.

შენიშვნა: 1r-30v დაწერილია იესე გარსევანიშვილის ხელით.

24. [ნახრუხაძე, თამარიანი]. —
„ღერწამ ტანისა, ხარო სახისა მიმხგავს...
თავსა კვლად სდებდეს, ხვეჭით ეძებდეს...
ვინ აშენებდენ, სულთ აშენებდენ, სამონოდ მიგცენ...
და ბნელო, თუ უყო ელვა, განუყო მაშინ, არ ითქმის და
ბნელენად!...“(!) 31r-42r.

შენიშვნა: წინ აკლია 6 სტროფი. იხ. ივ. ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოტბენი, I, გვ. 6-215.

25. „ქ. ქება და დიდება წმიდისა და ერთარსებისა, თქმული მეფის თეიმურაზისა. —
აღვიღო პირი, სიბრძნე და ენა, ზეშთა ძალისა ჩემისა მბობა...“
41v- 44r.

შენიშვნა: იხ. თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, 1934, გვ. 161-167.

26. „ანბანთქება თქმული მეფისა პატრონის თეიმურაზისა. — აღახვენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო...“ 44v-48r.

შენიშვნა: იხ. თეიმურაზ პირველის 1934 წლის გამოცემა, გვ. 149-154.

27. „ქ. წამება ქეთევან დედოფლისა, მეფის თეიმურაზისა. — ღმერთო, ცისა და ქვეყნისა საბრუნავთა მაქცელო...“ 48v-57r.

შენიშვნები: 1. ბოლოს მიწერილია: „ქ. აქა სრულ იქმნა ქეთევან დედოფლის წამება“.

2. იხ. თეიმურაზ პირველის 1934 წლის გამოცემა, გვ. 126-137.

28. „ქ. თავი დასაწყისი უსჯულო მოამედის და ქრისტიანეთ გაბაასებისა. ლექსად ნათქვამი შემოქმედელის იაკობისგან, ბრძანებითა მეფის გიორგისათა, ძისა მეფისა შანაოზისათა. — სოლომონ თქვა, სიბრძნის პირველ დასაბამად შიში ღუთისა, სამგვამოვნის ღთაებისა, შემოქმედის მის ერთისა...“ 58r-59v.

შენიშვნა: იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, 1960, გვ. 16, 338, 479-480.

29. [იაკობ შემოქმედელი], „ქ. მოთხრობა და სიტყვისგება მცირედ რამ შემოკლებული უღთოსა მოამედისა. — ჟამთა პერაკლე მეფისათა გამოჩნდა ქელბაშ მოამედ უღთო, ურწმუნო, უსჯულო, წვალების მეტად მოამბედ...“ 60r-87r.

შენიშვნები: 1. პოემის ბოლო 4 სტროფი დაწერილია XIX ს. ის ქალაქდზე იესე გარსევანიშვილის ხელით.

2. პოემას ბოლოს მიწერილი აქვს: „აქა დასასრული უღმრთოთა მახმედიანთა მიმართ სიტყვით დამსობისა“.

30. „წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ვასილისი სიტყუა მრსლეისათვის ნუგეშინის მცემელისათვის სულისა [წ]მიდისა. გ. მ. — რომელი ნათელს იღებდეს სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა...“ 87v-91r.

31. „წმიდათა შორის მამისა ჩვენისა გრიგორი ღვთისმეტყველისა სიტყუა ახალ-კვირიაკისათვის და სატფურებისათვის ეკლესიისა. გ. მ. — სატფურებისა პატივი ძველი სჯული არს და კეთილ არს იგი უფროსად ახლისა ამის ჯერ-არს პატივი სატფურებითა და ასე არა ერთგზის ხოლო, არამედ მრავალგზის თითოეულისა წელიწდისა მოქცევისა მოყვანებად ამის დღისა...“ 91r-95v.

შენიშვნა: ერთვის ანდერძი: „ესე საკითხავი კესარიას თქუა, ხოლო კესარიას ახალკვირიაკედ წმიდისა მოწამისა მამისა ხსენებოდა იქმნებოდა და ერი ფრიადი შეკრებოდა, ამისთვის ახსენებეს დასასრულსა საკითხავისასა სახელსა წმიდისა მის მოწამისა მამა დეაწლით შემოსილისასა. ესეცა საკითხავი მრუდად ვისმე ეთარგ-“

მნა პირველად და ღმერთ-შემოსილმან ჩვენმან ეფთხში ახლად თარგმნა“.

32. „წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა სიტყუა ამალღებისათვის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა. გ.მ. — ბრწყინვალე არს ყოველად დღესასწაული უფლისა განგებულებისა და განმაბრწყინებელ გულსა მორწმუნეთასა...“ 96r-101r.

შენიშვნა: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ. იხ. კჰქქე-ლიძე, ეტიუდები, V, გვ. 75; თ. ბრეგაძე, ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი ძეგლები (მრავალთავე, I, 1971, გვ. 452).

33. „სიკუდილი წმიდისა თეოდორასი. — ჰსთქუა წმიდამან თეოდორა, ოდეს მოიწია აღსასრული და მომეახლა ჟამი განშორებისა სხეულისაგან, გარე მოადგა ცხედარსა ჩემსა სიმრავლე ეთიოპელთა...“ 101v-102v.

თავდება: „...აქა დამძიმდებიან მომლოდნენი ვეცხლისა თვისისა აღნადგინებით და ბილწთა მოპოებდა...“

შენიშვნები: 1. გადამწერის მიერ ხელნაწერში ეს თხზულება გადახაზულია შავი შეღნით, იმიტომ რომ აქ არ იყო მისი ადგილი.

2. (87v-102v) დაწერილია იესე გარსევანიშვილის ხელით.

34. <სინო მოსლვა და ქადაგება სტიხებად> .—

„აწ გვედრები, ისინე კმა ვედრებისა ჩემისა,

შენ შემოგვედრებ ობოლსა, ასულ არს დისა ჩემისა,

მალღებელი (!) დღედაღამ იყოს ძალისა შენისა

და არ ეშინოდეს გველისა, არცა ეშმაკთა დევნისა...“ 103r-123v.

35. „თვესა აპრილსა ა. ცხოვრება წმინდისა და ნეტარისა დედისა მარიამ მეგვიკტელისა. მ. გ. — გვითხრობდეს წმინდანი მამანი, ვითარმედ წმინდასა მამასა ზოსიმეს გულმან უთქვა, ვითარ გვითხრა ჩვენ მისლვა უდაბნოსა...“ 124r-133r.

36. „განკურნება განრღვეულისა, რომელსა განიცდიდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. — ოდეს შევიდოდა იესო იელუსაღემს (!), იხილა განრღვეული იგი, რომელი წვა ცხედარსა ზედა შეუსვენებულად...“ 133r-134r.

37. „თქმული წმინდისა იოანე ოქროპირისა ნათლისღებისათვის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, გ.მ. — და ვითარცა დღენი შევნიერნი ყვაილითა ოქროფერთა შემკულნი და ვითარცა ხენი შევნიერად შემოსილნი ფურცლითა...“ 134r-136v.

შენიშვნა: გამოცემულია: იხ. სინური მრავალთავე 864 წლისა, აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევათ. თბ., 1959, გვ. 79-82; ა. შანიძე, „ხანმეტი მრავალთავე“ (უნივერსიტეტის მოამბე, VII, გვ. 129-131). აქედან გადაბეჭდა J. Molitor-მა, Monumenta Iberica antiquiora (CSCO, vol. 166) Louvain, 1956, pp. 69-71.

38. „თვესა იელისსა იხ, წამება წმიდისა ქალწულ-მოწამისა, დიდებულისა მარინასი. — შემდგომად აღდგომისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა და დიდებით ამალღებისა მისი მამისა მისისა თანა...“

137r-144r.

შენიშვნები: 1. კიმენური რედაქციისაა. თარგმნილია სეი-თის მიერ. მთარგმნელის ვინაობის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 132; მისივე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 133-134; ნ. გოგუაძე, სეთი-მრავალთავის ერთ-ერთი მთარგმნელი, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, №4, გვ. 57-66.

2. 141r-150v დაწერილია იესე გარსევანიშვილის ხელით.

39. „ძველისწერა სარწმუნოებისა, რომელი აღსწერეს წმიდათა მამათა, რომელი აღსწერეს კოსტანტინეპოლედ შეკრებულთა წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათვის, რომელი ესე წარიკითხვის სოფიავწმიდას და ყოველთა ეკლესიათა პირველსა კვირიაკესა მარხვათასა წმინდასა ჟამისწირვასა ზედა შემოსილისა ხუცისაგან. სახარებისა წინათ წარიკითხოს და მერმე ესე, გ. მ. — წინასწარმეტყველთაგან ქადაგებისა დამტკიცებულნი და წმიდისა სახარებისა ბრძანებათა დამორჩილებულნი. წმიდათა მოციქულთა მოძღურობისაებრ ვდღესასწაულობთ დღესა ამას სატფურებისას...“ 145r-150v.

შენიშვნები: თარგმნილია ეფთვიძე მთაწმინდელის მიერ. იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 485.

2. ტექსტი გამოცემულია: Н. А. Заозерский и А. С. Хаханов, Номоканон Иоанна Постника в его редакциях грузинской, греческой и славянской, Москва, 1902 г. ე. გიუნაშვილის მიერ (იხ. მცირე ხჯულის კანონი, 1972, გვ. 124-133).

40. „სეკდემბერსა იდ, წმინდათა შორის მამისა ჩვენისა ანდრია მთავარეპისკოპოსისა სიტყვა მსოფლიოსთვის ამაღლებისა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისა. მ.გ. — ჯვარისა კრებასა აღვასრულებთ და ყოველივე ეკლესიასა განბრწყინდების...“ 151r-156r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია, ძველი მეტაფრასული კრებულები. სექტემბრის საკითხაეუბი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადდა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნარგიზა გოგუაძემ. 1986, გვ. 309-315.

41. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გრიგორი დვთისმეტყველისა აღვსებისათვის და აღდგომისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესისა. იკითხვების უკუშ ნათლით შემოსილსა კვირიაკესა ცისკრად. გ. მ. — საკმილავსა ზედა ჩემსა დავსდევ, იტყვის საკვირველი ამბაკომ...“ 156v-167r.

შენიშვნები: 1. თარგმნილია ეფთვიძე ათონელის მიერ, იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 30;

2. 156r-დან ჰელნაწერის ბოლომდე დაწერილია იესე გარსევანიშვილის ხელით.

42. „თოუშსა აგვისტოსა კთ-სა საკითხავი, თქმული წმიდისა თეოდორე სტოდელისა წინამძღურისა თავის კვეთისათვის იონანე ნათლისმცემელისა. გ. მ. — ბრწყინვალე არს და ღთივ-მონიჭებული დღეინდელი ესე დღესასწაული...“ 167v-172v.

43. „ნოემბერსა კა, ვიორგისი, რომელი იყო კოსტანტინ-

უპოლოთ წიგნის მცველი წმიდისა ღუთისა ეკლესიისა, სიტყუა ყოვლად წმიდისა ღუთის მშობლისათვის, რაჟამს მიყუანებულ იქმნა სამისა წლისა ტაძრად უფლისა მშობელთა მიერ მისთა. ვ. მ. — კეთილთა მიზეზთა სიტყვად დაწვებისათა მიზეზებს ჩვენ, მოწვევული ესე დღესასწაული...“ 173r-180r.

შენიშვნა: თხზულების ავტორია გიორგი ნიკომიდიელი, თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 24, თ. ბრეგაძე, ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი ძეგლები (მრავალთავი, I, 1971, გვ. 434).

44. „თქმული ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი ნიკომიდიელ მთავარეპისკოპოსისა ცხოვლსყოფელისა ჯვარცმისათვის და საფლავისა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, რომელი ესე იკითხვის დიდსა პარასკევსა. — მაღალსა და აღმატებულსა სახილველსა აღიწია ქადაგება იგი სახარებისა...“ 180v-ქ.ყ.ვ.

შენიშვნები: 1. თარგმნილია ეფთჳმე მთაწმიდელის მიერ. იხ. ეტიუდები, V, გვ. 24.

2. იესე (11) გარსევანიშვილს, რომელიც ამ ხელნაწერის შემვსებელ-გადამწერია, აღუდგენია და შეუესია ძალზე დაზიანებული XVIII-ს-ში გადაწერილი ხელნაწერი. წინ დაუმატებია წმიდათა ცხოვრებები და სიტყვები (30 ფურცელი), ამაზე მიუთითებს ხელნაწერის ძველი ნაწილის ჩვეულებრივი სათვალავი, რომელსაც თავში აკლია პირველი რვეულის მხოლოდ 3 ფურცელი.

3. წიგნს ერთის იესე გარსევანიშვილის მიერ შედგენილი „ზანდუკი ამა წიგნისა“ (ზ.ყ.ვ-1r).

4. ქაღალდის უქონლობის გამო ხელნაწერის ახალი ნაწილი ძალზე ეკონომიურადაა ნაწერი. გამოყენებულია ყდის v-ბიცი.

5. ხელნაწერს უზის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ბეჭედი (1r, 30v, 58r, 91r, 147r, 189v).

6. იხილეთ გადამწერის შენიშვნები: „აქა დედასა აკლდა“ (99v); „აქა აკლდა“ (100r).

ანდერძები: 1. ჩემ-სა წელსა ოკდომბრის „ა“-სა დღესა. მ. ი. გ. (მღვდელი იესე გარსევანიშვილი თ. ბ.). (ქ.ყ.ვ).

2. „ხოლო შენ, მხილველო წიგნისა ამის წინაუქმებისაო, ნუ გიკვირნ, რამეთუ ოდესცა რომელსაცა ხელთ ვიდებდი, ეგრეთ გარდავსწერიდი, ვითარცა მყის თანად ყოვლისავე არა მექონე, ვითარ ისრაელნი დავითისა ფსალმუნთაჲ. მ. ი. გ.“ (ქ.ყ.ვ).

მინაწერები: 1. წიგნთაგან იესესთა და მისგან ჩემე წელსა აღექსანდრე გარსევანოვისადა ნაწუქები (1r).

2. „თქვენი ყოფილი მონას [გარსევანიშვილი], დედავ ბატონო თინათინ, მოწვალე ... თქვენს ბედნიერებას იესოს მიერ ვთხოვ, რომ ჩემზე კიდევ გული მოგებრუნებინოს. ვაი, ყოველ დღეს გულჩათუქულსა, სიყრმიდამ აქამდე გულმკედარსა, ამ ჩემს სიყმაწვილეში კეთილი არა მინახავ რა და ამას იქით ღმერთმა იცის. ვაი თუ ამას იქითვე არა ვნახო რა კეთილი. იესოს ვთხოვ, რომ სიყვარულიანის გულით, კიდევ ტბილი სიტყვა გაეთქვას, დედავ, ეს კარგად იცოდეს სასა...სათუს შენ“ (39r).

3. „ცეცხლი ბნელისა გარესკნელისა, მატლი ღრტუნისა
 წამლიანისა,
 ბერვა ნეფხვისა, ძნელთა სეტყვისა, თოვლთა, წვიმითა
 ღუარ-ნაფშეგნისა,
 ორგულთ ცოდვასა ვერ განეწიოს, ორგულ ვინც იყოს



ტახტის თქვენისა.

ღელე გლოვისა იქმნეს გლოვისა, ჟამი მოუხდეს ცრემლთა
დენისა“ (39r).

4. „ღმერთო, შეიწყალე მიცულალებული მხევალი შენი მარი-
ამ“ (103r).

იხ. მინაწერები: 9v, 31v, 44r, 48r, 123v, 126r, 127r, 144v.

25

(გსიემ 127)

იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი.

1855, 1857

50 ფ.: 35X22; მდარე ხარისხის მონაცრისფრო ქაღალდი; უყდო;
მხედრული: 1855, 1857 წ.წ. (1r,v); გადაწვეტი: მეღანია და
ალექსანდრე გარსევანიშვილები (1v); დაუწერელია 50v.

[იოსებ ტფილელი], „დიდ-მოურავიანი. — კარი 1. ამბავი
დიდისა მოურავისა. აქა დაიწყების ლექსსა შინა გამოჩენით გარდასავა-
ლი თვისსა ცხოვრებისა. —

1. მეფესა ქართლის ცხოვრება ებრძანა ვალექსულობით,

ზოგი რუსთუმლის ბაასი, კახთა მეფის საქმე სრულებით,

ხან ღხინი, შუშბა, სიამე, ხან ვარდი დანასულობით,

სიბრძნე, კმალი და ომები, სიკუდიდმე აღსასრულობით...“ 3r-50r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი გადაწერილია პლატონ იოსე-
ლიანის მიერ 1851 წ. გამოცემულ „დიდმოურავიანიდან“.

2. უძღვის: ა. თავფურცელი: „დიდი მოურავიანი, თქმული სააკა-
ძის ძის იოსებ ტფილელისაგან. — დამატებითა სხვათაცა
მისთა თხზულებათა დაბეჭდილი ქალაქსა ტფილისს, წიგნთ-საბე-
ჭდავსა კავკასიის ნამესტნიკის კანცელიარიისასა. წყნა წელსა,
1851 год. მირთმეული პლატონ იოსელიანისაგან ნამესტ-
ნიკის ვარანცოვისადმი“ (2r);

ბ. პლატონ იოსელიანის „წინასიტყუაობა.— მწერალი
ლექსად წიგნისა ამის იოსებ თბილელ-მიტროპოლიტი გუარით
სააკაძე იყო, ძის ძემ დიდისა მოურავისა...“ (2v).

3. ერთვის: ა. ანბანთ-ქება, თქმული ბაბათა-შვილის იოსებ
ტფილელისა მიერ —

აღვახუმ ბაგეს საქებრად, ყოველ სულთ ღუთად ერთად
სმობილო,
არსთ შემოქმედო სიმდაბლით, კაცისა თბითა ცნობილო...“

(48r-50r).

ბ. „იგავი მიწერილი იოსებ ტფილელისაგან იაკობ
შემოქმედელისადმი განსამარტებლად. — სიბრძნემ თავისა-
თვისსა, სახლი იშენა გებული...“ (50r).

გ. „პახუხი იაკობ შემოქმედელისა, განსამარტებელი.—
სიბრძნე ქრისტეა და სახლი, უბიწო მისი მშობელი...“ (50r).

4. ხელნაწერის კიდევზე მოთავსებულია შენიშვნები: „ედი შა
იყო ვარნაძე, რომლისა მამულსა ზედა მკვდრობენ აფხაზის შ-
ვილნი და ონანა შვილი კახეთსა. დავით რექტორი“ (43v);

„ჯრება არის ალექსანდრე გარსევანოვი“ (45v);

„ბაბათა არს ლექსი თათრული და ეწოდა მამახა მისსა სიაუშს
მას ჟამსა, ოდეს კსცხოვრებდენ უცხოებასა შინა აზრუმსა და
ოსმალისა სამზღუართა ძენი და ასულნი დიდისა მოურავი-

სა, მეფის როსტომისაგან განდევნილისა. კლატონი“ (48v).

5. წიგნის პოლოს მიწერილია: „სრულ იქმნა“ (50r).

6. აქვს ანბანური აღრიცხვაც.

ანდერძი: „აღიწერა წელსა ჩყნე-სა, დისა ჩემისა მეღანიას მიერ ნახევარი და ზოგ კელითა ჩემითა ჩყნზ-სა წელსა. ქართლის აზნაური აღექსანდრე სვიმონის ძე გარსევანოვი“ (1v).

მინაწერები: 1. „დიდი მოურავიანი. ვინც იცის ხელის მოწერა და არა სწეროს, იმას უნდა, ციმბირში უნდა წავიდეს, რომ ეს წიგნი ნიკოსია ვანიხვილდა (!) 1875-ს“ (1r).

2. „Жизнь великаго Моурава Грузии, князя Георгия Саакадзе, родоначальника князей Тархан-Моуравовых.“

Собственность

дворянина Александра Симонова Гарсеванова писано в 1857 году 19 апреля в ... года“ (1r).

საკუთრება

აზნაურის აღექსანდრე სვიმონის ძის გარსევანოვისა, აღწერილი ჩყნზ წელსა,

აპრილის ით-სა დღესა.

3. „ნიკო ვანიოვილი“ (1v).

26

(გსიქმ 128)

ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი. XIX

136 ფ.: 10,2X7,5: ქაღალდი, სითეთრემდე გახუნებული მწვანე ფერის, დალაქავებული: ტვიფრული შავი ფერის ტყავდაკრული ხის ყდა, ზემო და ქვემო ყდების v-ზე დაკრულია XVIII ს.-ის მხედრულით დაწერილი ფურცლები. ეს ფურცლები სხვა ხელნაწერს ეკუთვნის და იმავე შინაარსისა უნდა იყოს, რომლისაც წინამდებარე ხელნაწერი. ქვემო ყდა მოცილებულია, ყუა დაზიანებულია, აქვს ორი ტყავის საკეტი; დაშლილი, ბოლონაკლული: მხედრული, სათაურები და დასაწყისები ხინგურით, თავსამკაული (5r); [XIX ს. I ნახ.]. აქვს ჭვირნიშანი: დაუწერელია: 121v.

1. „ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი. ხმაჲ ა- სასწაულითა იხსნა ერი უფალმან და ზღუა მღვლეარე სიტყუთ განახმო...“ 5r-120r.

შენიშვნა: შეიცავს 8 ხმის ძლისპირებს და ღვთისმშობლისანებს.

2. „ძლისპირნი და ღვთისმშობელნი (!). უფალო ღაღადყავსა. კმაჲ ა.- შენ, სიტყუა დაუსაბამო ზეცის მეუფე, თანასწორო მამისა, სიმღაბლით გარდამოხედ...“ 121r-136v.

წყდება: „... და განაშუმწენ ქცევანი მორწმუნეთა. არამედ მეოხ გუყვავ ღ-თისშობელო...“

შენიშვნა: იხ. გამოცემა: ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია, X-XI სს ხელნაწერების მიხედვით გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბ., 1971.

მინაწერი: „აღექსანდრე გარსევანოვის წიგნთაგან“ (1r). იხ. მინაწერები: 1v-2r, 2v, 6v, 9v, 60v, 119v, 120r.

27

(გსიემ 129)

კრებული. XIX

160 ფ.; 22X17.5; ქაღალდი, ნესტიხაზან დაზიანებული (ფ. 55-160). ჭიხაზან დახერტილი; უფლო, დაშლილი; მხედრული, სათაურები მთავრულით; [XIX ს.]; გადამწერი: მღვდელი იესე გარსევანიშვილი (160v); დაუწერელია (1r).

1. „კაიოს იულიოს კეისრისანი ჴელ-წერილნი საგრობათათვის მისთა დაღლიად. წიგნი პირველი. პაზრი პირუშლისა წიგნისა. — აღწერა დაღლიისა, რომელი ესე დღევანთა იკადრეს დაფლობად; არამედ კეისარი ორთა ბრძოლათა შინა იპერობს რა მათ ზედაძღვევასა, ნეშტთა ვანსდევნის მას ქუშყანასა მათსა, რომელიცა დაუტევეს მათ. დალნი ჰსარწლოიან (!) კაისართანა არიოვისტიის ზედღერმანელ მეფისა და მფლობელსა სეკვანურთა ველთასა: კეისარი სარგუმისათვის მათისა არიოვისტესა წარუგზავნის დესპანთა, გარნა წარუმატებლივ. მერმელა გამოიყუანებს ძვინად მისსა ჯართა პირველ მოჯობნესა და მერმე შეგონებათა მიერ მისთა განმხნობილსა. კეისარი და არიოვისტე შეველენან საუბარსა შინა, გარნა თვინიერ ყოვლისა მოქმედებისა დასასრულსა საქმე დაბოლოვდების წყობითა, რომელსაცა შინა ღერმანნი დიდსა ვიდრემე ნაკლებობასა დაღთაგან განიდევნებიდ.—

თავი 1. დაღლა ყოველი განიყოფის სამ ნაწილად, რომელთაგანთა პირველსა შინა მკვიდრი არიან დაღლიანი...“ 2r-115v.

შენიშვნები: უძღვის თავფურცლის მაგიერი: „კაიოს იულიუს კეისრისანი ჴელით წერილნი, საგრობათათს მისთა დაღლიად, თარგმანებულ არიან ლათინთა სმისაგან სერგვი ვორონოვი-სა მიერ, წარსაგებელითა საზოგადოებისათა მმეცადინეობისა დაბეჭდვისათვის წიგნებთასა სანკტპეტერბურღსა შინა ჩლოდსა წელსა“ (ფანქრო, სხვის მიერ „1774 წელსა“) (1v).

2. შეიცავს სამ წიგნს.

2. „ცხოვრება წმიდისა მოციქულისა პავლე სი. ცხოვრება ჰერიებასა შინა. — პავლე (უკინესი) ვიდრე მოქცევადმდე ქრისტეანობად. პავლე (სატრფო) ერთი უდიდესთა მოძღუართაგანი ქრისტეანეთა სარწმუნოებისა...“ 116v-160v.

შენიშვნები: 1. უძღვის თავფურცელი: „ცხოვრება წმიდისა მოციქულისა პავლესი, შემდგარი საფუძუმლსა ზედა ღირსუხარწმუნოესთა წამებათა, თანადაპრთუთურთ ადგილებთა არხეოლოდიეებრთა და საზნეობითოთა სხოლიოებთასა. გამოცემა მეორე. მოსკოვი, საუნივერსიტეტოსა შინა სტამბასა ჩეკს-სა წელსა“ (ფანქროთ სხვის მიერ „1829“ წ.) (116r).

2. ბოლოს ხელნაწერს მიწერილი აქვს „მ. ი. გ.“ (მღვდელი იესე გარსევანიშვილი) (160v).

3. თხზულება რუსულიდანაა თარგმნილი.

108 ფ.: 31X20; ქალაქი, დაღაქავებული, დაზიანებული, მოს-
 ული აქეს ფურცლის ქვემო ნახევარი (ფ. 20, 39, 46, 67, 84, 102),
 ზემო კიდე (ფ. 1, 108); შაბი ფურის ტვიფრული ტყავადაარული
 ხის ყდა, დაზიანებული, ზემო ყდა მოცილებულია ხელნაწერს;
 მხედრული, სათაურები და დასაწყისები ხინგურით. ბოლო სამკაული
 (36r); 1729 (108r), აქეს ჭვირნიშანი; გადამწერი; მირველ თუ-
 შანიშვილი (108r); დაუწერელია: 20v, 63v.

[დასტურდამალი]. — „ქ. კარი პირველი ყოველის კვლავიანისა
 და მათი სარგოსი.— დაგვიყენებია ეშოქალაბაშად არაგვის ერისთვის
 შვილი ზურაბ, ამილახვარის შვილი რევაზ. ეს ორნი ამ
 საკვლოში იყუნენ... 1r-108r.

შენიშვნები: 1. გვიანდელი ხელით. კიდეზე აწერია: „წესი და
 განგება სამეფო დარბაზისა-კარისა მეფის ვახტანგ მეექვსისა“.

2. უძღვის: ა. საძიებელი: „პირველი ფარდი ა, რვეული ა. მდ-
 თით ეშოქალახისაშია.— ა. ქ. კარი ყოველის კვლავიანისა და
 მათის თაბუნისა...“ (1r-2v).

ბ. წინასიტყვაობა: „ეჰა, დიდება შენდა მზადო ყოველთაო,
 რომელმან ყოველნი არხნი და არა არხნი არხებად მოიყუანენ.
 იყავ, ხარ და ვგები უკუნისამდე, ჟამთა და წელთა დაუბერაობითა.
 და შენ გადიდებენ ყოველნი ქმნილნი კვლთა შენთან, დიდება
 გამოუთქმელსა და მიუწოდმელსა ძალსა მღ-თებისა შენისასა და
 აღურაცხელსა კაცთმოყუარებასა შენსა. ჩვენ შენ მიერ პირველთ-
 აგანვე ზეცით საქართველოს მეფედ განკუთვნილისა და აწ
 სასუფეველი ცათა შინა სულ ბრწყინვლად მნათობელისა, პირველ
 ვახტანგ კომბილისა და შემდგომად სპარსთა ენითა შაჰნავაზ
 წოდებულის ძისა მისის, ქართველთა მეფისა და სრულიად ერ-
 ანელთა სპასხლარისა და სპასჰეტად დადგინებულისა ყანდარისა
 და ქირმანისა, ბეგლარ-ბეგისა გირიშისა და ჰაილათისა მჭირავისა,
 პირველ გიორგი კომბილისა და შემდგომად მეორე შაჰნავაზ
 წოდებულის მაგიერად მყოფმან, ძმისწულმან მისმან და ძემან
 ერანის მდივანბუვის შაჰყულიხანისამან, საქართველოს
 ჯანიშინმან, ბატონისშვილმან, პატრონმან ვახტანგ
 ოდენს ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ წესი და განგება სამე-
 ფოსა დარბაზობისა და განუჩინეთ და განუწყებთ წიგნითა ამით,
 რათა ყოველნი კვლისუფალნი და მოქმედნი დარბაზისა რიგისანი
 ესრეთ იქცეოდენ და განაგებდენ თავის თვისნი მოკვლენი საკვლო-
 თათვისთა და წესითა და შემსგავსებითა იქცეოდენ და ნურავიმ-
 ცა შეადრე იქმნებიან ბრძანებულისა და განჩინებულისა რიგისა
 ამის შეცვალებით ხლეკსა, არამედ კეთილად და ესრეთ მყონ,
 ვითარცა გვემცნეს, რამეთუ უეჭველად და დაუცადებელად არს
 მივლინება ბოროტი უწყსოდ მქცეველთა ზედან, ხოლო პატივი და
 დიდება არა შედგარხა მონასა, არამედ მორჩილად განმგესა, დამ-
 ართებით მქცევსა.

აწ ვიწყით და ამით ყოველთა სცნან და დაიმარხონ წესი და
 რიგი ესე, თუ რომელი სამსახურის მოქმედი და მოკვლენი დაგვიდ-
 გენია საკვლოთა თავისთა ზედან, ესრეთ თვითთულად აღწერილის
 წიგნითა ამით იცნობენ და ეგნენ და ნუმცა ვინ დაკვლებულ იქმნე-
 ბის ნახეუარი ერთხან და ნახეუარი მეორეხანს ცვალებითა და
 რიგითა სამსახურსა ჩვენსა, რაჟამს რომლისა რიგი აღესრულოს,

კუალად სხვა კარისაგან განუყრელად იქნებოდენ. თვისთა უხუცესთა დასტურითა და შეკითხვითა პირველ ჯერ-არს სხენება და აღწერა, რამეთუ ამით მიერ არს იგი პურობისა წყალობისა და რისხვისა“ (3რ-ვ).

3. „დასტურლამალი“ გამოცემულია: იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 235-327.

იხ. მასზე: თ. ენუქიძე, დასტურლამალის ერთი ადგილის შევსებისათვის (ქართული წყაროთმცოდნეობა, III, 1971, გვ. 294-298)

ანდერძი: (სინგურით) „განსრულდა წიგნი ესე თვესა მკათათვეს ი-ს გასულს, ქ-კს უიზ, ქრისტეს აქათ ჩღკთ. ჴელითა თუ მან-ი შვილის მირველ“ (108რ). („მირველ“ ჩართული დამწერლობითა დაწერილი).

მინაწერები: 1. „ქ. იოვანე კლიშიაშვილის ძე გიორგი დაიბადა გიორგობის თვეს ექვსსა, 13 დღესა ოთხშაბათსა, ქ-კს უპმ გიორგი“ (ქ-ვ).

(„გიორგი“ დაწერილია ჩართული დამწერლობით).

2. „ქ. იოვანე კლიშიაშვილმა ჯვარი დაიწერა ჯავახის-შვილის იოსების ასულს ელისაბედზე ქრისტიშობისა. ქ-კს უპე პროტოტომი გიორგი მადრაძე. გიორგი“ (ქ-ვ). („გიორგი“ დაწერილია ჩართული დამწერლობით).

3. „წიგნთაგან აზნაურის აღექსანდრე გარსევანოვი-სათა ჩემე წელსა, აპრილის იმ დღესა“ (2რ).

4. „წესი და განგება სამეფო დარბაზისა-კარისა მეფის ვახტანგ მეექვსისა“ (3რ).

5. „მადრაძე ქუმსის ძე გიორგი დაიბადა აპრილის ი, ქ-კს ულბ. მადრაძე გიორგი მთაურად დიაკვნად ჴელდასჴმულ იქმნა აპრილის იბ, ქ-კს უი. გიორგი მადრაძე მღვდელად ჴელდასჴმულ იქმნა იანერისა კვ, ქ-კს უოა. გიორგი მადრაძის ასული ბარბარე დაიბადა იანერის დ, ქ-კს უიბ. გიორგი მადრაძის ძე იოვანე, რომელსა ჴვიან ქუმსი, დაიბადა სეკდენბრის კვ, ქ-კს უიე. გიორგი მადრაძის ძე პეტრე დაიბადა თიბათვის კთ, ქ-კს უიმ. გიორგი მადრაძის ასული მარიამ, რომელსა ჴვიან კეკელა, დაიბადა იანვარსა კთ, ქ-კს უობ. გიორგი მადრაძის ასული ანნა დაიბადა იანვრის კვ, ქ-კს უოგ. გიორგი მადრაძე ყიზილბაშში, შირაზს წავიდა დეკემბერს გ, ქ-კს უია. გიორგი მადრაძე ყიზილბაშშიდამ (!) მოვიდა დეკემბერს იე, ქ-კს უიდ. პროტოტომი გიორგი მადრაძე რუსეთს წავიდა თავის დისწულით. რაჭაზე წავიდნენ ფებერვლის ივ, ქ-კს უოა. მოვლეთ ყირიმით, პოლშა ნოვამიდლორთ, ელისაბედის ქალაქი, ეკატერინესლავი, კლემენჩუკი, კავიალექსანდრია, ნიჟნალუბნა, ხარკოვი, ბელაგოროთი, ცარიცინ, ახტირკა, ვარანიში, ნახჩივანი, ჩერქეზ ქირმანი, სტრეპოლი, ასტრახანი, ყიზლარი, მოხლოვი და ხევზე მოვედით ქართლში მშვიდობით და უვნებელად და დეკემბერს იე, ქ-კს უოდ. პროტოტომი გიორგი, გიორგი“ (ქ-ვ).

(„გიორგი“ დაწერილია ჩართული დამწერლობით).

29

(გსიემ 4624)

სულიერ მამათა ძმობის წესი
(კათოლიკური). XIX

20 ფ.: 30X20; ქაღალდი, გაყვითლებული, დალაქავებული, დაზიანებული; უყდო; თავბოლონაკლული; მხედრული, ორ სვეტად: [XIX ს.] აქვს ჭვირნიშანი.

[სულიერ მამათა ძმობის წესი]. — „...გვამცნებს, რამეთუ სადაც ძმობის სიყვარული არს, მუნ ჭეშმარიტი ნათელი არს და სადაც სიმძულვარე არს, მუნ ბნელი არს...“ 1r-14v.

წყდება: „... დაეწერა ყოვლად წმინდა სავარდის ძმობასა შინა იესო, მარიამ და...“

შენიშვნები: 1. შეიცავს თავებს: „წესი ძმობისა, რომელი განწესდა საქართველოსა შინა“ (1v); „რომლისა მიზნისათვის განწესდა ძმობა“ (2r); „რა წესი საჭირო არს მათთვის, რომელთა შესვლა მნებავსთ ძმობასა ამას შინა...“ (2v); „რა ვალი აქუსთ ძმების უფროსსა და კანდელაკსა“ (3v); „ვალი ძმათა და დათა, რომელნი შთაწერილი არიან ძმობასა ამას შინა“ (5r); „რას წესით ჯერ-არს თქმა ლოცვა სავარდისა“ (5v); „რა არის სავარდი?“ (6r); „ეითარ ჯერ-არს დამზადება სავარდის ლოცვისათვის“ (7v); „რომელთა დღეთა შინა, ძმათა თანა ყოთ აღსარება და ზიარება?“ (8r); „განსაწმედელსა შინა მყოფნი ძმანი რას არგებენ ცოცხალთა ძმათა და ძმათ რა ვალი აქუსთ მათი?“ (9v); „რას მადლსა და შენდობას მიიღებენ ძმანი ძმობისა ამისგან“ (10v); „ამ ყოვლად წმიდა სავარდის ძმათათვის წმიდა პაპეფთაგან წყალობად მოცემული შენდობათა რიცხვი“ (12v).

2. ერთვის სიები: ა. „ძმანი, რომელნი უწინდელს ძმობას შინა დაწერილ იყუნეს...“ (15r-16r).

ბ. „ძმანი, რომელნი წელსა **ნდ** დაეწერნეს...“ (16-18).

გ. „დან, რომელნი წელსა **ნდპ** დაეწერნეს...“ (19-20).

30

(გსიემ 132)

კრებული XVIII. 1819, 1823

139 ფ.: 23X19; თეთრი, მწვანე და ლურჯი ფერის ქაღალდი, დალაქავებული; მწვანე ფერის ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა, ყუაზე მწვანე ფერის ტყავი; მხედრული, სათაურები წითელი ფერის მგლნით, სხვადასხვა ხელი; [XVIII ს.] (94r-104v), 1819წ. (2v; 64r), 1823 წ. (64v-93v, 105r-ქვ), აქვს ჭვირნიშნები; გადამწერები: მღვდელი დიმიტრი ოქრუაშვილი (64r), იესე გარსევანიშვილი (ქვ); დაუწერელია: 19v, 37v, 112v.

ს. „თარგმანება სომეხთა წუაღებათათვის და თუ რომლითა პირითა შეიწმენებიან სომეხნი.— დ. შემდგომად, ვითარცა უკრწნელ არ მგონებელი შეიწმენებულ იყავნნ...“ 2v-3v.

შენიშვნები: 1. ეს თხზულება წარმოადგენს ერთ-ერთ არა აპოკრიფულ თავს აპოკრიფული კრებულისა, რომელსაც მარგალიტი ეწოდება. იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურა

ის ისტორია, I, 1960, გვ. 453.

2. ტექსტი გამოცემულია, იხ. საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 633-635. გამოცემული ტექსტი ჩვენ ხელნაწერთან იძლევა სხვაობებს.

2. „თუშსა სეკედნებრსა მ, რუსა, საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუშნისა თეოდორე აღმსარებელისა, სტოდიელთ წინათმძღურისა, შობისათჳს ყოველად წმიდისა დედოფლისა ჩუშნისა ღუთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. მ. გ. - ბრწყინვალედ დღესასწაულობს დღეს დაბადებული, რომელსა მოუვიეს ახლად ცად ქალწული ყოველად ქებული...“ 4r-14v.

შენიშვნა: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ. იხ. თამარ ბრეგაძე, ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი ძეგლები (მრავალთავი, I, 1971, გვ. 448). გამოცემულია, იხ. ძველი მეტაფრასული კრებულები. სექტემბრის საკითხავები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნარგიზა გოგუბაძემ. 1986, გვ. 102-114.

3. „თუშსა დეკემბერსა კე დღესა, წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა ერეკლე კოსტანტინუპოლელ მთავარეპისკოპოსისა, რომელი ესე აღმოსთქუა დიდსა ეკლესიასა შინა სოფია-წმიდას სასმენელად ნესტორ მწვალებელისა, სჯდა რა იგი მუნ სიტყუა შობისათჳს უფლისა ჩუშნისა იესოსა ქრისტესა.- ქალწულისა კრება დღეს, მამანო, ენასა ჩემსა შესხმად მოუწეს...“ 15r-19r.

4. „თუშსა იანვარსა ა, გრიგორი ღთისმეტყველისა ეპიტაჲიად ვასილისად, სტინი იროიკონი, პარაფრასნი ნიკიტა ჭილოსოქოსანი. - ა, ეჰა, ქრისტეს მოყუარეო, და მსახურო, და მონაო მისო, ერთგულო ვასილი...“ 20r-22r.

შენიშვნა: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ. დაბეჭდილია, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრებტომათია, ტ. I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ. თბ., 1946, გვ. 372-373. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ქართული ევერსიებიდან (ეფრემ მცირის თარგმანი), გულანი, 1989, გვ. 151-158, იქვე მასზე, 126-150.

5. „თუშსა იანვარსა ვ, წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა გრიგორი ღთისმეტყველისა სიტყუა ნათლისღებისათჳს. - კუაღად იესო ჩემი საიდუმლო, საიდუმლო არა საცთურიანი, არცა უმკობელი, არცა საწარმართოსა საცთურისა და მთრავლობისა...“ 22r-31r.

შენიშვნა: თარგმნილია ეფთჳმე მთაწმიდელის მიერ. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 31.

6. „თუშსა ჭებერუალსა ბ, საკითხავი თქმული წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩუშნისა ამბილოქე იკონიელისა მივებებისათჳს უფლისა ჩუშნისა იესო ქრისტესისა. - მრავალნი დიდთა მათ საკველოვანთა მათ კაცთაგანნი საკურუმლ პყოფენ ქალწულებასა...“ 31v-37r.

შენიშვნა: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 12; თ. ბრეგაძე, ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი ძეგლები (მრავალთავი, I, 1971, გვ. 431).

7. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ათანასი აღექსან-
დრელ მთავარეპისკოპოსისა აღდგომისათჳს უფლისა
ჩუშნისა იესო ქრისტესა.— აღსდგა უფალი ჩუშნი იესო ქრისტე მესამესა
დღესა და ცხოვრება სოფელსა მომადლა აღდგომითა თჳსითა...“ 38r-4lv.

შენიშვნა: „ნამდვილად იოანე ოქროპირისა“. იხ. კ.
კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 9.

8. „თუშსა იუნისსა კთ, წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა იოანე
ოქროპირისა, კოსტანტინეპოლელ არხიეპისკოპოსისა შესხმა წმი-
დათა და ყოვლად ქებულთა პეტრესი და პავლესი, თავთა მო-
ციკულთა. — ცისა და ქუშყანისა ურთიერთარს შესწორებისათჳს ჳლო-
მასა ვჰხედავ მე დღეს...“ 41v-46r.

შენიშვნა: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ. იხ.: თ.
ბრეგაძე, ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი ძეგლები (მრავალ-
თავი, I, 1971, გვ. 454).

9. „თუშსა ავუსტოსა ვ, წმიდათა შორის მამისა ჩუშნისა ეფრემ
ასურისა სიტყუა ფერისცუალებისათჳს უფლისა ღთისა და
მაცხოვრისა ჩუშნისა იესო ქრისტესი.— ავარაკისაგან შკად სიხარულისა,
ხოლო ვენახისაგან ნაყოფნი სანოვაგეთანი და წერილთაგან ჰსწავლანი
ცხოველს-მყოფელნი...“ 47r-52v.

შენიშვნა: დაბეჭდილია, იხ. საკითხავი წიგნი ძველ ქართულ
ენაში, II, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, 1966, გვ. 11-19, 211.

10. „თქმული წმიდისა სიმეონ თესალონიკელისა. —
კჳუშნის მოძღუარსა, რათა განმზადებული ადგილი აქუნდეს და მუნ
აღუარებდენ კაცნი ცოდუათა თჳსთა...“ 53r-64r.

11. „სიტყვისგება ბერისა ეფთჳმე გრძელისა სოსთენის
მიმართ სომეხთა მოძღურისა. — ჟამთა უკუშ ღთისმსახურისა
მეფისა ბაგრატისათა იქმნა უკუშ კრება კჳალად ღრტილის...“ 64v-67v.

შენიშვნა: დაბეჭდილია, იხ.: საბინინი, საქართველოს
სამოთხე, 1882, გვ. 618-621; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტ-
ერატურის ისტორია, 1960, გვ. 453, შენ. 2, 490.

12. „უწყება პეტროს მკაწრველისათვის და პალაჯორო-
ბისათვის და მისისა მარხვისათვის.— იყო პატრიარხი, კაცი წმიდა
და უბიწო, მართალი და მორწმუნე...“ 63r-73r.

შენიშვნა: დაბეჭდილია, იხ. მ. საბინინი, საქართველოს
სამოთხე, გვ. 629-633; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერ-
ატურის ისტორია, I, 1960, გვ. 453, შენ. 2.

13. „წიგნისაგან ანასტასი სინელისა აღმოსმული მისთჳს, თუ
ვითარ ჰსცნობს კაცი, რამეთუ მიუტევა მას ღმერთმან ცოდვანი მისნი.—
რა ჟამს იგი ღოცუასა შინა ჩუშნსა ვჰსდგათ წინაშე ღთისა არავისნი
მეტყუშლნი ...“ 73r-v.

14. „კერძოდ შეკრებული და მცირედ რაჲმე მოხსენებული სიმრავ-
ლისაგან ცხოვრებისა მისისა წარმატებათა და ნამუშავეთა განმრავლე-

ბათასა წმიდისათვის და ნეტარისა მამისა ჩუშნისა იოანე მონა-ზონისა და ხუცისა დამასკელი სან, აღწერილი მიქელისაგან, ხუცისა სუქმეონ წმიდელისა ენასა ზედა არაბთასა, რომელი ესე ითარგმნა სამოელისაგან, წმიდისა მიტროპოლიტისა ადანაელისა ბერძენთა ენად, გ.მ. — ჰსწავლის მოყუარეთა და სმენის მოყუარეთა კაცთა სიმრავლისათვის არა რად არს ესრეთ სასწრაფო და სასურველ, ვითარ ბრძენთა და საღთთა კაცთა ცხოვრება ...“ 74r-80r.

შენიშვნები: 1. ერთვის ქართულ ენაზე მთარგმნელის ანდერძი: „ლოცუა ჰყავთ, ქრისტეს მოყუარენო, იოანესთვის მღუდელისა და მონაზონისა, რომლისა ბრძანებითა მე, უღირსმან ვფრემ მცირემან, ვთარგმნე ბერძულისაგან მცირედი ესე ცხოვრება ოქრონეტარისა, აწლა ჩუშნთა ჟამთა სურვილით აღწერილი მიქაელისაგან ხუცისა სემეონ წმიდელისა, სამადლობელად ტყეუობისაგან ჰქსნისა მისისა. რამეთუ დეკემბერსა ერთსა, შემოსულთა აგარიანთა (თურქთა) სულიმანელთა, ამის დღესა დაიპერეს ქალაქი და მთით ჩამოსხეს ერი დღესასწაულსა ამას წმიდისა იოანე დამასკელისასა“ (80r).

2. დაბეჭდილია. იხ.: К. Кекелидзе, Грузинская версия арабского жития Иоанна Дамаскина, Христианский Восток, т. III, вып. 2, 1915, გვ. 119-174; მისივე, ეტიუდები, VII, გვ. 136-176; იხ. აგრეთვე, თ. ბრევაძე, ვფრემ მცირის ნათარგნი ძეგლები, (მრავალთავი, I, 1971, გვ. 455).

15. „ოკდომბერსა კ. წამება წმიდისა დიდისა მოწამისა არტემისა. მ. გ. — შემდგომად უფლისა მაცხოვრისა ჩუშნისა ზეცად ამალღებისა, მოწაფეთა მისთა და მოციქულთა მიერ სახარებითა ყოვლისა სოფლისა დაპყრობისა ...“ 80v-91v.

შენიშვნა: ტექსტი ნაკლულია, ამაზე მიანიშნებს 82v-სა და 83r-ზე დატოვებული თავისუფალი ადგილი და გადამწერის შენიშვნა: „აქა აკლდა“ (82v).

16. „დღესასწაულისა ჯვარის აღპყრობისასა, საკითხავი თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუშნისა იოანე ოქროპირისა. გ.მ. — ყოველივე უდარესთაგან უმჯობესთა მიმართ შეცვალება ფრიადისა შევებისა და მხიარულებისა ...“ 91v-93v.

შენიშვნა: მეტაფრასული რედაქციისა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 76. გამოცემულია, იხ. ძველი მეტაფრასული კრებულები, სექტემბრის საკითხავები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნარგიზა გოგუაძემ, 1986, გვ. 322-327, 516.

17. „აბერკიმ დაწერა საფლავის ქვაზე სიცოცხლეშივე სტიხნი ესე: — რჩეულისამან მის მკვიდრმან ქალაქისამან ესე შევქმენ, ვიდრეღა ცხოველ ვიყავ ...“ 93v.

18. „თთუშსა ... წმიდისა მამისა ჩუშნისა იოანე დამასკელისა შობისათვის უფლისად ჩუშნისა. გ.მ. — რაჟამს ზაფხული მიიწიოს, ყოვლისა სოფლისა ნიუთნი კუალად განახლებად მოიქცევიან ...“ 94v-104v.

შენიშვნა: თარგმანი ვიორჯი მთაწმიდელისა. იხ. კ.

კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.66-67.

19. „თთუშსა სექტენბერსა, წამება ყოვლად ქებულისა ევსტათი სტრატილატისა და მეუღლისა და შვილთა მისთა.— ტრიაიანეს პრომთა ზედა მეფობასა და კერპთა მათ საბორგილესა მთავრობდა დიდიცა ესე ევსტათი ...“ 105r-112r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მიწერილია: „წმიდაო, დიდო მოწამეო და მრავლად ვნებულო ძეგებით და მეუღლითურთ შენით ევსტათი, იღვაწე სულთა ჩემთვის“ (112r).

20. „თთუშსა აპრილსა კვ, წამება წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისა მკ.— რაჟამს იგი დაეპყრა კერპთმსახურებასა ეშმაკისასა ყოველი სოფელი, იყო ბერძენთა ზედა მეფე, რომლისა სახელი დეოკლიტიანე ...“ 113r-121v.

შენიშვნები: 1. ერთვის აღმწერლის ანდერძი: „ხოლო მე, პარეკრატოს (!), მონა წმიდისა გიორგისი, პირველითვან შევუდეგ უფალსა ჩემსა და აღვსწერე წამება მიხი ტეშმარიტად. და ნეტარ არს, რომელსა რწმენეს ქრისტე ღმერთი ჩუშნი და დამკსნელი ჩუშნი, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუე უკუნისამდე ამინ“.

2. კიმენური რედაქციისაა, იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 122.

3. დაბეჭდილია, საბინინი, საქართველოს სამოთხე. 1882, გვ. 48-58. ე. გაბიძაშვილი, წმინდა გიორგი, 1991წ, გვ. 42-73.

21. „საკურუმლება და სასწაული წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისი, იყო რა სოფელსა ამას შინა პირველ წამებისა. გ.მ. — ისმინეთ, ძმანო ჩემნო, საყვარელი და დიდებულები, რომელი იქმნა წმიდისა და დიდებულისა მთავარმოწამისა გიორგის მიერ ...“ 122r-123v.

შენიშვნები: 1. კიმენური რედაქციისაა, იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 122.

2. დაბეჭდილია, იხ.: საბინინი, საქართველოს სამოთხე. 1882, გვ. 59-62. ე. გაბიძაშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 75-80.

22. <მანუილ ქსანთინოსსი>, „ქორწინებისა თავთათვის. თავი სჟა, მატესი. — ხარისხნი ქორწინებისა ამაღ ვიდრემე იწოდებიან ხარისხად, რამეთუ ვითარ იგი ძეთა ზედა აღმხვალ ხარისხად და შთამოხვალ, ეგრეთვე ნათესავობაცა ხარისხად ...“ 124r-138r.

შენიშვნები: 1. ნათესაობის სქემა მოთავსებულია 130r-138r-ზე.

2. თარგმანი ქართულ ენაზე ეკუთვნის იოანე ქსიფილინოს-პაკუწიშვილს. იხ. კ. კეკელიძე, „ეტიუდები“, V, გვ. 96; მისივე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 397. 454.

23. „გამოცდილების-მოყურებითი წინა-თქმაობად ას ექუსის წლისა დიდებულისა, შვეიცარელ მოკუცისა, მარტინე ზადეკისა მეგობართა მიმართ მისთა. — წინა ვიდრე დაიდების აქა ღირსსაკსოვარი წინათქმაობა, ქმნილი ას ექუსის წლისა მოკუცისა მიერი, შუიცარეთად აღპიურთა მათთა ზედან ...“ 138v-ქ.ყ.ვ.

შენიშვნები: 1. ერთეის მთარგმნელის ანდერძი: „გარდამოიცი ეხე იესე მღუდლისა გარსევეანი შვილისა რუსულთ ქართულად ჩეკე წელსა, თთუშსა იულისსა მეოთხესა რიცხუსა. 1823 (ქ.ვ).“

2. ხელნაწერს უძღვის იესე გარსევეანი შვილის მიერ შედგენილი ხანდუკი (2r).

3. ტექსტზე იესე გარსევეანი შვილის მიერ დართული შენიშვნები იხ.: 3v-4r, 66v-67r.

4. ხელნაწერს აქვს რვეულებრივი სათვალავიც. წიგნი ერთ კრებულად შეუკრავს იესე გარსევეანი შვილს. მას სხვადასხვა ხელნაწერი წიგნებიდან ამოუკრებია თხზულებები. ხელნაწერის ძირითადი ნაწილი (2v-64r) დაწერილია დიმიტრი ოქრუაშვილის ხელით (64r, 64v-93v, 105r-ქ.ვ.) დაწერილია იესე გარსევეანი შვილის ხელით, ხოლო 94r-104v ამოღებულია სულ სხვა ხელნაწერიდან და წარმოადგენს იმ ხელნაწერის ია (11) რვეულს.

ანდერძი: „1819 წელსა, ნოემბრის 18 დღესა აღიწერა კელითა დიმიტრი მღუდლის ოქრუაშვილისათა“ (64r).

შინაწერები: 1. „წიგნთაგან აღექსანდრე გარსევეანოვისათა; ჩემე წელსა, იმ აპრილსა“ (1r).

2. წიგნთაგან იესესათა“ (2r).

3. „აქა ესოდენივე ძვირად შეხუდების ხილვად ცუდსა დედაკაცსა, რაოდენ სხვასა ადგილსა შინა სრულისა მშვენიერნი კინიდა ყოველსა ბიჯსა ზედა მოგეგებიან იგინი. მე ნამდვილ არა განვადიდებ. ძნელ არს თვისდა წარმოდგენად ნაკუშით უკარგესნი, ტანს უთანასწორები ... საამურ ხილვასა შინა, ვითარცა აქვსთ ქართველთა. იტყვიან, რომელ საკვირველმან მშვენიერებამან აქაურთა დედაკაცთაგან შეაბრკოლა მადომეტი მისლვად მუნ ...“ (105r).

4. (ნუსხურით) იესო, მაცხოვრე მე, ამისი მხსნაბავი“ (121v).

იხ. შინაწერები: ზ. ყ. v, 1r, 1v, 73v.

31

(გსიემ 133)

კრებული. XIX

86 ფ.: 20,5X17; ქალაღი, მწვანე და თეთრი ფერის, დელაქავებული; მომწვანო-მოღურჯო ფერის ქალაღდადაკრული მუყაოს ყდა, ყუაზე მოყვითალო-მომწვანო ფერის ტყავი, ყდის გასამაგრებლად გამოყენებულია XIX ს-ის. ხელით დაწერილი ფურცლები; მხედრული; [XIX ს], აქვს ჭვირნიშანი; გადამწერი იესე გარსევეანი შვილი.

[კრებული]. 1. „წიგნი საზღუართა დავითისი, უძღვეველ ფილოსოფოსისა.—რომელნი ერთგზის ეტრფიან სიტყუათა სიბრძნისათა და მხოლოდ მწუშრუადითა თითისათა შეემთხუშვიან გემებად და სიტკბოსა მის გამო ყოველთა საცხოვრებელთა...“ 2r-23v.

შენიშვნა: ქართულ ენაზე თარგმანი ეკუთვნის ფილიპე ყაითმაზაშვილს და დოხითეოს ჩერქეზის შვილს. იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 368; ს. გორგაძე, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში. (ყ. ჩუენი მეცნიერება № 2-3, გვ. 146-147).

2. „მოკლე დანაკუთება რიტორებისა. — რიტორება არს მსწავლად წერუად და აღმსკუად უხუზბრ შუშნიერებ და წესიერებრ და მით შენასრულ ქმნად საზოგუროდ კმევა ენისა ...“ 24r-39v.

შენიშვნა: თარგმნილია დოსითეოს ნეკრესელის, ჩერ-ქეზიშვილის მიერ. იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 372-373.

3. [სვიმეონ ჯუღუფელი, დიალექტიკა]. „დაწყებასა შორის დიალიგტიკისასა საკმარ არს კითხვასათუ მცირისა რაისამე თქმად, რომელსა განსაზღურებს არისტოტელი ესრეთ. კითხუა არს ძიება მიგე-ბისა. — აწ უკუშ დადაცათუ მრავალ არიან სახენი კითხვისანი, გარნა აქა საკმარ არიან ჩუნსდა ...“ 40r-84v.

შენიშვნები: 1. ერთვის: ა. „სიტყვის-მგებელთა კრძალულები-სათვის წინ-ჩამოგდებათა და წინადადებათა მცილებელთასა.— აწ უკუშ მოგეცა შენ წინ-ჩამოგდება ესე, ვითარმედ ყოველი ცხოვე-ლი მოზარდი არს ...“ (84v-85r); ბ. [დოსითეოს ნეკრესელი], „ლოცუჲმან ანნა. — დაუხდებ გონებად აღძრუასა სულისასა, ...“ (85r-86r). (ავტორი აღდგენილია ხელნაწერ S 278-ის მიხედვით. იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), I, 1960, გვ. 298).

2. სვიმეონ ჯუღუფელის დიალექტიკა სომხურიდან თარგმნეს ანტონ I კათალიკოსმა და მღვდელმა ფილიპე ყაითმაზაშვილმა. იხ. ს. გორგაძე, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში (ქ. ჩვენი მეცნიერება, №2-3, გვ. 145-146).

მინაწერები: 1. „წიგნთაგან აღექსანდრე გარსევანო-ვისათა ჩემე წელსა, იწ“ (1r).

2. (ნუსხურით) „ვიწუართები არა რათა ვაზაო კეთილსა ბოროტი, არამედ რათა განვზაო კეთილი ბოროტისაგან“ (1v).

3. „ეს უძლეველად სახელდებული სომეკთაგან ფილოსოფოს დაეთით დაამტკიცებს გარემოქცევით, შესაძლებელ არს თქმად ღმერთსა ზედაო წინადადება ესე, რამეთუ რაზომ რაი პნებაეს, შემძლებელ არს და რაოდენი რაი მძლავს, პნებაეს, რამეთუ ესე ცხად არს ყოველთა მიმართ შემძლებელ არს უჩინო ყოფად ქვეყ-ნისა, არამედ არა პნებაეს და დამტკიცებული ფილოსოფოსისა წინადადება არს უუძლიერესი, იესე“ (1v).

4. (იესე გარსევანიშვილის ხელით) „მუშაითობა, მე-ფუნდუკობა, მფუცხავობა, ვარსიზობა, სამოშაგო და ესევენი სახენი არიედ გვართა რაკვისანი“ (16v).

5. (ნუსხურით),

„ესეთა სიშორეო, ვერდა რა მთმე,

აღმოვაწე სრბით მელანსა მე,

ჩემნი თქმანი შენ აღკაზმე,

სიყუარულთა დავაზავე

შენი ჭურჭტა მარად ღამე“ (39v).

6. „იესე“ (56v).

7. „დოსითეოს ნეკრესელი“ (86r).

იხ. მინაწერები: (1r, 1v, 86v).

32

(გსიემ 134)

 იოანე ქართველი შვილი.
 ქართული ღრამმატიკა. XIX

შენიშვნები: 1. ხელნაწერში მოიპოვება გადამწერის ხელით

შესრულებული რამდენიმე ჩანაწერი: ა. 165r დახაზულია სვეტებად, ხათაურად აწერია: „ვერნადირი“. პირველი სვეტი შეეხებუღია წლებისა და მასთან დაკავშირებული რაღაც რიცხვების მარჯვენაგვერდით: 1869-26, 1870-7, 1871-18“ და ა.შ.

ბ. 168v-ზე დახაზულია მთავრის კალენდარი. ქვევით მიწერილია მისი განმარტება.

ბ. [ღექსი]. -

„ქ. საბახ საბახ დედიღარ, ახნა ფული ედიღარ,
 ფული ვურ თულარდან, სორა პოშოლ პროჩ დედიღარ,
 ხვალა, ხვალა იტყვიან, თეთრს ფულს შესჯამიან,
 ფულის გათავებაზედ: წადი, დაიკარგე, - ეტყვიან“ (170r).

დ. [გამოცანა]. - „ქ. მთა დამითოვლა, მინდორი დამიგრძელდა, შორი გზა მამიხლოვდა, წიხქილი მგელმა მამტაცა.

მთა დამითოვლა არის თმის გათეთრება. წიხქილი მგელმა მამტაცა არის, კბილები რო აღარ ექნება, შორი გზა მომიახლოვდა არის ხიკვდილი: მინდორი დამიგრძელდა არის მუხლებში რო ძალა არ ექნება“ (170r).

ე. [ხუსუნატის წამლის რეცეპტი]. - „კანაფის თესლი, გვარჯილა ნახევარი, ის, ნახევარი ის, წმინდათ დინაყოს და არაყში ჩაიყაროს. იმ დამეს იხე იყოს, მეორე დღეს დილა-ხაღამოს დალიოს და ბუთლიკა უნდა დაწვდრიოს, რო არ დაიღეკოს. ეს ხუსუნატის წამალია“ (172r).

2. 168r-v-ზე ტექსტის ხელთ წერია: „...სადიდებულათ წმინდისა თანაარხისა, ცხოველ-მყოფელისა და განუყოფელისა სამებისა: მამისა და ძისა და წმინ. სულისა, ბრძანებითა უკუთილმსახურისა და უთვითმპერობელისა საკლმწიფისა ჩვენისა იმპერატორისა ნიკოლოზ პავლეს ძისა, სრულიად როსიისა, და მეუღლისა მისისა უკუთილმსახურისისა ხელმწიფისა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულისა და დედისა მისისა უკუთილეს მსახურისა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულისა, მემკვიდრისა მისისა კეთილ-მორწმუნისა ხელმწიფისა და დიდისა მთავრისა ალექსანდრე ნიკოლოზის ძისა და კეთილ-მორწმუნისა ხელმწიფისა ცესარევიჩის დიდისა მთავრისა კონსტანტინე პავლეს ძისა და კეთილ-მორწმუნისა ხელმწიფის და დიდის მთავრისა მიხეილ პავლეს ძისა მეუღლისა მისისა კეთილ-მორწმუნისა ხელმწიფისა ხელმწიფისა (!) და დიდისა მთავრისა ელენა პავლეს ასულისა და კეთილ-მორწმუნეთა და დიდთა მთავართა მარიამ, ოლენა და ალექსანდრა ნიკოლოზის ასულისა და კეთილ-მორწმუნეთა ხელმწიფეთა და დიდისა მთავრისა მარიამ პავლეს ასულისა და მეუღლისა მისისა და კეთილ-მორწმუნისა დიდისა მთავრისა ანსა პავლეს ასულისა და მეუღლისა მისისა კურთხევათა უწმინდელისა უმმართველვისა“ (168r-v).

(ძნელი გასარკვევია, ეს ტექსტი ნაწილია ანდერძისა, თხზულების დასაწყისისა თუ ცალკე ტექსტისა).

ანდერძები: 1. „ღმერთო, უღხინე ამ წიგნის დამწერის იაკობას სულსა“ (34v).

2. ამისათვის გეხვეწებით მამათა და მამათა ჩვენთა, რომ მამისხენით თქვენის კეთილის პირითა, თქვათ: ღმერთო, შეუნდეთ ამ წიგნის დამწერსა იაკობ წიწიკოვსა, ამინ (37v).

3. „რომ ამ ღვთისმშობლის შუამდგომელობითა და მამა იოხების მეოხებითა შეუნდოს ამის დამწერს, ამინ“ (41v).

4. „უფალო, შენის მთავარანგელოზის ძალითა და მეოხებითა უღხინე ამ წიგნის დამწერის სულსა, იაკობსა წიწიკოვსა, აღიწერა იანვრის პირველს, 1848 წელსა“ (45r).

5. „რომ ამის შუადგომლობითა და მეოხებითა დაიხსნას ქრისტე

ღმერთმან ყოველი ქრისტიანი ეშმაკობისაგან, საცდურისაგან და უმეტესთა და ამის თარგმნის სული, დამიწერია და პატრონისა, ამინ. ზაქარ წიტიკოვის სული, (49r).

6. „აცხოვნე ამის დამწერი, ამინ“ (54r).

7. „რომ დამბადებელმან ცისა და ქვეყანისაგან, რომ ყმაწვილსა ვით დაიბადა და ვიხსნახთ თქვენ ყოველნი დიდის საცთურისაგან, ვინც ეს აღმოიკითხოთ და თქვით თუ, ღმერთო, შეუნდეთ ამ წიგნის მთარგმნელსა და დამწერის სულსა, ზაქარ წიტიკოვისა, ამინ“ (76r).

8. „ღმერთო, აცხოვნე ამის დამწერის ზაქარ წიტიკოვის სული, ამინ“ (70v).

9. „ქრისტე ღმერთო, რომ ლაზარე მკვდრეთ აღადგინე, ამ წიგნის დამწერი ისრე აღადგინე, ამ პატრონისა და დამწერის სული იაკობისა, ამინ“ (74v).

10. „ამის მონათლვა შეწიოს ამ წიგნის დამწერსა, ნუ დამიტევებ მე, უფალო, ცოდვილსა, ამინ“ (78r).

11. ქრისტე ღმერთო, შენის დიდიდის (!) უშოვნელის თავდაბლობით და საცხოვლობის დაბეზლობით უღბინე ამ წიგნის დამწერს, მოიხსენე შენს სამართალში მარჯვენიისაქენ, იაკობ წიტიკოვის სული, ამინ (80v).

12. „ღმერთო, შეუნდე ამის დამწერის სულსა, ამინ“ (83v).

13. „ცოდვა ჩემი მახუქე, რაც გცოდე გულში, ამინ. გულის განძრახვითა ზაქარ წიტიკოვის სულსა, გორელს“ (102r).

14. „ქრისტე ღმერთო, ქვეყნის მაცხოვარო, ახოცე ცოდვა ამის პატრონისა და მივე ნაწილი სახუფეველისა, ამინ“ (107r).

15. „ამ იოსების და ნიკოდიმეს მეოხებით უღბინე ამ წიგნის დამწერს იაკობ წიტიკოვისა“ (114r).

16. „ქრისტე ღმერთო, ამ სულის წმინდის მადლი შეაწიე ამის დამწერსა და პატრონსა, ამინ“ (121r).

17. „ქრისტე ღმერთო, ამ დღეობის მადლით აცხოვნე ამის დამწერის სული, ამინ“ (123r).

18. „შენ, ძეო მღვთისაო და უფალო ღმერთო ჩემო იესო ქრისტეო, შეიწყალე საბრალო სული იაკობ წიტიკოვისა“ (132v).

19. „აჲ, შენ, ხვეტო სარწმუნოებისაო, წმინდა ჯვარო თავიანთსაქემო, ქრისტიანთ საწამებელო, შენ, გვირგვინო ეკლესიისაე და მფარველო, შენის თავყანის მცემლისაო, შუამდგომელო ამ აღმწერისაო, აცხოვნე და ამ წიგნის დამწერის სული, ზაქარია, ამინ“ (136v).

20. „ქრისტე ღმერთო, შენ შეიწყალე ამის დამწერის სული, ამინ. ზაქარასი“ (144v).

21. „მოვეცეს ღმერთმა ხიმტიკიცე, ვითარცა ანდამალუწი, და მოთმინება ჩვეცა, ღმერთო, ნუ დაჰკარგავ ამის დამწერის სულსა, იაკობ წიტიკოვისა. 1854 წელსა, თიბათვის 1“ (149v).

22. „მომიტევე ცოდვა ჩემი მე, ღვთისმშობელო, გორელ იაკობ წიტიკოვის სულსა, ამინ“ (153r).

მინაწერები: (გადამწერის ხელით): 1. „იუნია თიბათვე, 1856 გიორგობის 14, ფული გამოგზავნა ნათლია ჩემმა ღკა არაგანსაცუ“.

1857 წელსა აპრილის 28. შენ და კეკუასთან ბებიანთი წიგნი. აპრილის 28. ფოშტით.

მაისის 11. შენ წიგნი როსტევეანოვის ხელით.

მაისის 14. ჩალაბაღას ხელით წიგნი შენ.

მაისის 18. აბეკოვის ხელით წიგნი შენ.

მაისის 30. ისაიას ხელით წიგნი შენ თინას აბუოვს ამანათი, თევზიცა.

გვარამაძის ხელით თიბათვის 4. წიგნი.

- თიბათვის 11. წიგნი შენ დეღუა შეიღის ხელით.
 თიბათვის 28. შიუკას წიგნები, კაბაც.
 კათათვის 3. აღუნაკიანთ ზაკარას წიგნი.
 კათათვის 10. ილარიონი წავიდა გროზნას“ (ზედა ყდის v).
 2. „Сия книга принадлежит духанчику Иакову Цитикову, кто украдет, Бог накажет. 1848 года переписал.“ (ზედა ყდის საცავი ფურცლის r).
 3. „ადიწერა იანერის პირველსა, ჩემს წელსა“ (ზედა ყდის საცავი ფურცლის r).
 4. (შავი ფანქრით) „1857 წელსავ ლადიკაეკაიდან მოვედი მარიამობის 10“ (ზედა ყდის საცავი ფურცლის r).
 5. უსაშინდეს ხარ ... ღმერთო, ყოველთა შენთა ქმნილთაო, უსწორ-უწონელ უსაზრო-კელავ უთვალაეი წყლითაო, წმინდა არს სახელი შენი ცით ქვეყნათ ხმელთა წყლითაო, და მეც გაქებ არსად მოსული შენგან ბოძებულ წყლითაო (115v).
 6. „1856 მაისის 12. მოვედ გორიდან კავკავს“ (153v).
 7. „1857 ამ წელსა, იყო აპრილის 7-ში აღდგომა, ამალღება იყო მაისის 16 -1857“ (172r).
 8. „1857 წელსა, მაისის 7, გადაცვლილა ჩემი ნუშა“ (172r).
უმნიშვნელო მინაწერები: ზედა ყდის საცავი ფურცლის v, 41v, 161r-v, 172r.

72

(გსემ 4580)

იოანე დამასკელი. გარდამოცემა. XIX

149 ფ.: 20X17, ქბაღდი, ვაყვითლებული, დალაქავებული, მუყაოს ახალი ყდა, მწვანე კოლენკორით შემოსილი. მოყავისფრო საცავი ფურცლებით; ხელნაწერს მოცუთილი აქვს ქვედა მარჯვენა კიდე, მხედრული; ფ. 110-117 განსხვავებული ხელით; დასაწყისი ასოები მთაერულით; სათაურები და დასაწყისები წითელი მეღნიით; [XIX ს.], აქვს დამლა, დაუწერელია: 1v, 145v-149v.

„ღირსისა მამისა ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა, ვითარმედ მიუწომელ არს ღმერთი და კუალად არა ჯერ-არს ძიებად და გამოწვლილვად არა მოცემულთა ჩუენდა წმიდათა წინამწარმეტყუემლთა მოციქულთა და მახარებელთა მიერ. გვაკურთხენ, მამაო. თავი ა.—ღმერთი არავინ იხილა, ოდესაც მხოლოდ შობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა...“ 2r-144r.

უმნიშვნელო: 1. ერთის „სარჩევი“ (144v-145r). „სარჩევი“ დაუსრულებელია.

2. ყდაზე ქიმიური მეღნიით წერია: „იოანე დამასკელი, გარდამოცემა, უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა“.

3. 148v-სა და 149v-ზე დასმულია 3 ბეჭედი ეკლესიის გამოსახულებით. მათი ზეგუნდებია: „ონის წმიდის გიორგის ეკკლესია“ (148v, 149v); „ფსორის ღვთის მშობლის ეკკლესია“ (149v).

4. ხელნაწერს აქვს რიცხვობრივი პაგინაცია.

5. თხზულება ქართულად თარგმნილია არსენ იყალთოელის მიერ. იხ. კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, ტ. V, თბ., 1957, გვ. 66; მისივე, ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 273-281. ივანე ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, თბ., 1978, გვ. 107-111.

ანდერძი: „განსრულდა, დიდება ღმერთსა ზედა“ (144r).
უმნიშვნელო მონაწერი იხ. ზედა ყდის v და 1r.

73

(გსიემ 4619)

ფრაგმენტი (ლიტურგიკული ხასიათის).
XII-XIII

8 ფ.: 15X13; ეტრატი; ჭუჭყიანი, გაშავებული, უყდო; ფრაგმენტი; ფ. 4-ის შემორჩენილია მხოლოდ ზედა მარცხენა კიდე; დაშლილი; დაზიანებული; ნუსხური; დახაწვისი ასოები მთავრულით, სათაურები და დახაწვისები ხინგურით; [XII-XIII ს.].

„პავლე. სახარება გამოკრებილნი წმიდა აღვსებასა. ფსალმუნი. კ~დ გ~ი. ესე არს დღე, რამეთუ ვქმნა, უფალო, დასდებული. ა. აუვარებდით უფალსა რ. საქმე წმიდათა მოციქულთა. — პირველი ესე სიტყუაა ვყო ყოველთათჳს. მ. ღმრთის მოყუარეო, რ~თა იწყო იესუ ყოფად და სწავლად...“ 1r-8v.

წყდება: „...მოვიდა იესო და და[დგა] შორის მათსა და პრქუა [მათ]: მშჯდობა თქუენ თანა!“ 8v.

74

(გსიემ 4586)

კრებული. 1776-1777

139 ფ.: 29,5X18,5; ქაღალდი, გაყვითლებული, გაჭუჭყიანებული, დალაქავებული; ტეიფრული, შავი ტყავით გადაკრული ხის ყდა, ყდა დაზიანებული; დაზიანებულია ფ. 1, 2, 3, 42, 49, 50, 54, 55, 72, 73; ამოვარდნილია ფ. 137; ხელნაწერს აკლია 130-131, 137-138 ფურცლებს შორის; მხედრული, სათაურები წითელი მეღვინით; გადამწერი კორნილიე ჩაჩიკაშვილი, 1776-1777 წწ. (72r-139v); აქვს ჭვირნიშანი.

1. „ყარამანიანი, ნათარგმნი სპარსულისაგან ქართულათ ყ[აფლანის] შვილის [სარდალ საღთხუც[ისა] დავითისაგან, ტკბილათ და ამოთ სასმენი... — [პირველ ჟამად სპარსეთს... იყო ხელმწიფე დიდი, რომელსა ეწო[დებოდა] [თახმუ]რად. ესე იყო მორტკმული და აღსრულებული ყოველსა ზედან სპარსეთისასა...“ 2r-72r

უმნიშვნელო: 1. „ყარამანიანის“ ბოლოს ახე წერია: „აქა დასრულდა ანბაი ესე. ნუმცა დაესრულების დიდება თქვენი. თუმცა ყარამანის ანბაი სხვადა მრავალი არის, მაგრამ იმაში ამის მეტი არა ეწერა. მისად ამბად ესე კმახყოფელი იყოს“ (72r).

2. თხზულების შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958, გვ. 355; ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1966, გვ. 353-356; ძველი გამოცემულია რამდენიმეჯერ, ბოლო გამოცემა განხორციელდა 1965 წ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და დექსიკონი დაურთეს ალექსანდრე გვახარიამ და სარგის ცაიშვილმა.

ანდერძი (გადამწერის): „განსრულდა წიგნი ესე ყარამანიანი



ხელითა ჩაჩიკას შვილის ნიკოლოზის ძის კორნილიესაგან. სუმცა დასრულებების პატრონის ამის სახელი და გვარი შეილითა და შვილის შეილითა. გასრულდა ოც დღეზედა. დეკემბერს ცამეტს. ქ. კს უად.

ერთი წიგნი ამისთანა არეისა აქეს კაცთა ძესა.

ტკბილ არს ესე საკითხავათ, შეილი სწოვდეს დედას რძესა.

ხადმთოცა და ხაეროცა შეკრებილი აქა ძესა.

სურვის ვაჭრობთ, ვერ იყიდთ. დიახ, დიდი ფახი სძესა.

კ~ დღეზე გასრულდა“ (72r).

2. <ამირანდარეჯანიანი>. — კარი პირველი. აბესალომ ინდოთ მეფისა ანბავი, მისივე მეფისა შორტყულისა და დამდიდრებულისა და წიგნი ამირანდარეჯანის ძისა. — არა იყო შექცირვება გულსა მისსა, ესე იყო წესი მისი. უდგა ასი ავაზა, ექვსასი ქორი, თეთრი და მწყაზარი. ყვა სამი ათასი დიდებული...“ 73r-139v.

შენიშვნები: 1. ტექსტი გადაწერილია ნაკლული დედნიდან. ნაკლული ტექსტისათვის ხელნაწერში დატოვებულია ადგილები: ფ. 109-110, 135, 136.

2. ძეგლის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 75-85; ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1945, გვ. 28-80; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1966, გვ. 26-59; მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, თბ., 1967. გამოსაცემად მოაზადა, გამოკვლევა და დექსიკონი დაურთო ღილი ათანეჯლი შვილმა. ჩვენს ხელნაწერი ამ გამოცემაში S ლიტერით არის აღნიშნული. არსებობს ამ თხზულების უფრო ადრინდელი გამოცემებიც: ხ. ყუბანეი შვილის ძეგლი ქართული ლიტერატურის ქრებტომათია, ტ. II, თბ., 1949, გვ. 1-110; ი. დოღაშვილის ჩვენი ხაუნჯე, ტ. II, თბ., 1960, გვ. 283-452.

3. ხელნაწერს აქვს პავინაცია.

ანდერძი (გადამწერის) „დასრულდა წიგნი ესე ამირანდარეჯანიანი ხელითა ჩაჩიკას შვილის მღვდლის ძისაგან, რომელსა ეწოდების კორნილიე, უფალმან აკურთხოს პურითა, დვინითა, ზეთითა, სიცოცხლითა, და სიხარულითა, ამინ.

განსრულდა თვესა იანვარსა ხუთსა, კორონიკონსა უფე. განსრულდა წიგნი ესე ოცსა დღესა“ (139v).

მინაწერები: 1. „თქვენო მაღალო ბრწყინვალეებავ, უმოწყალებო ხელმწიფევე, გიორგი ერისთოვი პირველად უმდაბლესად თავს დაგიკარავ და შენს განძლიერებას უზენაეს არსებას ვსთხოვ. ამასთანავე ვიცო, თქვენი კეთილ გონებისაგან ჩვენს ვითარებას იუწყებ, დ-თისა და თქვენის წყალობით, ამჟამად მშვიდობით ვიმყოფებით“ (ზედა ფდის v).

ფურცელი, რომელზედაც მინაწერია შესრულებული, ყდაზე უკუღმაა დაკრული, მინაწერის ტექსტი ამ ფურცელზე რამდენჯერმე მეორდება.

2. „ვარე მოწმით გონიერთაგან საცნობელი, ესე იგი ამოცანა. — არა ვარ შემოქმედ, არცა ქმნილი არავოდეს ვიყავ ხილულ ცოცხალთა შორის, და ოდენ ვიმყოფები მკბართა შორის. ვატები, არამედ სოფელსა შინა არა ხელმეწიფების ყოფა, სოფელსა შინა ვარ უპირველესი მწვერი, გარნა ვარ არც მიწა, არც წყალი, არცა ჰაერი, არცა ცეცხლი, და არცა მესხეთე სხეული. არამედ ბუნებით ძალითა ჩემისა ვითარცა საშუაღსა ზედა ვიმყოფები ნივთთა ამათ შორის. არა ვარ და არცა ოდეს დროულად ვიქნები. წახულში მიწა არ ვიყავ, აწმყო არა ვარ და საუკუნოდცა მყოფობასა მიწა

არა ვიქნები, ვკტები პირველ, ვიდრეღა ეიშობები, ვარ მამა წყ-
 ეულთა სულთა, მაგრამ არა ვარ, ჯოჯოხეთისა შინა მე ვარგდი-
 ვარ და არა ცხოვრებულ და არცა ქონებულ და არცა ცხოვებულ“
 1r.

3. „კაცი კაცისას გავგზაუნე,
 სახლად შეე ...
 სახლი შინ...“ (1r).

4. [გამოცანა]. –
 „ერთსა რასმე ბუნებაში ერთი რამე განძი სძევსა,
 თვით მატულობს, არ კლდებულობს, არც სახელი შივან სძევსა,
 ვინც იუნჯა, ვერც იმან სცნო, ვერც სახმარად მიყოფს ხესა,
 ძალით გახსნა არვის ძალუძს, თვით აღირჩევს მოსვლის
 დღესა“ (1v).

5. [გამოცანა]. –
 „მე და ჩემი მიყვი დარბაიხელს ვიყვი,
 მიყვი სახლში შევიდა, მე ქე დაერჩი ბრიყვი“ (1v).

6. „ეინ იყო, რომელი ცაბა ქვეშე არ იყო. ქვეყანასა ზედა
 ვიდოდა, ღმერთსა თაყვანისცა, ვინ იყო ([იყო ივანე ნათლისმცე-
 მელმან მუცლით გამო თაყვანისცა ღმერთსა.

ვინ თქვა ფიცი უტყუელი-თუმცა ემტყუნა, სიმართლემცა ექმნა.
 (ეროდემ ქალსა მას რქვა ფიცით: რაცა მთხოვო, მოგცე შენ)“ (1v).

7. [გამოცანა]. –
 „მწყემსნი ხშირად იპოენიან, იხილვენ და მეგობრობენ,
 ხელმწიფენი მეტად ძვირად როს ნახვენ და ვერა ძმობენ,
 ღმერთი ვერსად ვერ იხილავს, მოციქულნიც ამას ხმობენ,
 გამომცნობი ამ შაირსა ძ...[თაქ]სა შეიმკობენ“ (1v).

8. „Царица София, Царица София“ (28r).

9. „ეს ყარამანიანი ახმაროს ღმერთმან Царица София-ს“ (30r).

10. „მარიამ წულუკიძის ქალი“ (72v).

შენიშვნა: „მარიამ“ წერია ჩართული ასოებით.

11. (ჩართული ასოებით) „მეფე ყოვლისა საქართველო სი-
 ირაკლი“ (72v).

12. „ნაბუქოდონოსორ მეფესა“ (72v).

13. (ჩართულით) „დედოფალი სოფია“ (72v).

14. „ეს ყარამანიანი მაჩუქა კნინა პელაგია დგებუაძისამ
 1884 წელს, 19-ს იანვარს, გიორგი დგებუაძე“ (109r).

15. „მღვდელის და მის ბლალოჩინისაგან აქვე მიწერილი აღ-
 შენდეს ეკლესია კოკიის სამოსახლოსთან, 9-ს ივლისს 1884 წ. –
 №181, აგრეთვე მამახახლისის ჯანჯდაეას, ეს დამვე თვეს და
 წელს №188 ნომრით“ (109r).

16. „Георгий Дгебуадзе, Георгий Дгебуадзе.“ (109r).

17. „Дгебуадзе Константин, Тариел Дгебуадзе.“ (109r).

18. (შავი ფანქრით). –

„მე ის მინდოდა აქანე მოხვლით,
 ფიქრითა საეხე გული დამერთო,
 მაგრამ, რომ მოველ შემატა სევდა,
 და სასოება სრულად წამერთო“ (109v).

19. „აუეტოქ ნიკიტინ ისრაელიანი“ (109v).

20. „მის ბრწინვალებას კნ. გიორგი მანუჩარის ძე დგებუაძე“
 (110r).

21. „1898-სა წ. 20 ივნის ჩავიკითხე მე, თავადი ტარიელ დგე-
 ბუაძემ ამირან დარეჯანის ძე და მომეწონა. თუ ბოლომდი თუ

არ ჩაიკითხე, არ მოგეწონება კაცს. ტარიელ მანუჩარის ძე დგებუაძე“ (110r).

22. (შავე ფანქრით) „ველაგია თავედგირიძე“ :
(დურჯი მეღნით) „ვალერიანე დგებუაძე“ (110v).

23. „გულის წამალი შელოცვა. –
ამ ქუჩურ, ქუჩურ გამი.
სოსარ ხამი სოფლისა მოხთა,
გული არგო ძროხას, ელი-
ელე ვერდი, გელი გელევერდი,
გელიას კარი გაუღე, უფუ გელისთ
ელისა, გელისა, უფს კარი გაუღე,
უფუ გელისა.
ხორო ატამის ფოთოლი,
წითელი ტყეშალის ფოთოლი-
ხოჯის თოლი, კამის ძირი, ანუ ფოთოლი.
წამალი“ (110v).

24. „მისართმევედ იმპერატრიცისა ჟურნალში დააწერინა. მთავარმან მეგრელიისმან ნიკოლოზ დაეითის ძემ [და]დიანმან თარგმ[ნ]ა (!) ესე ვარამანიანი ქართულისაგან რუსულად 1860 წელსა 13-ს მარტს. სანკტპეტერბურგს.

ა ... ა. ხ. გ. ია სახელი თარგმანების თანა შემწირა“ (135r).

25. „დესპინე დგებუაძე, გიორგი დგებუაძე დე-
სპინე დგებუაძე“ (135r).

26. [გამოცანა]. – (შავე ფანქრით)

„ჯერ მიწას მიაბარებენ,

მერე მრავლად მოიდებენ,

მდიდარი და დარიბები მისთვის ფულსა აიდებენ,

გლახაკი და მეფეები ტუჩ-ბაგესა მიადებენ,

და შრომით ნაშრომს, ფულით ნახყიდს მადლა პაერს...“
(135v).

27. [გამოცანა]. –

„ის რა არის, თავშიშველი და სხვა ტანი ფანჩიერი,

ცხოველია სხვა ქვეყნისა, მკერდიცა აქვს განიერი,

რომ ვაქოთ, არ არის ხობობსავით მშვენიერი,

და ვინცა ამას არ ახსნის, ის არ არის გონიერი“ (135v).

28. [გამოცანა]. –

„დიდი რუსთა სახელმწიფო ამაზედ მოიფინების–,

რომ ახწონო და აფასო, ათ რუბად დაეფასების,

ხან ხელში მიაქვს, ხან უბეში, სადაცა გამახსენდების,

უფრო ჩემს თავს ეკუთნის, მე თუკი დამეჯერების“ (135v).

29. [გამოცანა]. –

„ერთი რამე საკვირველი მარგალიტით შეფქვეული,

ხხირად რაზმი დაწუბილი, სანახავად ბევრეული,

თმა სუბრული, ამრის ფერი, ზოგან თეთრი ფერეული,

სახამთრიოდ მოკაზმული, ტანსამოსში შესვეული“ (135v).

30. [გამოცანა]. –

„ერთი საწყალი ბებერი ზის შაოსანი, ბნელია,

ზურგითა არონებენ, ფეხითა ვერ წამდგმელია,

ათას თუმნისას ჩაყლაპავს, ვითა მგონია დევია,

და მახაცა აღებინებენ, დარჩები ცარიელია“ (135v).

31. [გამოცანა]. –

„ერთი რამ უცხო ნაზარდი, შორს წაიყვანა ძიძამან,

იქ დახვთა ნათესავეები, მაგრამ ვერ იცნო ბიძამან,

არცა აწყინა სიცივემ, არცა სიცხემ მზისამან,

და რომელ გადარჩეს, იხაროს ნაყოფთა მამულისამან“ (135v).

32. [გამოცანა]. –

- „ვედივარ შვაში,
 არ მაქ გვარი,
 ჩამცქერის ყველა თვალში,
 ჭრის და არ აკაკუნებს“ (136r).
 გამოცანის გვერდზე წერია: „ცეცხლი“.
33. [გამოცანა]. –
 „მადლიდამ[ა] ჩამოვიდა კაბა-კუბა ჭრელოსანი,
 ყველამ იმას დაედევნა ქვევითი და ცხენოსანი“ (136r).
34. [გამოცანა]. – „თავდაღმა ხავე, პირაღმა ცარიელი“ (136r).
35. [გამოცანა]. –
 „დედასა შვილი წავართვი, სხეასა მივა გარეულასა,
 შევკარი, შევაკაჭკაჭე, თავი შეუკარ სხეულსა“ (136r).
36. [გამოცანა]. –
 „ხახლი თეთრი, უსადირკვლო, მდიდართაგან მიღებული,
 ხან გახსნილი, ხან შეკრული, ხან მგზავრული, ხან დებუ-
 ლი,
 ხუთღიერი-უსუთლოსგან ვერავისგან აგდებული,
 ტასმდი მოდა ხანადირო, საჩაღუქოთ წოდებული“ (136r).
 გამოცანას თავზე აწერია: „პალატა“.
37. [გამოცანა]. –
 „ორი რამ არის შავ-თეთრი, თითოთ რომ გაყო, ოთხია,
 რა გაიშლეს, გაწეთეს, ოთხავე რაც რომ კუთხეა,
 გრვალი არის და სოველი,
 მოუშრობელი მწუთხეა“ (136r).
 გამოცანას მიწერილი აქვს: „თვალი“.
38. [გამოცანა]. –
 „ერთი რამე ახოვანი ზამთრის შუქსა გავეიტკბილებს,
 ხანახვეროდ გაგაწითლებს, ხანახვეროდ გაგაგრილებს“
 (136r).
39. [გამოცანა]. –
 „ორი რამ არის სხედასხვა ფერი, დაბადებიდან ჯდებიან,
 აილაშქერიან, დაილაშქერიან, ერთმანეთს მიუხდებიან,
 ამ წამს დახოცვენ ერთმანეთს, ამ წამსვე გაცოცხლდებიან“
 (136v).
 „გამოცანა“ შავი ფანქრით არის მიწერილი.
40. [გამოცანა]. –
 „ორისაგან თორმეტი, ოთხისაგან ოცდაოთხი,
 ნახევარი რკინა არის, ნახევარი რქა და ხორცი,
 ორი ბმული შით მოზვერი,
 ძნელად მოსაბრუნებელი“ (136v).
 გამოცანას მიწერილი აქვს: „ცხენის ფეხები“.
41. [გამოცანა]. –
 „ერთს დედას უანგარიშო შვილი ყავს, ზოგი დიდი და
 ზოგი პატარა, მოხდგება და ყველას შესჭამს, ნეტა იმის
 კბილებს“ (136v).
 გამოცანას მიწერილი აქვს „მიწა“.
42. [გამოცანა]. – „ორჯელ შობილი ერთხელ კტება“ (136v).
 გამოცანას მიწერილი აქვს „ქათამი“.
43. [გამოცანა]. –
 „შავი არის შაშვივითა, კმენა იცის ძაღლივითა,
 პატრონს სიზმრით ათამაშებს, ქამაჩა და სტვირივითა“ (136v).
 გამოცანის ახსნაა: „პწყილი“.
44. [გამოცანა]. –
 „თესლი რამე მიხართავი, ვაჭართაგან მონახეიდი,
 ხან გემით და ხან კურტანით და ხან ზურგზედ ანაკიდი“
 (136v).

45. „ეს წიგნი ეკუთვნის გიორგი დგებუაძეს“ (136v).

46. „...ოეთეს დიდროვანი კაკალი იცის, თავვი ამდენს ეცთება, [ჭამით გახვრეტს] და შეძვრება შიგ, ძალიან გახუჭდება, რომ ვეღარ გამოეტყუა, ამდენს ხანს დარჩება, როგორც შევიდა, ისევე დახდეს“ (139v).

47. „...ერთი ღვთის მოშიში ბერი იყო და როდესაც ჭამას ... ნახუფრალს გამოიტანდა და გადაყრიდა. ერთი კარგი მწვეარი ... შეჩვია და ამ ნახუფრზედ იდროის და მოვიდის ... მატა დაეაჩუვე და დავიჭერ და ამის ტყავს ქათიბ...“ (139v).

48. „რა დამიბრუნებს წარსულს დროს, წარსულსა ნეტარებასა, ჩემნი ყვაილნი დამჭნარა, ნეტა რა მომცემს შევბასა, ვინ მიერდგულეს ობოლსა, მომაქცევს ყურადღებასა, და თუ[რ]მე მხოლოდ სიკეტელი მიქადის მკურნალებასა“

49. ის კრიპტოგრამა (72r).

უმნიშვნელი მინაწერები: 1r-v, 3r, 9v, 19v, 22v-23r, 52v, 68v-69r, 72r-v, 109r-110v; 130v; 135r-136v, ქვედა ყდის r.

75

(გსიემ 4587)

[გიორგი] დვანაძე. საბრალო ნინა. XIX

16 ფ.; 18X11; ქაღალდი, გაყვითლებული, დალაქავებული; თავი-სივე ქაღალდის ყდა, ყუა შეკერილია ზიგზაგურად, თეთრი ძაფით; ქვედა ყდას მოხეული აქვს ქვედა ნახევარი, ზედა ყდის r-v-ზე დახატულია ფარშეანგი; მხედრული: [XIX ს]; აქვს დამლა.

„საბრალო ნინა. თქმული დვანაძისაგან. — ამ დროს ბედმა კრულმა მე პატიმრობას მაწვია. პირველსა მიმცა შავსა დღეში. იმ დროს არავისაგან არა მქონდა ცნობა. ამ სევდა-საპყრობილეში ვიყავი მწარედ დაღონებული...“ 1r-ქვედა ყდის v.

წყდება: საყვარელო და სატრფიალოს მალაღს პატიოსნებას“ ქვედა ყდის v.

უმნიშვნელი: 1. „საბრალო ნინა“. ვალექსილი გ. დვანაძის-გან, დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S 1120 ხელნაწერში — გ. დვანაძის ლექსთა კრებულში (104r-110v). ჩვენს ხელნაწერში დაცული ტექსტი ამ თხზულებისა კვავს ბწკარედს.

2. ხელნაწერს აქვს ახლად გაკეთებული პავინაცია.

76

(გსიემ 5987)

მიხითარ სევასტიელი. რიტორიკა. XIX

64 ფ., 18,3X11,3; ქაღალდი, ღურჯი, ბაცი და მუქი ფერის, დალაქავებული; უყდო; მორღეული აქვს 1-8 ფ.; მხედრული, სა-თაურები და დასაწყისი ასოები მთავრულით; [XIX ს.], აქვს ჭვირნიშანი; გადამწერი იესე [გარსევანიშვილი] (2r), დაუწერელია: 60r, 61v, 62r, 63r.

<მიხითარ სევასტიელი>. — „თვს ჭველოვნებისა სარი-ტოროდსა (ესე იგი სამჭვერ-მეთქუძსა). წიგნი ა. თვს საზღურისა

სამჭერ-მეთქვოზა და წუაღებისა ნაწილთა მისთასა. თავი ა. — მჭევრმეთქვეობა, რომელიცა ითქმის რიტორებად, არს ხელოვნება საკეთილ-მეთქვო, ითქმის ხელოვნებად, რომლითა ეზიარების სხუათა ყოველთა ხელოვნებათა...“ 5რ-57რ.

შენიშვნები: 1. უძღვის: ა. თავფურცელი: „მიხითარ ყოვლად ბრძნისა მოძღურისა სომეხთასა სეკესტიელისა ქმნილი წიგნი რიტორიკა, სარგებელად ყრმათა სხოლის შინათა ქართულსა ჳმასა ზედა გარდამოდებით შრომილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ქართულსოისა დაეითიან-ბაგარტოვანისა, დროსა უკეთილმსახურისისა ყოვლად უბრწყინუაღესისა და უმაღლესისა მეფისა ირაკლის ყოვლისა საქართულსოისასა, მამთმთავრობასა ანტონისასა. წელსა დასაბამითგან სოფლისა 7272, ჳორციელად შობითგან ღ-ისა 1764. თთუსსა მეშვიდესა, რიცხუსა 10.

ბ. „წინა-სიტყუაობა, ეპისტოლე, მიწერილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა საქართულსოისა, დაეითიან-ბაგარტოვანისა ირაკლის მიმართ მეორისა, ძმისა თვისისა, მეფისა ყოვლისა საქართულსოისა, დაეითიან ბაგარტოვანისა“ (2ვ-5რ). ეპისტოლე გამოქვეყნებულია. იხ. მ. ქავთარია XVIII საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, 1977, გვ. 108-111. ჩვენი ხელნაწერი გამოცემაში გამოყენებული არ არის.

2. ერთვის: „პინაქს-სიტყუაობა ხარიტოროისა ჳელოვნებისა (ესე იგი სამჭევრ-მეთქოზისა)“ (58რ-59რ).

3. ამ ძეგლის თარგმანის შესახებ იხ. კ. ქეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 382.

4. ხელნაწერს აქვს პავინაცია.

ანდერძი: „მარტის ექუს ვიწყე და აღვასრულე სწავლით და წერით მაიხის ოცდამოთხესა რიცხუსა თვისასა. იესე“ (2რ).

მინაწერები: 1. (ნუსხურით): „შენდამი იხარებს, მიმადლებულო, ყოველი დაბადებული, ანგელოსთა კრებული და კაცთა ნათესავი, ტაძარო უწმინდესო, სამოთხეო პირმეტყულო, ქაღწულები-სა სიქადლო, რომლისაგან სიტყუა განჳორციელდა და ყრმა უწინარეს საუკუნეთა, ღმერთი ჩუწნი, რომელმან საშო შენი საყდრად გამოაჩინა და მუცელი შენი ცათა უერცვლეს ყყო, შენდამი იხარებს, მიმადლებულო, ყოველი დაბადებული, დიდება შენდა“ (1რ).

2. (გადამწერის ხელით, ჩართულად) „იესე, იესე, იესე“ (1ვ, 5რ, 59რ).

3. (ნუსხურით) „ყოველი გონება ანგელოსთა განაკვირვა დიდმან განკაცებისა შენისა. ცხოვნება რა სოფლისა ენება ყოველთა შემოქმედმან. ამისადმი სრულებით მოიწია და რომელ...“ (61).

4. (ნუსხურით) „სასძლოსა შენსა ვახედავ, მაცხოვარ, შემოგბილსა, სამკაული არა მაქუს, რათა შევიდე, განვაბრწყინვო ღამპარი სკლისა ჩემისა, ღმერთო ჩემო, და მდევროენე მე, მე...“ (61რ).

5. (ნუსხურით) „მტერთულმან გამოუთქმელმან უბრწელები-სამან სიტყუასა ჳამბადებელსა ავასსა ბუნება, მოვედ უბიწო, ქაღწულო ღ-ის მშობელო, შენგან შობილსა თანა გუასწავენ მორწმუნეთა, რათა დირს ვიქმნეთ ჩუწნ დიდებად შენდა“ (62ვ).

6. (ნუსხურით) „ზეციით გამოჩინებულისა ქრისტეს მეუფისა მსხურობლის შემწირულ ვარსკულაყო, ყოვლად ბრწყინაღეგო და განმანათლებელო კესარია — კაპბადუკიის ქალაქისაო, დიდო მღუღელ-მთავარო ეასილა, ჩუწნ ყოველნი პატივს გცემთ, მეოხ-გუსწავე ჩუწნ“ (63ვ).

7. „სხვებრ დასანიშნეღად ამათ მღვიმეთასა იპოების კვადად

ერთი ფრიად საკვირვო მახმედის გამონათქმი: „განმმარტებელი აღყურანისანი იტყვიან, ვითარმედ ღმერთმან მოავლინა ქვეყანასა ზედა აროტა და მაროტაჲ განსაკითხველად კაცთა. მოქადულნი ესე ანგელოხნი აღსრულებისა წილ თვისისა თანამდებობისა იღუწიდიან სასიყუარულოთა საქმეთა შინა ერთისა ასსირიელისა მდედრისა თანა, რომელიცა იყო ქმროსან. და არა სხვებრ ეთანხმა აღსრულებად სურვილისა მათისა, თვინიერ ესე ვითართა შეთქმითა, რათამცა მისცენ მათ სამღუდელო მათი თილისმად, საშუალობითა რომლისათაცა კვლეწიფების ზეცად აღსლვად, ოდესცა სათნო უნდეს მათ. აროტა და მაროტა აღასრულეს თხოვილი დედაკაცისა ამისა. მაგრა ძვილდა ოდენ მიიღო კვლთა თვისთა საიდუმლოჲ ესე, ვითარ მოიაზრა ზეცად აღსლვაჲ. რაიცა მიეხების ანგელოხთა, განეხუნენ ივინი ფრთეთა თვისთა შემძლებლობასა, ხოლო ღმერთმან სარისხვებლად მათდა გარდამავლობისათვის დასაჯნა ივინი მოკიდებულ ყოფად წამწმებითა მღვიმეთა შინა ბაალის ტაძრისათა, ეიდრე დღემდე უკანასკნელისა სახჯელისა.

აჲ, სჯული უმცერისა უსწავლელისა და სულელისა მახმედ ბილწისა“ (64v).

მინაწერები იხ. 59v, 60v, 63v, 64r-v.

77

 (გსიემ 6034/13)
 კრებული. XIX

40 ფ.: 17X11; ქაღალდი, გაყვითლებული, დაღაქავებული; უფო; მხედრული; დასაწყისი ასოები მთავრულით; ბოლოსამკაული 20v; [XIX ს.]; აქვს ჭვირნიშანი; დაუწერელია: 1r-v, 37r-40r.

1. „აკათისტო ანუ დაუჯდომელი წმიდისა ქალწულ-მოწამისა ბარბარასი. უკუთუ არს მღვდელი, იწყებს ესრეთ. – კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი ყოვლადგე აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე და ჩუენ ვიტყვი: ამინ. ხოლო უკუთუ არა არს, ჰსთქვი: მეოხებათათჳს ყოვლად წმიდისა დიდისა შენისათა...“ 2r-20v.

2. „ლოცუა წმიდისა დიდისა მოწამისა ბარბარას მიმართ. – ვითარცა ჭეშმარიტისა და მრავალ მოწაელისა მსწრაფლ სიმრთელისა და მრავალსაკვირველისა კურნებათა წყაროსა მიმართ, შენდამი მოვილტვი მე უძღური ესე...“ 21r-22v.

3. „ცხოვრება და წამება წმიდისა დიდისა ქალწულ-მოწამისა ბარბარასი, აღწერილი წმიდისაგან იოანე დამასკელისა და მეტაფრასტის მიერ და სათვეოსაგან ნეტარისა მოსკოვის მიტროპოლიტისა მაკარისა და სხუათაგან. – შეფობასა მაქსიმოიანე უღმრთოსა მეფისასა რომეს შინა იყო კაცი ვინმე კეთილშობილი აღმოსავლეთად, მდიდარი და დიდებული, სახელით დიოსკორე...“ 23r-36v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერში მოთავესებული სამივე თხზულება თარგმნილია გიორგი ავალიშვილის მიერ. იხ. ლ. კიკნაძე, გიორგი ავალიშვილის თარგმანები, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1987, № 4, გვ. 25-45.

2. ხელნაწერს აქვს ანბანური პავინაცია.

უმნიშვნელო მინაწერი 40v.

78

(გსიემ 4591)
თურქეთი. XIX

7 ფ.: 22X17; ქაღალდი, ღურჯი, დალაქავებული; უფლო, დაშლილი, დაზიანებული. მოცვეთილი აქვს მარცხენა ყუა; მხედრული, სათაური და დახაწვისი ასოები მთავრულით: [XIX ს.]; აქვს ჭვირნიშანი; დაუწერელია 7r-v.

„თურქეთი. — [თურქეთის სამფლობელონი არა ერთსა შინა ევროპასა იპყრობვიან, არამედ ... დსა ნაწილსა აზიისა და აფრიკისასა. ევროპული თურქეთი იპყრობს...“ 1r-6r

შენიშვნა: ხელნაწერში წარმოდგენილია თხზულების I ნაწილი; დახასრულში წერია: „დახასრული პირველისა ნაწილისა“ (6r).

შინაწერი (გადამწერის):

„საკადრ-თანადო კვლეუა ნათარგმანების, სამეშაჯურ კმსო, საწამღუწლოითთამებრ, ეს ხახედ ევო ქუმდებარ იობრებრივ, ნემებურ ერთგულ, მისართმ არ საცონვა“ (6v).

79

(გსიემ 4592)
კრებული. XIX

20 ფ.: 22X17,5; ქაღალდი, ღურჯი, დალაქავებული, უფლო, დაშლილი, დაზიანებული, მოცვეთილი, აქვს მარჯვენა კიდე; ნაკლული; მხედრული, ორი ხელი; 1r-ზე სათაურის პირველი სიტყვა მთავრულით, დახაწვისი ასოები მთავრულით, [XIX ს.]; აქვს ჭვირნიშანი; დაუწერელია 20r-v.

1. [მ ც ი რ ე ს ჯ უ ლ ი ს კ ა ნ ო ნ ი]. — „წესი და განგება და სჯულის-კანონი მეექუსისა კრებისა. — ასსამოცდარუათა წმიდათა მამათა, რომელნი შეპკრბეს კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე კ ო ლ ა დ, ახალსა პრომსა, კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ლ-ის მსახურისა მეფისა ზე, ძისა ძისწულისა კერეკლე მეფისა...“ 1r-5r.

თავდება: „თავნი ჰსჯულის-კანონისანი“ (გ) „...და ყოვლისა სახსარსა და განმაცხოვლებელსა დიდებულსა მსხუტრპლსა, ამის უკუშ ჯერი-ხათვის ესრეთ განვაწესებთ“ 6v.

შენიშვნა: ძველი ქართულად თარგმნა ექვთიმე ათონელ-მა. იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 211, გამოსცა ელგუჯა გიუნაშვილმა. იხ. სჯულის-კანონი, 1972.

2. [ს ა ს უ ლ ი ე რ ო ტ ე რ მ ი ხ თ ა ვ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა]. — „...აქუს ცხებუ-ლისა; ესე იგი არს მესია, ხოლო ბერძულად ქრისტე არს, ნა[ცვლად ცხებულისა; ვინაჲცა ცხად არს, ვითარმედ პატივისათეს ბერძენ[ს]თასა ვიტყვო ქრისტესა, ხოლო დავითთა შინა ცხებულსა ვიტყვო...“ 7r-15v.

3. [დ ო ვ მ ა ტ უ რ ი ხ ა ს ი ა თ ი ს კ ი თ ხ ვ ა - მ ი გ ე ბ ა]. — „...[იტან]ჯებიან, უგუნურმან იხილის და გონიერ იქმნის და

წინააწარმეტყველი ... იტყვს, დაინთქნენ მახლობელად კლდისა მსა-
 ჯუღისი მათისი..." 16r-19v.

წყდება: "...იერ მიშუებისა ღმრთისა ვერ ხელეწიფებოდა ვნებად
 ...ლო რომელი მიშუება, საცხოვართა და მონავებთა ზედა მისთა..." 19v.

შენიშვნა: ხელნაწერს აქონია ანბასური რვეულებრივი ხათვალავი.

80

(გსიემ 4593)

დავით ბატონიშვილი.

განმარტება აღსარებისა (სიმვოლო). 1800

8 ფ.: 22,5X15: ქალაღი, ღურჯი, გაჭუჭკიანებული; დალაქავე-
 ბული; უყდო; ნაკლული; დაშლილი, დაზიანებული; მოცვეთილი
 აქვს მარცხენა კიდე თითქმის, შუაგულამდე; მხედრული, სათაუ-
 რები და დასაწყისი ასოები მთავრულით: 1800 წ. (1r) აქვს ჭვირნი-
 შანი.

„დავითის მიერ დავითიან-პანკრატოვანისა საქართუშლოს
 მეფის ... გიორგის პირმშო-ძისა ჭელმწი ... სიმვოლო.— ღექსი ესე
 ზემოსხეხებული, რომელი სიმვოლო არ .. ღექსი, არამედ ბერძნულ და
 ესე ნიშნავს ჩუენსა ვიდრემე კმასა ზედა აღსარებასა სარწმუნოებისასა,
 ვინა მრწამსსა..." 1v-8v.

შენიშვნა: უძღვის: „წინასიტყვაობა“... „ჯერ იყო ჩუენდა კეთილ
 მსახურთა პირთათეს, რომელნიცა ... ართ, ბეჭდითა წმიდისა
 ნათლისღებისათა, რათა ვიცოდე“ (1r).

ანდერძი: „ხრულ იქმნა ჩუ, იანკარს თუშსა იშ“ (1r).

მინაწერი (შავი ფანქრით): „1800 წ.“ (1r).

უშნიშვნელო მინაწერი (1r).

81

(გსიემ 4594)

ცოდვათა აღსარება. XVIII-XIX

9 ფ.: 19,7X14,5: ქალაღი, გაყვითლებული, დალაქავებული; უყდო;
 შეკერილი თეთრი ძაფით; ნაკლული, დაზიანებული, მოცვეთილი,
 აქვს მარჯვენა კიდევები; მხედრული, სათაურები და დასაწყისი
 ასოები მთავრულით და ხინგურით [XVIII-XIX ს.], აქვს ჭვირნიშანი.

„თავი I. სარწმუნოებისა ნაყოფთა კეთილთა საქმეთა წინააღმ-
 დგომთა ცოდვათა აღსარება. — წინა აღდგომა ჭეშმარიტისა კეთილ-
 მსახურისა, აღმოსავალისა ეკლესიისა სარწმუნოებისა, რომლითაცა
 ვუართა იჭვი ზემოთქმულისა მის სარწმუნოებისა მიმართ...“ 1r-9v.

თავდება: „...რომელ კმნილ არს მრავალჯერ ესე ერთა თანა აღრევა,
 რომელიცა მხოლოდ მონაწულსა მის თანა აქს აღსარებად და არა
 სხუათა თქმად ცოდვსა მის“ 9v.

შენიშვნა: თხზულება შედგება 7 თავისაგან.

82

(გ ს ი ე მ 4595)

გვირგვინი. XVIII-XIX

(ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი)

8 ფ.: 21.3X13.5; ქალაღდი; გაყვითლებული, დალაქავებული; უყდო; შეკერილია თეთრი ძაფით; ნაკლები; დაზიანებული; შემოცვეთილი აქვს მარჯვენა კიდე; მხედრული, სათაურები და დასაწყისი ასოები მთავრულით, ზოგი სათაური წითელი მკლნით; [XVIII-XIX ს.]; აქვს ჭვირნიშანი.

„ღმრთივე შუშნიერნი თხრობანი, სულისა ფრიად სარგებელნი, რომელსა ეწოდების გვირგვინი. თავი მეხუთე. სულთა საზომით სრულთა მიცულალებულათეს. თხრობა პა. — ეპისკოპოსისათვის განშორებულისა. — მოგვითხრობ (?) ეპისკოპოსი სუხენის ქალაქისა, ვითარმედ ოდეს ვიყავ მე უდაბნოსა შინა მონაზონ, დღესა ერთსა ვინებე...“ 1r-8v.

წყდება: „ხოლო ესმა რა ესე სათნოებანი პავსიტის, სათნო უყო თავსა მთასსა და რქვა: გაკურთხენ შენ უფალმან ღმერთმან“.

შენიშვნა: კრებული „გვირგვინი“ შეადგინა გაბრიელ მცირემ (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 399-400). ძველი გამოცემულია თბილისში 1892-1895 წლებში ვასილ კარბელაშვილის მიერ.

მინაწერი: „(წმიდათა კაცთა ცხოვრება)“ (1r).

უმნიშვნელო მინაწერი 8v.

83

(გ ს ი ე მ 4599)

ახნის ანგარიში. XIX

14 ფ.: 19X13.5; ქალაღდი, გაყვითლებული, დალაქავებული; თეთრი ძაფით შეკერილი, თავისივე ქალაღდის ყდა; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 1v, 7v-14v.

„ახნის ანგარიში“ — „პირველად, როდესაც ოსმალთს მთავრობა დაწყობილა, იმ დროდამ მოკიდებული, ვიდრე ნიზამის დაწყობამდე, ეს კანონი ყოფილა: პირველ დაწყობისას რადგან კანონიერი ჯარის გამოყვანა არ ჰქონდათ კანონათ დადებული...“ 2r-6v.

შენიშვნები: 1. ყდაზე აწერია: „ახნის სარაჯკა სტამბოლიდან“ (1r).

2. სათაურის ადგილზე წერია: „ახნის ანგარიში სტამბოლში ნამდვილიდამ გარდმოვსწერე“ (2r).

მინაწერი: „ტფილისში ოსმალთს პასლანნიკისაგან შეტყობილი: 12 ახნა ერთი დღის სახნავია:“

4 ახნა ერთი ფარაა ვაჭრობაში;

12 ახნა ხახაზინოთ ნიშნავს 1 ფარას“ (6v).

უმნიშვნელო მინაწერი: 7r.

84

(გსიქმ 4623)

**სულიერი ძმობა იესო, მარიამ და
 იოსების სახელსა ზედა. XIX-XX**

200 ფ.: 29,8X21; ქაღალდი, გაყვითლებული, დალაქავებული; ვაეისფერი ტეიფრული ტყავით გადაკრული მუყაოს ყდა. კიდებ-შემოცვეთილი: 28-77 ფურცლების მარჯვენა კიდები დაჩხვლვტილია; ფ. 79 გახეულია; მხედრული, სათაურები და ტექსტის ნაწილი წითელი მელნით, ხელნაწერის ბოლოში ტექსტისათვის ზოგან გამოყენებულია ქიმიური მელანიც. 8r-69v ტექსტი ჩახშულია წითელ ჩარჩოში; 28r-69v-ზე მთლიან ჩარჩოში ჩახაზულია უფრო პატარა კვადრატული ჩარჩოები ტექსტის ჩახაწერად; 78r-177v დაყოფილია სვეტებად სამ-სამი ვერტიკალური შავი ხაზებით; ფურცლების ჩამონატკერი მოვარაყებულია და ზედ ამოტეიფრულია ყვაილები: ფერადებით შესრულებული თავსამკაული: 8r: მხატვრული სახედო ახოები: 10r-v, 11v, 12v, 14r, 15r-v, 17r-v, 18v, 19v, 20v; 85 ფ-ის კიდვზე მიკრულია ხანიშნო შავი ხავერდის ნაკერი. [XIX-XX ს.]: აქვს ჭვირნიშანი, დაუწერელია: 1v-7v, 26r-28v, 44v-63v, 87v-128v, 129r, 139v-176v.

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. სულიერი ძმობა იესო, მარიამ და იოსების სახელსა ზედა. თქვენ ყოველნი ძმანი ხართ. მათესი, თავი კვ. - შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულისთა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა, ეს არს დიდი და პირველი...“ 8-138v.

შენიშვნები: 1. „სულიერი ძმობა“ ... შედგება ორი ნაწილისაგან: ა. პირველი ნაწილი წარმოადგენს ძმობის საწესდებო ნაწარმოებს (8r-25v). შეიცავს თავებს: „წესი ძმობისა, რომელი განწესდა საქართველოსა შინა“ (20r-v); „რომლისა მიხეზისათვის განწესდა ძმობა ესე“ (10v-11r);

„რა წესი საჭირო არს მათთვის, რომელთა შესვლა ძნებავთ ძმობასა შინა“ (11v-12r);

„რა ვალი აქვთ ძმების უფროსსა და კანდედაქსა“ (12r-14r);

„ვალი ძმათა და დათა, რომელნი შთაწერილ არიან ძმობასა ამას შინა“ (14r-15r);

„რა წესით ჯერ არს თქმა ღოცვა სავარდისა“ (15r-v);

„რა არის სავარდი“ (15v-17r);

„ვითარ ჯერ არს დამზადება სავარდის ღოცვისათვის“ (17r-v);

„რომელთა დღეთა შინა ძმათა თანა აქვთ სახარება და ზიარება“ (17v-18r);

„ვითარ მართებსთ ძმათა მიხლვა და ნახვა, რაჟამს ძმათაგანი ვინმე უძღურ და სხეულ იყოს და ოდეს მოკუდეს, რა ვალი მართებს გარდახდად“ (18r-19r); „განსაწმენდელსა შინა მყოფნი ძმანი რას არიებენ ცოცხალთა ძმათა და ძმათა რა ვალი აქუსთ მათი“ (19r-20v); „რა მადლსა და შენდობას მიიღებენ ძმანი ძმობისა ამისაგან“ (20r-25v);

ბ. მეორე ნაწილში ჩამოწერილია „ძმობაში“ გაერთიანებულ პირთა სახელები, როგორც ცოცხლების, ასევე გარდაცვალებულებსა.

2. „ძმობის“ წვერთა აღრიცხვა იწყება XVIII საუკუნიდან და სრულდება 1936 წლით.

3. ფ. 29-77v. შეიცავს „ძმობის“ წვერთა აღრიცხვას 1830 წლამ-

დე. 78r-დან მათი სია ხელახლა შეორდება და ივსება ახალი წვერებით 1936 წლამდე.

4. 87-128, 139-176 ფურცლების ყოველ v-ზე, გვერდის დასაწყისში, დაწერილია ერთი და იგივე ტექსტი: „დაეწერნენ ყოვლად წმიდისა ხაყარდის ძმობასა შინა იესო, მარიამ და იოსების ხაფარველს ქვეშე“. შემდეგ დატოვებულია ცარიელი ადგილი „ძმობის“ წვერთა სიისათვის.

5. „ძმობა“ კათოლიკური აღმსარებლობისაა.

6. ხელნაწერის ბოლო ფურცელი (179r-v) გამოყენებულია იმ პირთა მოხსენიებისათვის, რომელთაც ფული შესწირეს ეკლესიას და ამით დაიდეს აღაპები, რადგან წერა დაუწყიათ ხელნაწერის ბოლოდან, ამიტომ ხელნაწერის სწორად დაკერისას ბოლო ფურცელი შებრუნებულიად არის ნაწერი.

7. ხელნაწერს აქვს პავინაცია. 8-25 ფურცლებს, რომელზეც მოთავსებულია ძმობის „წესდება“, აქვს ანბანური პავინაცია.

მინაწერები: 1. „1890 წელს, ოქტობერს 28, ხალამოს საათის 9-სა და 53 წუთზედ, იყო საშინელი მიწის ძვრა: თანვე ისმოდა საშინელი გრიალი: ძვრა იყო აღმოსავლეთიდან დახაელეთისაკენ, ორი სიმუტი გასწია მიწის ძვრამ“.

„1920 წელსა, თებერვლის 20-სა, იყო ქ. გორში ძლიერი მიწისძვრა, რომელმაც მთელი ქალაქი გაანადგურა. კათოლიკე ეკლესია ძალზე დაზიანდა, თადები შეინძრა, მარჯვენა კედელი გადაიწია და გუმბათი გარეშემო დასკდა“.

„1921 წელს თებერვალს შემოვიდნენ ქ. გორში ბოლშევიკ-კომუნისტები რუსეთის ფარის შემწეობით და განსდევნეს მენშევიკური მთავრობა“.

„1923 წელს, აპრილის 4, გორის მეტიხარა კომსოპოლისტებმა მთავრობის სახელით (ვინადგან მთავარი მილიციის კომისარმა მიშა მურადოემა ფეჩატი დაარტყა ეკლესიას) იძულებით დაკეტეს გორის კათოლიკეთა ეკლესია, თვინიერ კათოლიკე მრევლის სურვილისა“.

„1924 წელს, 13 აპრილს, გაიხსნა გორის კათოლიკეთა ეკლესია და პირველად იწირა ბზობა დღეს, დიდძალნი ხალხის თანდასწრებით“.

1924 წელს, თებერვალს, დაიწყო მიწისძვრისაგან დაზარალებული გორის კათოლიკე ეკლესიის შეკეთება. შეკეთება მოხდა წყალობით: ა. გორის ადგილობრივი ხელისუფლებისა, რომელნიც იმ თუაობით გვიშვებდა ეკლესიაში, თუ რომ შევაკეთებდით მას; ბ. თბილისის კათოლიკე ეპისკოპოსისა უფ. აღ. სმეცისა, (?) რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია ფულითა, რომის სახელით; გ. კავკასიის კათოლიკეებისა, რომელნიც აგრეთვე შემოწირულებით დაგვეხმარნენ; დ. გორის კათოლიკეებისა, რომელნიც უსახყიდლოთ მუშაობდნენ.

შეკეთება დაჯდა სულ 500 მანეთი ჩერვონცი.

პ. კ. ჩაფარაშვილი (1r).

2. (შავი ფანქრით) „იწყება: I. 1701, II. 1755 გაუქმდა. 1780 განახლება“ (25v).

3. (შავი ფანქრით) „1701“ (29r).

4. (შავი ფანქრით) „1780, იხილე ფურცელი 5, პწკარი 20“ (30v)

უმნიშვნელო მინაწერები: ზედა ყდის v და ქვედა ყდის r.

85

(გსემ 4646)

გორის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის აღაპებისა და ხარჯის დავთარი. XVIII

42 ფ.: 42X16.5: ქაღალდი. ღურჯი ფერის: გახუნებული, დალაქავებული: ყაფისფერი ტვიფრული ტყავის ყდა: ამოცვენილია ფურცლები 11, 12.: ფ. 11 შუაზეა გახეული: მხედრული: ბოლოსაკაული (2v) [XVIII ს.]: ჭვირნიშანი 1790 წ. დაუწერელია: 1r-v, 3v-10v, 17r, 19r, 20v, 21v, 26v, 28r-29r, 30v-33r, 34r, 35v-42v.

„გორის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის აღაპებისა და ხარჯის დავთარი — ქ. მოიხსენიოს უფალმან მართალ მეფესთან.

ქ. მეფე ერეკლე, რომ შესწირა ყოვლად წმიდის ეკლესიას ასაშენებლად თხუთმეტი თუმანი.

ქ. მოიხსენიოს უფალმან აღექსანდრე ბატონიშვილი, რომ შესწირა ეკლესიას ასაშენებლად ხუთი თუმანი...“ 2v, 24v, 25r-v, 33v, 35r.

შენიშვნები: 1. შემდეგ აღაპები დადებულია ქ. გორისა და მისი რაიონის მცხოვრებთა სახელებზე.

2. შეიცავს: ა. „ღვთით ეკლესიის საწირავი და განძავი განწესდა იანვარის ა. ქ.ს უპ. — ქ. ამ წლის ეკლესიის შემოსავალი გახდა ანგარიშით ჯამი ოცდასამი თუმანი და რვა აბაზი...“ (26r), ბ. „ღვთით ეკლესიას ჰელი მიეყო. — ქ. ქ.ს უოა. ამ წელს დაიხარჯა საყდრის ქცევაზედ და საძირკვლის გათხრაზედ და საკორეზედ დ. ჯამი თხუთმეტი თუმანი, თოთხმეტი აბაზი და ერთი შაური...“ (27r-v), გ. (24v). „ქ. ღვთით ქ.ს უპე თებერვლის კხ ანგარიში ენახეთ ყოვლად წმიდის ეკლესიის აშენებისა, ან რაც დახარჯული იყო, ან რაც შემოსულიყო, მუშაზე რაც დახარჯულიყო, ამის ბოლოს დაიწერება. — ქ. მოხუცებული დეკანოზი ტერსაკას დროს საყდრის შემოსავალი...“ (29v-30r). დ. [პირობის წიგნი]. — „ქ. მე. უფლის ციხელმა შაკერდას შვილმა თინათინის შვილმა ბეჟანამ ჩემი სამკვიდრო თორმეტი თუმანი მქონდა...“ 34v.

3. უძღვის: „წელსა უფლისასა 1781 და ქართულსა ქნორიონსა უოა. — ქ. მეფობასა ქრისტესაგან განძლიერებულისა მეორისა ერეკლისასა და ყოველსა სახომხეთის პატრიარხის ღუკასისასა და ახმატის წინამძღვარი დავით ვართაპეტისა ჩვენ ქართლისა და იმერეთის გორაკალმა და ამ ეკლესიის დეკანოზმა საკანთ იოსეფას შვილმა ტერსაკამ შეწვენითა ღმრთისათა და მეოხებითა ღმრთის მშობლის ქალწულის მარიამისათა მოვიწყე ეკლესიის აღშენება, რომ სახელი ეწოდება ამ ეკლესიას მღთის მშობლის მიძინებისა, დავედ ეს გუჯარი, რომელნიც ქრისტეს აღმსარებელნი ამ ეკლესიის აღშენებას შეწვიენენ და მოწყადება სულიერი ნამყოფი გამოსცეს აღსაშენებლათ ამისათა მოხასხენებლათა სულისა და ხორცისათა. უნდა რომ ყოველსა წელსა ეკლესიასა აღმოიკითხებოდეს და ვინცავენი იმ ჟამთ სამედველონი და საეპრონი იმოფებოდეთ, დიდის ვედრებით გვედრებეთ, რომ უმანკოს გუნებით მოიხსენიებდეთ და შენდობას ბძანებდეთ თქვენ ეკლესიაში, ხორციით იხარებდეთ და თქვენის მოხსენიებით საუკუნოთ სულნი ხარობდნენ“ 2r.

4. ხელნაწერში ჩადებულია პატარა ფურცელი (6,5X16.5), რომელზეც დაწერილია ერთი აღაპი.

5. 2r-ზე მოთავსებულია ბეჭედი ღვეკენდით.
6. ხელნაწერს აქვს პაინაცია.
7. 1r-ზე XX ხაუკუნის ხელით წერია: „გორის ყოვლაწმინდის ეკლესიის შესავალ-გახაელის წიგნი. 1781 წელი. აღაპებისა და ხარჯის დაუთარი.“

86

(გსიემ 6034/II)

სახარება და სამოციქულო. XVIII-XIX

120 ფ.: 21,2X16; ქაღალდი, თეთრი და ჯურჯი, ჭუჭყიანი, დალაქავებული, თეთრი ქაღალდი გაყვითლებულია. ჭრელი ქაღალდით გადაკრული მუყაოს ყდა; გადაქექილი, ყუა ყავისფერი ტყავის; ყდას აქვს საცავი ფურცლები, ძველადვეა რესტავირებული; შიგადაშიგ ამოჭრილია დაუწერელი ფურცლები; მხედრული, სხვადასხვა ხელი: ხათაურები და დასაწყისი ასოები წითელი მელნიო [XVIII-XIX ს.] აქვს ჭვირნიშანი, დაუწერელია: 16v, 85v-120v.

„სახარება და სამოციქულო. მოსვლისა პირველსა კვირას, რომაელთა თავი 13. - ძმანო, და ესე უწოდეთ; ჩვენდა ძილისაგან აწ უმახლობელ არს ჩვენდა ცხოვრება...“ 1r-82r.

შენიშვნები: 1. ერთვის სხვა ხელით დაწერილი ნაწყვეტი. „(მესამე კვირიაქე წმიდა აღდგომისა). წიგნი დაბადებათა-ძე აღორძინებული იოსებ, ძე აღორძინებული ჩემი სახურველი...“ (85r).

2. ტექსტი წარმოადგენს საკითხავების კრებულს. დაუმთავრებელია.

მინაწერები: Авазгели Бералишвили

(ზედა ყდის საცავი ფურცლის r).

2. „მიხეიდ ყანდინოვი“ (1r).

3. (შავი ფანქრით) „1875 წელსა, პავლე სააკოვი“ (47r).

4. „პატრი ვიდელი გარდაცვალებულა ღვინობისთვის და 1782 წელსა“ (64r).

5. „ენკენისთვის იბ. კვირას დღეს, გარდაიხდება ღვთის მშობლის მარიამის ხახელის დღეობა. სახარება იძიე მარტის ოცდახუთსა“ (64v).

6. „საეარდის დღესახაულს კვირის სამოციქულო არ უნდა და ეგრეთ სიონსა შინა დაბადებიდამ სახარება“ (64v).

7. „ესე სამოციქულოს წიგნი გორის კათოლიკე ეკლესიისა არის“ (75v).

8. „1884-სა წელსა აგვისტოს 26-სა დღესა“ (75v).

უმნიშვნელო მინაწერები: 64v, 84v.

87

(გსიემ 6034/10)

მოსასწავებელნი წმიდისა წირვისანი
(კათოლიკური). XIX-XX

5 გვ.: 11,8X10; ქაღალდი, ორგვარი ხარისხის, გაყვითლებული; ყავისფერი ტეიფრული ტყავით გადაკრული მუყაოს ყდა, მას

შიგნიდან გამოკრული აქვს ჭრელი ქაღალდი: მხედრული; პრიმიტიულად შესრულებული თავსამკაულები: 12r, 18v, 19v, 29r, ბოლოსამკაული: 18r, 20v, 27v, 34r, 35r, 46r; [XIX-XX]; ხელნაწერის პირველი ნახევრის ქაღალდი ჭვირნიშნისა-1833 წ: დაუწერელია: 11v, 10v, 31v, 46v, 48r-57v.

„მოსასწავლებელი წმიდისა წირვისანი. — რაჟამს მწირველი ტრაპეზისა წინაშე მივალს, იესო ქრისტეს მისვლას მოასწავებს და სთქუ ესე: უფალო ჩემო იესო ქრისტეო! ოდეს ვნებისა შენისა ჟამი მოიწია და იწყებოდენ ზრუნვანი შენნი...“ 2r-118r.

შენიშვნა: ხელნაწერს აქვს პავინაცია.

შინაწერი: „აქ მიხეილას პატარა ყუდზე (!) რომ ხატი აკვრია, აის დაეკრას გორს“ (11v).

88

(გსიემ 6034/15)

**სწავლანი წმიდისა წირვისანი
(კათოლიკური). XIX-XX**

245 ფ.: 10,8X8; ქაღალდი, გაყვითლებული, შავტყავადაკრული მუყაოს ყდა. ყუა დატვიფრულია, ზედა და ქვედა ყდის შუაგულში ამოტვიფრულია ფვარი. ამოვარდნილია 21-33, 81 ფურცლები: მხედრული, ტექსტი ჩასმულია ჩარჩოში, შიგადაშიგ ჩაკრულია კათოლიკური საეკლესიო წიგნებიდან ამოჭრილი ილუსტრაციები (ფ. 14, 22, 24, 27, 29, 31, 33, 36, 60, 81, 150, 185, 237); სათაურებთან და თავების დასასრულებთან გვხვდება პრიმიტიულად შესრულებული თავსამკაულები და ბოლოსამკაულები: [XIX-XX]; დაუწერელია: 1r, 2v, 60r, 81v, 150r, 185v, 236v, 237r.

„სწავლანი წმინდისა წირვისანი. — რაჟამს მწირველი ტრაპეზის წინ მივა, უფლისა ჩუშნისა იესო ქრისტეს წასვლას მოასწავებს, რაჟამს მოციქულებთან წალკოტში მივიდა, ეს ღოცუა კსთქვი...“ 3r-236r.

შენიშვნები: 1. ერთვის: ა. „გალობა“ (238r-v)

ბ. „ზანდუკი ანუ საძიებელი“ (239r-240v).

2. ხელნაწერს აქვს პავინაცია.

შინაწერები (შავი ფანქრით) 1. „ქ. გორის ფრანგული ეკლესიის კათოლიკური პარტიის (!)“ (ზედა ყდის საცავი ფურცლის r);

2. „ეკლესიის კათოლიკური“ (2r).

უმნიშვნელო შინაწერები: ქვედა ყდის საცავი ფურცლის (v) და ქვედა ყდის (r).

89

(გსიემ 6034/14)

კარაბადინი. 1877

101 ფ.: 21X17; ქაღალდი, გაყვითლებული, თამბაქოს ფერი; ჭრელი

ქალაქით გადაკრული მუყაოს ყდა, გაცრეცილი; ყუა ყაეისფერი ტყავის, გაცვეთილი, მორღვეული; მხედრული; სათაურები და დასაწყისები წითელი მელნით; ხელნაწერის შუიდან ამოჭრილია ბევრი ცარიელი ფურცელი: 57v-101r გვერდებზე დაწერილია სხვა თხზულება უფრო გვიან, სხვა ხელით. ქიმიური მელნით; 1877 წ. (4r); აქვს დამლა; დაუწერელია: 1r-3v; 56v-57r, 58r, 101v.

<კარაბადინი>. — „1. კუჭის მოუნელობა ვისაც აქვს, ეს არის მისი ნიშანი: ექმნება ბოყინი შემდგომ საჭმლის მიღებისა, რწყევა, მოუსვენრობა სტომაქისა, მისი წამალი არის...“ 4r-56r.

შენიშვნები: 1. „კარაბადინის“ დასაწყის ფურცელზე სათაურის ადგილზე წითელი მელნით წერია: „1877 წელსა, ოქტომბრის 12-სა გარდიწერა ეს კარაბადინი, ექიმთაგან ნაცადია ეს კარაბადინი, ყოველივე სოლომონ ბრძენისაგან თქმულა“ (4r).

2. ხელნაწერის ცარიელ ფურცელზე (57v-101r) შემდგომში დაუწერიათ სხვა თხზულება— „განზრახვანი ღუთისმშობელი მარიამისა“ (კათოლიკური).

3. „განზრახვანი“-ს ... წერა დაწყებულია 24. X. 1929 წელს (100v) და დამთავრებულია 15. XII. 1929 წელს (58v).

4. „განზრახვანი“ შედგება 35 თხრობისაგან. მათში აღწერილია ღუთისმშობლის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდი; მოთხრობილია აგრეთვე სხვადასხვა ხალხისა თუ ოჯახის ცხოვრებაში მომხდარი სასწაულები, რომლებიც გამოწვეულია მარიამისადმი დიდი რწმენისა და კრძალვის. აგრეთვე მისი ყოვლისშემძლეობის წყალობით. თითოეული თხრობა თავდება ავტორის ხენტეცია-შეგონებებით, რომლებსაც თხზულებაში „პატივისცემა“ ეწოდება.

5. „განზრახვანს“ ბოლოში ერთვის თავთა საძიებელი (57v).

6. ხელნაწერში ვხვდებით ფრანგულ ენაზე დაწერილ წინადადებებს.

7. „განზრახვანი“ წერა დაწყებულია ხელნაწერის ბოლოდან, ამიტომ ის ხელნაწერის სწორად დაჭერისას შებრუნებულად არის ნაწერი.

8. „განზრახვანს“ აქვს საკუთარი პაგინაცია, რომელიც ხელნაწერის ბოლოდან იწყება.

90

(გსიემ 6077)

კონდაკი. 1860

89 ფ.: 18,3X15; ქალაქი, გაყვითლებული, დალაქავებული; მომწეანო ფერის ტვიფრული ტყავით გადაკრული მუყაოს ყდა; კიდებზე შემოცვეთილი; ნუსხური; დასაწყისი ასოები და ზოგი სათაური მთავრულით; დასაწყისები სინგურით; ფერადი მინიატურები: 3v, 20v; ფერადი თავსამკაული: 4r, 16r, 212r; ფერადებით შესრულებული სამეფო გვირგვინის, სკიპტრისა და ხმლის გამოხატულება, რომელიც თავსამკაულის როლს ასრულებს (78r); 1860 წ. (2r); გადამწერი მღვდელი ზაქარია გაგუნოვი (1v, 2r, 77v); დაუწერელია: 1r, 2v, 16r, 20r, 84v, 85v-86v, 92r-v.

<კონდაკი>. 1. „ღოცვანი საიდუმლოდ სათქმელნი მღვდლისაგან სამწუხრონი, საცისკრონი იოანე ოქრიპირის ღიტურდიისანი, თვისის ასამაღლებლებითა, ქართულად და რუსულად და სხუათა რომელ-

თამე სახმართა ღოცუებითურთ. — ღოცვანი სამწუხრონი, ღოცვა ა. — უფალო სახიერო, სულგრძელო და მრავალმოწყალო, ყურად იღე ღოცვა ჩუშნი... 4r-15v.

2. „წესი სამღუდელო მონა და ხალმართოსა წირვისა. — დიაკონი: გუაკუროხენ, მეუფეო, მღუდეღმან: კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი ყოვლადე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ...“ 16v-19v.

3. „ხალმართ მსახურება წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ითანე ოქროპირისა. — დიაკონმან: გუაკუროხენ, მეუფეო, მღუდეღმან: კურთხეულ არს მეუფება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“ 21r-46r.

შენიშვნები: 1. უძღვის თავფურცლები: ა. „ძის მღაღ ღირსებას წინამძღვარს, ხირსის წმიდის პირუსღ — მოწამის არხიდი-აკონის სტეფანეს მონახტრის და ბოდბის წმიდის ნინას სობორისას მამა არხიმანდიტრს მაკარის უმდაბლესად უძღუნი თელავითგან უღირსი ხუცესი ზაქარია გაგუნოვი. 1860 წელსა, თთუშსა დეკემბერსა 2.“ (სახელი მაკარი დაწერილია ჩართული ასომთავრულით).

ბ. (სინგურით და ასომთავრულით) „ღოცუანი საიდუმლოდ სათქმელნი მღუდღისა მიერ“ (3r).

2. ერთვის ა. <თთუშთა მეტყუსღება>. — თუშსა სეკდემბერსა აქუს დღე ღ. — პირველსა დღესა დაწყება ინდიქტიონისა ახალსა წელიწადისა და ჴსენება ღირსისა მამისა ჩუენისა სვიმონ მესხეტიბა (!) (47v-67r).

ბ. [ღოცვანი]. — „ხოლო ოდეს მიემთხოო ზიარებასა, ცხოველს-მყოფელსა საიდუმლოსა ნიჴსა, აქებდე მეყსეულად და კმადლობდე ფრიად“ (67v-77v).

გ. „სამოქალაქონი დღესა სწაულთა დღეთანი თთუსა იანვარსა. — შობა მისის იმპერატორებითის უმადღესობის, კეთილმორწმუნისა ჴელმწიფისა დიდისა კნიაზისა აღექსი აღექსანდრეს ძისა“ (78r-84r).

3. ხელნაწერის გვერდებზე ადგილ-ადგილ ჩაწერილია ტექსტის მონაკვეთები სლავური ხალვთისმსახურო წიგნებიდან, სლავურივე ანბანით.

4. 78r-ზე მოთავსებულ თავსამკაულს აქვს სინგურით და მთავრულით შესრულებული ასეთი წარწერა: „სამეფო სკიპტრა, გვირგვინი და ხმელი“.

5. 87r-სა და 88r-ზე დაუხაზავთ გრაფები ცოცხალთა და მიცვადებულთა სიების შესადგენად, რაც შემდეგში აღარ განუხორციელებიათ. ცოცხალთა გრაფაში წერია მხოლოდ ერთი სახელი: „მარიამ“.

6. ხელნაწერის ფურცლები მეღანს იედინთავს.

7. ხელნაწერს აქვს გადამწერლისეული პაგინაცია.

ანდერძები: 1. „დამჩხაპი წიგნისა ამის მღუდეღი ზაქარია გუგუნოვი“ (1v). ანდერძი შესრულებულია ჩართული ასომთავრულით.

2. „წმიდა ესე კონდაკი გამოკრებილი და თორმეტ თავნი დაეხსაპე უსტოლოდ, უღირსი ხუცესი ზ. გაგუნოვი. სრულ იქმნა, დიდება ღმერთსა“ (77v).

მინაწერები: (მხედრულით) 1. ღვეან, გრიგოლ, ზაქარია (32v).

2. „მღუდღის კურთხევა ზედ. — მშვიდობით უფლისა მითმართ ვილოცოთ, ზეგარდმო მშვიდობისა და ცხოვრებისა მათისათვის უფლისა მითმართ ვილოცოთ. მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა კეთილად დგომისათვის, წმიდათა ღვთის ეკლესიათა და

ბარწმუნოებით მას შემავალთა უფლისა მიმართ ვილოცოთ.

მღუდელმთავრისა ზუენისა (სახელი) მღუდელობისა შეწვევისა, მშვიდობით ყოფისა, სიმრთელისა და ცხოვრებისა და საქმეთათვის ხელთა მისთასა უფლისა მიმართ ვილოცოთ.

მონისა ღვთისა (სახელი) აწ ხელდასმულისა მდღლისა და ცხოვრებისა მისისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რათა კაცთმოყვარემან ღმერთმან უბიწო და უმანკო მღუდელობა მიახილოს მას. უფ. უკეთილმს. და სხვანი და ყოველის პატარის ქალაქ ხსნად შეგვეწიენ ყოველნი“ (85r).

91

(გსიემ 8361)

კრებული. 1845

116 ფ.: 22X18, ქაღალდი, გაყვითლებული, დაღაქავებული; უყდო; დაშლილი, დაზიანებული; ნაკლები; არაკალიგრაფიული მხედრული. გადამწერები მღვდელ-მონაზონი სამარაგდოს (25r, 45v, 112r-v) და ოთარ (73v), 56r-74v, რომლის გადამწერიც არის ოთარი. ნაწერია უფრო ღამაზად. 1845 წ. (73v), აქვს დამდა. დაუწერელია: 30v, 31r.

1. <წამებაჲ წმიდისა ევგენიასი>. — ... „იცოდა სახმთონი წიგნი ... ცა მრავალი ერი მას ჟამსა, მივიდეს ეპისკოპოსისა და უთხრა მას, ვითარმედ აზარია იტყვის, რამეთუ მე ვარ მივლინებული ქრისტეს მიერ“ ...1r-15r, 16v-21r, 22v-25r.

შენიშვნები: 1. ერთვის გადამწერის ანდერძი: „ეს არის წამება ევგენიასი. ღმერთო, მოიხსენე ცოდვილი ბერი სამარაგდოს“ (25r).

2. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 124, 168-169.

